



ე. ქორეანი, გ. ჯავახიშვილი

საქართველოს პარა

გ ა ნ ა მ დ ი ა ნ ა

საქართველოს კაცი

14538

გამომდინარე „განათლება“
თბილისი — 1971



ଢିଗନ୍ଦି ମେପନ୍ଦିରୁଲ-ପନ୍ଦିରୁଲାରୁଲାର ଗାନ୍ଧିଜୀବୁଲାର
ସାହିତ୍ୟରେଲାଙ୍କଣ ପାଇଁ ମରାଗାଲାଫ୍ରେରୁନ୍ଦରା ଓ ମିଳିବି ମିଳିବି
ତାରି ମିଳିବି; ମରାଗାଲାଫ୍ରେରୁନ୍ଦରା ପାଲବୁଲାର ଫିଲିକୁରା
ଗ୍ରେଗରାଫୋଲାର ମରାଗାଲାଫ୍ରେରୁନ୍ଦରା ଓ କଲିମାରୁନ୍ଦରା କିନ୍ତିବି ତାରି
ପାଇଁ ମରାଗାଲାଫ୍ରେରୁନ୍ଦରା ଓ କଲିମାରୁନ୍ଦରା.

ଢିଗନ୍ଦି ଗାନ୍ଧିଜୀବୁଲାର ଫିଲିକୁରା ସାହିତ୍ୟରେଲାଙ୍କଣ ମରାଗାଲାଫ୍ରେରୁନ୍ଦରା
ସାହିତ୍ୟରେଲାଙ୍କଣ କ୍ଷେତ୍ରରେ ପାଇଁ ମରାଗାଲାଫ୍ରେରୁନ୍ଦରା.

K 977.425
3

შ ე ს ა ვ ა ღ ი

საქართველოს ჰავა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოიჩინება. ძნელია მოიძებნოს ისეთი მხარე, რომლის ჰავის პირობები ასეთი ნაირსახეობით ხასიათდებოდეს. შედარებით მცირე ტერიტორიაზე (დაახლოებით 70 ათასი კვ. კმ) არის დედამიწის ზედაპირზე წარმოდგენილი ჰავის ყველა ზონა, დაწყებული ნოტიო სუბტროპიკული და მარადი თოვლისა და მყინვარების ზონით. აქ არ არის მხოლოდ ტროპიკული და ეკვატორული ჰავის ზონები, რომლებშიც მთელი წლის განმავლობაში მაღალი ტემპერატურაა.

საქართველოს ჰავის შესახებ საყურადღებო ცნობებს ვხვდებით ჯერ კიდევ ძეველი ბერძენი გეოგრაფების შრომებში. ისინი დასავლეთ საქართველოს, სახელდობრ კოლხეთის ჰავას, ახასიათებენ როგორც უხევნლექიანს და ზამთან თბილს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსას — შედარებით მშრალს, ნაყოფიერს და საცხოვრებლად მეტად სასიამოვნოს.

საქართველოს ჰავის ასეთივე დახასიათება მოცემულია შუა საუკუნეების ქართველი ისტორიოგოსების შრომებში.

საქართველოს ჰავა დეტალურად აღწერა XVIII საუკუნის ქართველმა გეოგრაფმა ვახუშტი ბაგრატიონმა შრომაში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია)“. იგი საქართველოს თითოეული რაიონისათვის, ლანდშაფტის სხვა ელემენტებთან ერთად, იძლევა ჰავის თავისებურებათა მოკლე, მაგრამ საკმაოდ სწორ დახასიათებას. საყურადღებოა ის, რომ, როგორც ძეველი წყაროებიდან ირკვევა, ანტიკური ხანიდან XX საუკუნის დასაწყისამდე საქართველოს ჰავას არსებითი ცვლილება არ განუცდია, ის მხოლოდ შედარებით უმნიშვნელოდ იცვლებოდა პერიოდულად, ძირითადად, მზის აქტივობის მერყეობასთან დაკავშირებით.

XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან საქართველოში დაიწყო ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების (ჰაერის ტემპერატურა, წნევა, ნალექი, ქარი) სათანადო იარაღებით გაზომვა. პირველ ხანებში მხოლოდ სამი მეტეოროლოგიური სადგური იყო: თბილისში, ქუთაისსა და ფოთში. შემდეგ მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა; ამჟამად საქართველოში რამდენიმე ათეული მეტეოროლოგიური სადგური

მუშაობს. ამ სადგურებში ერთიანი პროგრამით, ყოველდღური განსაზღვრულ საათებში, ატარებენ მეტეოროლოგიურ მოვლენების დაკვირვებას, მონაცემები შეაქვთ სპეციალურ წიგნაკებში, რომელთაც შემდგომი დამუშავება იძლევა ამა თუ იმ ადგილის ჰავის პირობების შესწავლის საშუალებას. მექანიზმი საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი საქართველოს ჰავის თანამედროვე პირობები, გამოქვეყნებულია მრავალი საყურადღებო თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ნაშრომი საქართველოს ცალკეული რაიონების შესახებ და საქმიად ვრცელი მონიცრაფია — „საქართველოს ჰავა“, რომელშიც მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით დახასიათებულია საქართველოს ჰავა. იგი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლებისა და მაღალი კვალიფიკიციის სპეციალისტებისათვის. ფართო მასებისათვის, განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ხელმისაწვდომი ნაშრომი ჯერჯერობით არ გამოკვეყნებულა. ამიტომ მიზნად დავისახეთ მოგვეცა საქართველოს ჰავის მეცნიერულ-პოპულარული დახასიათება.

ნაშრომში გაშექებულია საქართველოს ჰავის წარმომქმნელი ფაქტორები, მთავარი კლიმატური ელემენტების რეჟიმი; ცალკეული ფიზიკურ-გეოგრაფიული მხარეების ჰავა; გამოყოფილია ჰავის ტიპები და მოცემულია მათი მოკლე დახასიათება.

თავი I

საქართველოს ჰავის ნაგორობანები ძირითადი ფაქტორები

ქვეყნის ჰავას სამი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს: მზიდან მიღებული სითბოს რაოდენობა, რომელსაც მზის რადიაციას უწოდებენ, ჰაერის მასების მოძრაობა, ე. წ. ატმოსფეროს ცირკულაცია, და დედამიწის ზედაპირის ხასიათი. ამ ფაქტორების მოქმედების სიძლიერე თავისი მხრივ დამოკიდებულია ამა თუ იმ მხარის გეოგრაფიულ მდებარეობაზე.

საქართველოს ჰავის ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, მის მდებარეობას დაბალ განედზე, ხოლო მეორე მხრივ, იმას, რომ იგი მოქცეულია შავსა და კასპიის ზღვებს შორის, კავკასიონის ქედის სამხრეთით, და დასერილია სხვადასხვა მიმართულების მაღალი ქედებით.

დედამიწის ზედაპირის სითბოს მთავარ წყაროს წარმოადგენს მზის სხივური ენერგია. გარდა ამისა, დედამიწა სითბოს იღებს ვარსკვლავებიდან და მიწის სიღრმიდან (წილიდან), თუმცა მეტად უმნიშვნელო რაოდენობით.

მზის სხივური ენერგიას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პავის ფორმირებაში საერთოდ, და განსაკუთრებით, საქართველოსათვის, სადაც მზის ნათების (მზის პირდაპირი სხივებით დედამიწის განათება) ხანგრძლივობა მნიშვნელოვანია. წელიწადში მზე საშუალოდ 2600—1900 საათს ანათებს; ზაფხულის ოვეებში დღეში 8—9 საათს, ხოლო ზამთარში — 3,5—4,0 საათს.

მზის სხივური ენერგიის დიდი ნაწილი, რომელსაც მზის რაღიაცია ეწოდება, შთაინთქმება და იფანტება ატმოსფეროში (განეული რაღიაცია), მნიშვნელოვანი ნაწილი დედამიწის ზედაპირზე ეცემა, მას მზის პირდაპირი რაღიაცია ეწოდება. სითბოს იმ რაოდენობას (გაზომილს დიდ კალორიებში), რომელიც ცემა დედამიწის ზედაპირის 1 სმ² ფართობზე, მზის პირდაპირი რაღიაციის ინტენსივობა ეწოდება.

რადიაციის ინტენსივობა დამკიდებულია ძირითადად მზის სიმაღლეზე ჰორიზონტიდან და, ნაწილობრივ, აღვილის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მზის სიმაღლე დაბალ განედებზე მეტია, ჩრდილოეთით კი თანდათან მცირდება. ვინაიდან საქართველო მდებარეობს ზომიერი ზონის სამხრეთით და სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე, ამიტომ მზის პირდაპირი რადიაციის ჯამი საქართველოში მნიშვნელოვანია. სახელდობრ, თბილისში 1 სმ² ჰორიზონტალური ზედაპირი იღებს ივლისში 12,2, ხოლო იანვარში 2,0 კალორია სითბოს, მაშინ, როდესაც ლენინგრადში ამავე თვეში მხოლოდ 7,2 და 0,1 კალორიას.

მზის პირდაპირი რადიაციის გარდა, დედამიწის ზედაპირზე ეცემა ატმოსფეროს მიერ გაბნეული რადიაცია, რომელიც მნიშვნელოვანია განსაკუთრებით დილის საათებში და ღრუბლიან ამინდში. ამრიგად, დედამიწის ზედაპირზე მზის სხივური ენერგია ეცემა როგორც პირდაპირი, ისე გაბნეული რადიაციის სახით, მათ ჯამს სუ მარული (ჯამური) რაღიაცია ეწოდება. ვინაიდან საქართველოს განედზე დღის ხანგრძლივობა ზამთარში მნიშვნელოვანია (დეკემბერში 9 საათი), ამიტომ სუმარული რადიაცია საქართველოში წლის ყველა სეზონში დიდია და შეადგენს წელიწადში: ბარში 110—120, ხოლო მთაში 130—150 დიდ კალორიას ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე.

სუმარული რადიაციის სახით დედამიწაზე დაცემული ხოთბორი მნიშვნელოვან ნაწილს ნიადაგის ზედაპირი შთანთქავს, და ამტკიცებული ნაწილი კი ირკელება. გამთბარი ზედაპირი, თავის მხრივ, მიღებული სითბოს ნაწილს გამოსხივებს. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მზიდან მიღებული სითბოს მეტია ნიადაგის მიერ გამოსხივებულ სითბოს რაოდენობაზე, რასაც, ჩვეულებრივ, ადგილი აქვს გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებში, ნიადაგი თბება და მასთან შეხებით მიმდებარე ჰაერის ფენას ათბობს. შემოდგომა-ზამთარში კი ნიადაგი მზიდან ნაკლებ სითბოს იღებს, ვიდრე გამოსხივებს, რის გამოც იგი ცივდება და აცივებს მიმდებარე ჰაერსაც.

როგორც აღვნიშნეთ, დედამიწის მიერ მზიდან მიღებული სითბო მთლიანად მას არ ჩეხბა, საგრძნობ ნაწილს კარგავს. მიღებულ და დაკარგულ სითბოს შორის სხვაობას რაღია ციული ბალანსი ეწოდება. საერთოდ, საქართველოს დაბლობ ნაწილში რადიაციული ბალანსი თითქმის მთელი წლის განმავლობაში დადგითია, ე. ი. დედამიწის მიერ მიღებული სითბო სჭარბობს გამოსხივებულს. ამის შედეგად საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილში მთელი წლის განმავლობაში ტემპერატურა მაღალია.

ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად მზიდან მიღებულ სითბოს რაოდენობას თანდათანობით სჭარბობს დაკარგული სითბოს რაოდენობა და რა რადიაციული ბალანსი უარყოფითი ხდება, ჰავა კი მკაცრი.

ათმოსფეროს ცირკულაციური პროცესები

მზის სხივური ენერგია მაღალი განედებისაკენ თანდათანობით მცირდება. ამის შედეგად ჰაერის ტემპერატურა ეკვატორიდან პოლუსებისაკენ კლებულობს. ამავე დროს მზის სხივურ ენერგიას ოკეანე (ზღვა) და ხმელეთი (ტყე, მინდორი) სხვადასხვა ოდენობით შთანთქავს. ზაფხულში ხმელეთი უფრო მეტად თბება, ზამთარში კი მეტად ცივდება, ვიდრე იმავე განედზე მდებარე ოკეანე (ზღვა). ტემპერატურათა სხვადასხვაობა იწვევს ატმოსფერულ წნევათა სხვადასხვაობას, ამის შედეგად ოკეანეებსა და ზღვებზე ზამთარში გაბატონებულია დაბალი წნევის არე, ე. წ. ციკლონი, ხოლო ხმელეთზე მაღალი წნევის არე — ანტიციკლონი. ზაფხულში კი პირიქით.

ციკლონში, ჩვეულებრივ, ვითარდება ჰაერის აღმავალი დინება, მაღლა ასელისას ჰაერი ცივდება!, რაც იწვევს ღრუბლიანობის გადიდებასა და ნალექებს. ანტიციკლონში კი ჰაერი დაბლა ეშვება, რის გამოც მასში არსებული წყლის წვეთები ორთქლდება და დგება უღრუბლო, მოწმენდილი ამინდი.

¹ ყოველი სხეული გაფართოების დროს ცივდება, ხოლო შეკუმშვისას თბება.

ციკლონებისა და ანტიციკლონების მოძრაობასთან დაკავშირებულია
ჰაერის მასების გადანაცელება, რასაც ატმოსფეროს ცირკულაციაზე
ეწოდება. ატმოსფეროს ცირკულაცია ძირითადი მიზეზია ამინდის
მკვეთრი ცელილებისა. ამიტომ, მის ხასიათს და სიხშირეს განსაკუთ-
რებით დიდი მნიშვნელობა ეძღვა ყოველი აღგილის, მათ შორის
საქართველოს ჰაერის ფორმირებაში.

ჰაერის მასები საქართველოში უმთავრესად დასავლეთიდან და
აღმოსავლეთიდან იჭრება. ამინდის ცელილებას ხშირად სამხრეთი-
დან შემოსული თბილი ჰაერის მასებიც იწვევს.

დასავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასები უფრო ხშირად ნო-
ტით; ზავ ზღვაზე გავლისას ზამთარში მისი ქვედა ფენა რამდენადმე
თბება, კიდევ უფრო ტენიანდება და სახეშეცვლილი შემოდის დასავ-
ლეთ საქართველოში. დასავლეთი საქართველო სამი მხრიდან შემო-
ფარგლულია მაღალი ქედებით. ქედების ასეთი განლაგება მნიშვნე-
ლოვან დაბრკოლებას წარმოადგენს დასავლეთიდან შემოჭრილი ჰაე-
რის მასებისათვის. ისინი იძულებული ხდებიან მაღლა პჴყნენ მთის
ფერდობებს. მაღლა ასულ ჰაერზე ზემოდან ატმოსფეროს დაწოლა
კლებულობს, წნევა მცირდება, რის გამოც ჰაერი ფართოდება, გა-
ფართოებისას კი ცივდება. ჰაერში მყოფი წყლის ორთქლი წვეთებად
იქცევა, წარმოიშობა ღრუბელი და წვიმა. ამრიგად, დასავლეთიდან
შემოჭრილი ჰაერის მასები სინოტივის დიდ ნაწილს ტოვებს დასავ-
ლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და ორთქლით გაღარიბებული
გაღმოდის აღმოსავლეთით. გარდა ამისა ლიხის ქედიდან დაღმა დაშ-
ვებისას ჰაერი იკუმშება და თბება, რის გამოც აღმოსავლეთ საქარ-
თველოში მნიშვნელოვან ნალექებს არ იძლევა. აღმოსავლეთ საქარ-
თველოს დასავლეთ რაიონებში ამ პროცესის დროს მოდის მხოლოდ
შედარებით უმნიშვნელო ნალექები, აღმოსავლეთ რაიონებში ნალექი
ან სულ არ მოდის, ანდა ძალიან მცირე რაოდენობით. ქრის დასავლე-
თის ძლიერი ქარი, განსაკუთრებით ძლიერია იგი მდინარე მტკვრის
ჰეობაში.

ჩრდლოეთიდან წამოსული ცივი ჰაერის მასები საქართველოში
დასავლეთიდან საერთოდ იშვიათად იჭრება, მაგრამ მისი გავლენა
ამინდის მსელელობაზე იმდენად საგრძნობია, რომ ამ პროცესის კლი-
მატური მნიშვნელობა დიდია. ამ ჰაერის მასებთან არის დაკავშირე-
ბული ძლიერი ყინვები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, განსა-
კუთრებით ზღვის სანაპიროზე.

საქართველოში ჰაერის მასები არც ისე იშვიათად იჭრება აღმო-
სავლეთიდან. მათი სიძლიერე დიდი არ არის. ეს პროცესი წლის ცივ
პერიოდში, ჩვეულებრივ, იწვევს ჰაერის ტემპერატურის დაცემას,
მოღრუბლულობას. და მცირე ნალექს საქართველოს აღმოსავლეთ

ნაწილში. შედარებით უხვი ნალექები მოდის შიგნით კახეთში. სავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში რამდენადმე მატულებელი მოღრუბლებია. დასავლეთ საქართველოში ამ დროს ჰაერის ტემპერატურა მატულობს, ვინაიდან ქრის აღმოსავლეთის ფიონური ქარი.

იშვიათ შემთხვევაში, როდესაც აღმოსავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრა ძლიერია, ცივი ჰაერის მასები მთელ საქართველოში ვრცელდება. ამ დროს ჰაერის ტემპერატურა შავი ზღვის სანაპიროებზეც კი შეიძლება ნულს ქვევით დაეცეს.

საქართველოს ამინდზე დიდ გავლენას ახდენს ჰაერის მასების შემოჭრა ერთდროულად აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. ჩრდილოეთიდან წამოსული ცივი ჰაერის მასები კავკასიონის გამო პირდაპირ ვერ იჭრება საქართველოში. უვლის ქედს აღმოსავლეთიდან ან დასავლეთიდან, ზოგჯერ ორივე მხრიდან ერთდროულად. უკანასკნელ შემთხვევაში ცივი ჰაერის მასების შეხვედრა, ჩვეულებრივ, ხდება შიდა ქართლში. ადგილობრივი თბილი ჰაერის მასას, შემოსული ცივი ჰაერი დევნის ზევით, რის შედეგადაც მთელ საქართველოში რამდენიმე დღეს დგას ორუბლიანი ამინდი, ჰაერის ტემპერატურა საგრძნობლად ეცემა, მოდის უხვი ნალექები.

სამხრეთიდან ტროპიკული ჰაერის მასების შემოსელა საქართველოში წლის ყველა სეზონში იწვევს ჰაერის ტემპერატურის არაჩვეულებრივ გადიდებას. ამ დროს ზაფხულში ოც ისე იშვიათად ჰაერის ტემპერატურა აღწევს 40° . ზამთარში ტროპიკულ ჰაერს თან მოაქსის ისეთი სითბო, რომ თოვლი მთებშიც კი ინტენსიურად დნება და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რამდენიმე დღეს დათბება.

ჰაერის მასების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე, ჩვეულებრივ, მყარდება მაღალი წნევა (ანტიციკლონი), რომელთანაც დაკავშირებულია მცირელრუბლიანი მშრალი ამინდი.

ამრიგად, იმასთან დაკავშირებით, თუ საქართველოში საიდან როგორი (ცივი თუ თბილი) ჰაერის მასა იჭრება, ამინდიც შესაფერისია: მზიანი, ღრუბლიანი, ქარიანი, ცივი და სხვ. უფრო ხშირად ზომიერი განედებიდან წამოსული ჰაერის მასები გვესტუმრებიან ხოლმე. მაგრამ ამინდის პირობებზე როგორც ზემოთაც დავინახეთ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ტროპიკული თბილი, ისე მაღალი განედებიდან დაშვებული ცივი ჰაერის მასები.

კვეთანილი ზედაპირი

საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის მრავალფეროვნების მიზეზია, უმთავრესად მისი ქვეფენილი ზედაპირის ხასიათი და რელიეფის

დასერილობა, კერძოდ, ადგილის სიმაღლეთა სხვადასხვაობა ზოვის
დონიდან, ქედებისა და ხეობების მონაცელება. ზღვიდან არათუ მარტივია
რი დაშორება, მცენარეული საფარი (ტყე, მდელო, ველი), წყლის
აუზები სხვადასხვა ზომით შთანთქავს მზის სხივურ ენერგიას და, მა-
შასადამე, არათანაბრად თბება. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღნიშ-
ნეთ, ქედების განლაგება ატმოსფეროს ცირკულაციურ პროცესებს
იმდენად უცვლის სახეს მის ქვედა ფენებში, რომ ქედების სხვადასხვა
მხარეზე ერთი და იმავე პროცესის დროს ამინდის პირობები (ნალე-
ქები, ჰაერის ტემპერატურა, სინოტივე და ქარი) მკვეთრად განსხვავ-
დება.

საქართველოს ჰავის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნე-
ლობა აქვს კავკასიონს, რომელიც საქართველოს იცავს ჩრდილოეთი-
დან წამოსული ცივი ჰაერის მასებისაგან. ამ შემთხვევაში, როდესაც
მაღალი განედებიდან დაშვებული ცივი ჰაერის მასები აღწევს ჩრდი-
ლოეთ კავკასიას, მათ წინსვლას აჩერებს კავკასიონი, ისე, რომ ქედის
გადამა დგება დიდი ყინვები, ქედის გადმოღმა — საქართველოში კი
მზიანი, წყნარი, თბილი ამინდი დგას. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებაში,
აღნიშვნული ჰაერის მასები უცვლის კავკასიონს და იჭრება აღმოსავლე-
თიდან და დასავლეთიდან ერთდროულად, რასაც დიდი ყინვები
ახლავს.

საქართველოს შიდა ტერიტორიის დასერილობაც დიდ როლს
ასრულებს ჰავის ფორმირებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს:
სამეგრელოს (ეგრისის), სვანეთის, რაჭის, მესხეთის, ლიხის, ჯავახეთის,
კახეთისა და სხვა ქედებს. გაბატონებული ნოტიო ქარებისაკენ მიქ-
ცეული ფერდობები და ხეობები მეტ ნალექს იღებს, ვიღრე საწინააღმ-
დეონ ფერდობები, ამასთან ერთად სიმაღლეზე ნალექები საგრძნობ-
ლად მატულობს, რაც გარკვეულ როლს ასრულებს ჰავის ნაირსახეო-
ბაში.

ბორჯომის რაიონში ერთიმეორის გვერდით არის ორი ხეობა:
მდ. ბანისხევისა და მდ. ქვაბისხევის; ორივე ერთი და იმავე ადგილი-
დან იწყება. პირველი მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისა-
კენ, ამიტომ ხეობაში ადგილად იჭრება დასავლეთის ნოტიო ქარები.
რის გამოც აქ მნიშვნელოვანი ნალექები მოდის და ხასიათდება სი-
ნოტივის მოყვარული მცენარეულობით. ქვაბისხევი კი, მიმართულია
ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. დასავლეთის ნოტიო ჰაერი აქ თა-
ვისუფლად ვერ შემოღის, ამიტომ მოდის უმნიშვნელო ნალექი და
ხასიათდება სიმშრალის მოყვარული მცენარეულობით.

ცნობილია, რომ ჰაერის ტემპერატურა ყოველ 100 მ სიმაღლეზე
საშუალოდ 0,5°-ით ეცემა. ადგილის სიმაღლეთა შორის დიდი განსხვა-
ვების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურა და

ნალექები დიდ ფარგლებში მერყეობს, რის შედეგადაც სიმაღლის მიზნედვით მკეთრად იცვლება ბუნებრივი კომპონენტები: მცენარეულობა, ნიადაგები, წლის სეზონების ხანგძლივობა და სხვ. პირველი მიზნები ნიშვნელოვანია აგრეთვე რელიეფის გავლენა ქარზე, გარდა იმისა, რომ იგი განსაზღვრავს ქარის მიმართულებას და სიჩქარეს, ის ხელს უწყობს ადგილობრივი ცირკულაციის წარმოქმნას. ზღვის, ხმელეთის, ზეგნების, ხეობების, ფერდობების არათანაბარი გათბობა მზის სხივებისაგან იწვევს ტემპერატურათა შორის მნიშვნელოვან სხვაობას, რის შედეგადაც წარმოშობა ადგილობრივი ქარები.

საქართველოში გავრცელებულია ადგილობრივი ქარები: ბრიზები, ფიონები და მთა-ბარის ქარები, რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებენ ადგილობრივი ჰავის ფორმირებაში.

საქართველოს ჰავის შექმნაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შავ ზღვის. შისი გავლენა არა მარტო დასავლეთ, არამედ აღმოსაყლეთ საქართველოს ჰავაზედაც შეიმჩნევა. შავი ზღვისა და კავკასიონის გავლენით საქართველოს მნიშვნელოვნ ნაწილში ზამთარი თბილია. განსაკუთრებით თბილია იგი ზღვისპირა ზოლში, სადაც უცივესი თვისი იანვრის. საშუალო ტემპერატურა 5 — 8° შორის მერყეობს ისე, რომ შავი ზღვა ზამთარში ერთგვარ ბუნებრივი ღუმელის როლს ასრულებს; ზაფხულში, პირიქით, მის სანაპიროებზე უფრო გრილა, ვიდრე ხმელეთის შიდა ნაწილებში.

დასავლეთიდან შემოჭრილი ცივი ჰაერის მასები შავი ზღვის ზედაპირზე გავლისას თბება და ტენიანდება, ამიტომ ხმელეთზე გადასვლისას უხევნებებს იძლევა.

ჰავის ფორმირებაში მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მცენარეულ საფარს. ტყით დაფარულ ადგილებში ზაფხულობით უფრო გრილა და ზამთრობით უფრო თბილა, ეიდრე უტყეო ადგილებში (მდელო, ველი) ისე, რომ ტყე წარმოქმნის განსაკუთრებულ ჰავას, რომელიც ველების ჰავისაგან საგრძნობლად განსხვავდება.

თავი II

ცარკევედი კლიმატები ერევანის განასიათება ჰავის ტემპერატურა

შედარებით დაბალ განედზე მდებარეობა, ჩრდილოეთით ქაშპა-სიონის მაღალი ქედის, ხოლო დასავლეთით შავი ზღვის არსებობა, განაპირობებს საქართველოში, განსაკუთრებით მის დაბალ ნაწილში, ჰაერის შედარებით მაღალ ტემპერატურას.


საქართველოს ზღვის სანაპირო ზოლში წლიური ტემპერატურის
საშუალო სიდიდე 14 — 15°-ია. ზღვიდან დაშორებით, ბარში, ჰავური მდებარეობის უღელტეხილამდე ტემპერატურა თანდათან მცირდება. აღმოსავა-
ლეთ საქართველოში ყველაზე მაღალი საშუალო წლიური ტემპერა-
ტურა ახასიათებს ქვემო ქართლსა და შიგნით კახეთს (12—13°).
მთებზე, ადგილის სიმაღლის გადიდებასთან დაკავშირებით, საშუალო
წლიური ტემპერატურა ეცემა და ზღვის დონიდან 2500 მ ზევით უარ-
ყოფითი ხდება.

მთელს საბჭოთა კავშირში ყველაზე უფრო თბილი ზამთარი შავი
ზღვის სანაპიროზე იცის. იანვრის საშუალო ტემპერატურა აქ აღემა-
ტება +5°. ზღვიდან დაშორებით და ადგილის სიმაღლის ზრდასთან და-
კავშირებით ტემპერატურა თანდათანობით მცირდება, მაგრამ დასავ-
ლეთ საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე, დაახლოებით
ზღვის დონიდან 700 — 800 მ სიმაღლემდე, 0° აღემატება. ამ სიმაღ-
ლიდან იანვრის ტემპერატურა უარყოფითია და კავკასიონის თხე-
მურ ნაწილში — 15°-ზე დაბლა ეცემა.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე თბილი ზამთარი იცის
ქვემო ქართლის ვაკეზე და შიგნით კახეთში. აქ იანვრის საშუალო
ტემპერატურა 0°-ზე მაღალია, მაგრამ +1°-ზე დაბალი. ზღვის დონიდან
400—500 მ სიმაღლეზე იანვრის საშუალო ტემპერატურა 0°-ზე და-
ბალია. ჰაერის ტემპერატურის ტერიტორიულ განაწილებაში დიდი
შნიშვნელობა ენიჭება ჩრდილის ფორმას. განსაკუთრებით ცივია
ზეგნები, ქვაბულები და ჩავეტილი ხეობები, სადაც ცივი ჰაერის შეგუ-
ბება ხდება, ამიტომ იანვრის საშუალო ტემპერატურა ახალქალაქში
(-7,3°) შესამჩნევად დაბალია, ვიდრე იმავე სიმაღლის სხვა რაიონებ-
ში. შედარებით დაბალია აგრეთვე ამავე თვის ტემპერატურა ახალცი-
ხის ქვაბულში (-3,8°) და შიდა ქართლის ვაკეზე (-1, -2°).

ზაფხული საქართველოში ყველაზე უფრო ცხელია ქვემო ქართ-
ლის ვაკეზე, ივრისპირა და ალაზნისპირა დაბლობზე. ივლისის სა-
შუალო ტემპერატურა აქ +25° აღემატება, მაშინ როდესაც შავი
ზღვისპირა გაშლილ დაბლობზე ამავე თვის საშუალო ტემპერატურა
დაახლოებით +23° უდრის, მხოლოდ აფხაზეთის ზღვისპირა ზოლ-
ში +24° აღწევს. ზღვისპირა დაბლობთან შედარებით, რამდენადმე მა-
ღალია ტემპერატურა ივლისში აგრეთვე შუა იმერეთში (+23, +24°).

სიმაღლის შემდგომ ზრდასთან ერთად, ივლისის ტემპერატურა
ყველგან მცირდება და კავკასიონის თხემური ნაწილის ზოგიერთ აღ-
გილას 0°-მდე ეცემა. სიმაღლის გადიდებასთან ერთად, ივლისის სა-
შუალო ტემპერატურის ცვლილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს
რელიეფის ფორმა და მცენარეული საფარის ხასიათიც. აღმოსავლეთ
საქართველოში შედარებით უფრო ცხელი ზაფხულია ახალციხის ქვა-



სურ. I. იანვერის იშოთებაშება,

ბულში, ახალქალაქის ზეგანზე და შიდა ქართლის ვაკეზე, რაღმა აღგილების რელიეფის ფორმა და მცენარეული საფარის სიღრუპები ხელს უწყობს ნიაღავის ზედაპირის ტემპერატურისა და მასთან ურთისა ჰაერის ტემპერატურის გადიდებას. ახალციხის ქვაბულში და ახალქალაქის ზეგანზე ივლისში ჰაერის საშუალო ტემპერატურა $+18$, $+14^{\circ}$ უდრის, მაშინ, როდესაც კავკასიონის სამხრეთი ფერდობის იმავე სიმაღლეებზე ის $+15$, $+10^{\circ}$ შეადგენს.

ზღვის სანაპიროზე ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა შეიძლება დაეცეს -8 , -12° -მდე. ასეთ დღეებში უფრო თბილი აღვილებია გორაქებსა და ფერდობებზე, საიდანაც ცივი ჰაერი დაბლა ჩამოედინება. ონიშნული აღვილები ძირითადად უკავია ლიმნისა და ფორთოხლის ნარგავებს.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ეცემა -20 , -22° -მდე, აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა ზღვის სანაპიროზე და აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში თითქმის თანაბარია ($+38$, $+40^{\circ}$), რამდენადმე მაღალია ($+41$, $+42^{\circ}$) დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ პუნქტში, რასაც აღვილი აქვს ზოგჯერ ზაფხულში სამხრეთიდან შემოსული თბილი ჰაერის ტრანსფორმაციის დროს.

სიმაღლის მიხედვით, როგორც საერთოდ ჰაერის საშუალო ტემპერატურა, ისე მაქსიმალურიც და მინიმალურიც — მცირდება მაგრამ ამ შემთხვევაშიც რელიეფის ფორმას და მცენარეული საფარის ხასიათს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, შაორის ქვაბულში 1130 მ სიმაღლეზე მდებარე ხერგაში (სინათლე), სადაც ცივი ჰაერის შეგუბება ხდება, ჰაერის ყველაზე დაბალი ტემპერატურა იყო -40° , მაშინ, როდესაც მაღალმთიან ყაბზეგში (ზღვის ღონიდან 3656 მ), რომელიც ყინვარულ ზონაში მდებარეობს, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა -42° -ზე დაბალი არ ყოფილა.

ვნახოთ ახლა ცივი და ცხელი დღეები როგორ არის განაშილებული საქართველოს ტერიტორიაზე თვეების მიხედვით. როცა ჰაერის საშუალო დღელამური ტემპერატურა 0° -ზე ნაკლებია, ჩვენი პირობებისათვის მეტად ცივია, ხოლო, როცა 25° -ზე მეტია—მეტად ცხელი.

შავი ზღვის სანაპიროზე ასეთ ცივ დღეებს შეიძლება აღვილი ჰქონდეს ზოგჯერ დეკემბრიდან მარტიმდე. მათი რიცხვი წელიწადში საშუალოდ ხუთს არ აღემატება. ზღვის ნაპირიდან დაშორებით იგი რამდენადმე იზრდება. მაგრამ კოლხეთის დაბლობზე 10° -ზე ნაკლებია. მთის კალთებზე ცივ დღეთა რიცხვი სწრაფად დიდდება და 550—600 მ სიმაღლეზე 25—31-ია წელიწადში. ამ ზონაში ცივი დღეები მოსალოდნელია ნოემბრიდან აპრილამდე.

ცივი დღეები აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ხშირია და



სურ. 2. ეკლისის მართვების მემკვიდრეობა.

300—500 მ სიმაღლეზე მათი რიცხვი 20—30 უდრის, ხოლო 900 მ სიმაღლეზე 40—65 შორის მეტყველობს. აქ ცივი დღეები ნოემბერსა და აპრილში ჩვეულებრივი მოვლენაა, ცივი დღეები ხშირია ახტლაჭალაშის ზეგანზე (110 დღე) და კავკასიონის მაღალ ზონაში, სადაც ჩრდილოეთ ფერდობის 2000 მეტრ და სამხრეთ ფერდობის 2200 მეტრ სიმაღლეზე ასეთ დღეთა რიცხვი 130 სჭარბობს წელიწადში.

ცხელი დღეები ყველაზე უფრო ხშირია აღმოსავლეთ საქართველოს ბარის 500 მეტრზე დაბლა მდებარე რაიონებში, სადაც მათი რიცხვი 30 და ზოგან მეტიცაა, მაქსიმუმია გარდაბნის ვაკეზე, სადაც 40 დღეზე მეტია წელიწადში.

ცხელ დღეთა რიცხვი მნიშვნელოვანია აგრეთვე მდ. რიონის ტეობის დაბლობ ნაწილებსა და გაგრაში — 22—24 დღე წელიწადში; 1000 მ სიმაღლეზე ასეთ დღეთა რიცხვი მეტად უმნიშვნელო, წელიწადში 1 დღეს არ აღემატება, ხოლო 1200 მეტრის ზევით მღებარე ადგილებში ცხელი დღეები სრულიად არ არის.

ჰაერის სინოტივე

დასავლეთ საქართველო წლის ყველა სეზონში ჰაერის მაღალი სინოტივით ხასიათდება. ზღვის სანაპირო ზოლში აბსოლუტური სინოტივი¹ განსაკუთრებით მაღალია. აქ მისი საშუალო წლიური სიდიდე 14 მმ უახლოვდება. საერთოდ კოლხეთის დაბლობზე ის არსად არ არის 13 მმ-ზე ნაკლები. აღვილის სიმაღლის გადილებასთან ერთად აბსოლუტური სინოტივე მცირდება და 1500 მ სიმაღლეზე უკვე 6—7 მმ-ია, უფრო მაღალი. დაახლოებით 3000 მ სიმაღლეზე, 4 მმ-დე ეცემა.

აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის აბსოლუტური სინოტივე შესამჩნევად უფრო ნაკლებია, ვიღრე დასავლეთში. საშუალო წლიური აბსოლუტური სინოტივე 300—500 მ სიმაღლეზე 10—11 მმ უდრის, მაღალ ადგილებზე ჰაერში ორთქლის შემცველობა იმდენად მცირდება, რომ აბსოლუტური სინოტივის წლიური სიდიდე 3 მმ-ზე ნაკლებია. შედარებით მაღალი აბსოლუტური სინოტივით ხასიათდება შიგნით კახეთის დაბალი ნაწილი. აქ მისი წლიური სიდიდე 12 მმ უახლოვდება და არსად არ არის 10 მმ-ზე ნაკლები. ეს განვირობებულია ამ მხარის მაღალი თერმული რეჟიმით, ნალექების მეტი რაოდენობით და მდიდარი მცენარეული საფარით.

დასავლეთ საქართველოში ჰაერი წყლის ორთქლით მაღალი გაუღნითილობით გამოირჩევა. ზღვის სანაპირო ზოლში, ბათუმიდან ანაკ-

¹ აბსოლუტური სინოტივე ეწოდება ერთ კუბურ მეტრ ჰაერში მყოფ წყლის ორთქლის რაოდენობას გამოსახულს გრამებში ან მილიბარებში; 1 მმ=1,3 გ.

ლიამდე, ჰაერის შეფარდებითი სინოტივე¹ საშუალოდ 80—82% უდრის. ანკლიის ჩრდილოეთი, აფხაზების ზღვისპირა ზოლში შეფარდებითი სინოტივე რამდენადმე მცირდება, მაგრამ 80% ფაზიზმა უახლოვდება.

ზღვისპირა ზოლიდან დაშორებით შეფარდებითი სინოტივე ვაკეზე და ხეობებში მცირდება, განსაკუთრებით მცირება იმერეთში, ჩაქვა ლეჩხუმისა და მდ. აჭარისწყლის ხეობაში (70—75%), ეს გარემონტა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქაურ ლანდშაფტზე. აქ ნაკლებად ვეხედება სინოტივის მოყვარული მცენარეულობა. ზღვისპირა აღვილებში, სადაც მაღალი სინოტივეა, მეტი ნალექები მოდის და ზამთარში თბილია, უფრო გავრცელებულია ნოტიო სუბტროპიკულის მცენარეულობა.

შეფარდებითი სინოტივის წლიური მსვლელობა დასავლეთ საქართველოში ატარებს ზღვის ჰავის თვისებას. აქ ზაფხულში ჰაერი უფრო გაუღენთილია ორთქლით, ვიდრე ზამთარში.

აღმოსავლეთ საქართველოში დაბალი შეფარდებითი სინოტივით გამოირჩევა ქვემო ქართლის ვაკე, ახალციხის ქვაბული და ახალქალაქის ზეგანი. შედარებით მაღალი სინოტივით ხასიათდება ლიხის ქედის აღმოსავლეთი ნაწილი, ბორჯომ — ბაქურიანი და შიგნით კახეთი.

შეფარდებითი სინოტივის წლიურ მსვლელობას აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში კონტინენტური ჰავისათვის დამახასიათებელი ხასიათი აქვს. ზამთრის თვეებში ჰაერი უფრო გაუღენთილია ორთქლით, ვიდრე ზაფხულში.

აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ზაფხულში ჰაერის სინოტივე მეტად ზომიერია, აღამიანი უფრო აღვილად იტანს ჰაერის მაღალ ტემპერატურას, ვიდრე ზღვის სანაპიროზე, რომელიც გამოირჩევა, როგორც ვთქვით, განსაკუთრებით მაღალი სინოტივით ამ სეზონში.

დასავლეთ საქართველოში ზღვის სანაპირო ზოლში მშრალი დღეების (ისეთი დღე, როდესაც შეფარდებითი სინოტივე ეცემა 30%-მდე) რიცხვი მცირეა, წლიურად სულ 5—14 დღეა ასეთი. აღმოსავლეთით, ზღვის სანაპიროდან დაშორებით, იქ, სადაც ფიონური ქარების სიხშირე მნიშვნელოვანია, იზრდება მშრალი დღეების რიცხვიც და ზოგან ასეთი დღეები 60-მდე ღია დღეებს წლიშადში.

დასავლეთ საქართველოში ფიონური ქარების დროს, რომელიც კირგადა გამოხატული მდ. რიონის ხეობაში, განსაკუთრებით წლის ციკ პერიოდში, შეფარდებითი სინოტივე ზოგჯერ 15—20%-მდე და უფრო დაბლაც ეცემა.

¹ ჰაერის ორთქლით გაუღენთილობის ხარისხს გამოსახულს პროცენტობით შეფარდებითი სინოტივე ეწოდება.

აღმოსავლეთ საქართველოში მშრალი დღეების დიდი სიხშირე გამოიჩინება ქვემო ქართლის ვაკე და ივრის ზეგანი. ამ რაოდნების მშრალი დღეების რიცხვი წელიწადში 40-ს აღმატება. კავკასიონის საქმაოდ ხშირი ტყეებით დაფარულ სამხრეთ ფერდობზე და შიგნით კახეთში მშრალი დღეების რიცხვი 20-ს არ აღმატება.

მიუხედავად ფინური ქარების სიხშირისა დასავლეთ საქართველოში ნოტიო დღეების (ისეთი დღე, როდესაც შეფარდებითი სინოტივე 80%-ზე მეტია) რიცხვი საქმაოდ დიდია, სანაპიროზე 200-ზე მეტი წელიწადში. აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი დღეების რიცხვი 120 — 130-ს არსად არ აღმატება.

77

ლრუბლიანობა

ა ლრუბლიანობა მნიშვნელოვანი კლიმატური ელემენტია. იგი დიდ უგვლენას ახდენს მზის რადიაციის რეემზე, დღისით ის იცავს დედამიწის ზედაპირს ძლიერი გადახურებისაგან, ღამით კი, პირიქით, ძლიერი გადაცივებისაგან. ლრუბლები ხელს უშლის ნიადაგის ზედაპირიდან ინტენსიურ გამოსხივებას. ამ შემთხვევაში ის ასრულებს „საბნის“ როლს დედამიწისათვის. ძროითადად სამი სახის ლრუბლებს არჩევენ: დაბალს, საშუალოს და ზედა იარუსის. პირველი ორი სქელია და გაუმჯობერვალე, ზედა იარუსისა კი უფრო თხელია, სხივებს ადვილად ატარებს, ამიტომ მზის რადიაციის რეჟიმზე დიდ გავლენას ვერ ახდენს.

ლრუბლიანობა საქართველოში საერთოდ ზომიერია, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წლის განმავლობაში საშუალოდ ცის თაღის 50 — 60% დაფარულია ლრუბლებით, ხოლო დასავლეთ საქართველოში 55 — 65%.

საერთო ლრუბლიანობა დასავლეთ საქართველოში მხოლოდ უმნიშვნელოდ აღმატება აღმოსავლეთ საქართველოსას. ზედა იარუსის ლრუბლები გაცილებით მეტია აღმოსავლეთ საქართველოში, ვიდრე დასავლეთ საქართველოში, საღაც უფრო ხშირად ქვედა იარუსის ლრუბლებია.

უდიდეს ლრუბლიანობას ადგილი ქვეს ბათუმის რაიონის ზღვის სანაპიროებზე და გურიაში, საღაც წელიწადში საშუალოდ ცის 64% დაფარულია ლრუბლებით. ჩრდილოეთისაკენ ის უმნიშვნელოდ მცირდება და სამეგრელოს დაბლობის მეტ ნაწილში საშუალოდ შეადგენს 60% წელიწადში. აღმოსავლეთით, ლიხის ქედამდე, ზღვიდან დაშორებასთან დაევაშირებით, ატმოსფერული ნალექების რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებასთან ერთად, ლრუბლიანობაც მცირდება, აյ წელიწადში ლრუბლებით დაფარულია ცის 55%.

დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაფარულია ლრუბ-

ლიანობას ადგილი აქვს შემოდგომის თვეებში (45 — 50 %), ზემოთ ლრუბლიანობა იზრდება და მაქსიმუმს აღწევს ზამთრის ბოლოს გაზაფხულის დასაწყისში (70 %).

ლრუბლიან დღეთა რიცხვი (ლრუბლიანი ეწოდება ისეთ დღეს, როდესაც დღე-ლამის განმავლობაში თითქმის მთელი და დაფარულია ლრუბლებით) დასავლეთ საქართველოში მერყეობს საშუალოდ 100 — 150-ის ფარგლებში. მოლრუბლული დღეები ნაკლებად იცის სექტემბერ-ოქტომბერში (7 — 9 დღე), ყველაზე მეტად კი მარტში (12 — 15 დღე).

მოწმენდილ დღეთა რიცხვი 45 — 90 უდრის. მთელ დასავლეთ საქართველოში მოწმენდილ დღეთა რიცხვი სხვა თვეებთან შედარებით მეტია სექტემბერ-ოქტომბერში (7—10 დღე თვეში).

აღმოსავლეთ საქართველოში საერთო ლრუბლიანობა რამდენად მე ნაკლებია. მაგალითად, მტკვრის ხეობის გასწვრივ, განსაკუთრებით მცირეა გარე კახეთში (45 — 55 %). კავკასიონის კალთებზე, სიმაღლის მატებასთან ერთად, ლრუბლიანობა იზრდება და 2000—2500 მ სიმაღლეზე 60 % აღემატება.

აღმოსავლეთ საქართველოში ლრუბლიანობა უფრო მცირეა აგვისტოში (40 — 45 %), ხოლო მნიშვნელოვანი ლრუბლიანობით ხასიათდება ზაფხულის დასაწყისი (60—65 %). აქ მოწმენდილ დღეთა რიცხვი 90-დან 120-მდე წელიწადში. ზაფხულის ბოლოს და შემოდრიცხვის დასაწყისში მოწმენდილი დღეები ხშირია, ლრუბლიანი კი მცირე, ლრუბლიანი დღეები ყველაზე მეტია ზამთარში (დეკემბერში 12 — 14 დღე).

ნალექები

რელიეფისა და ატმოსფერული ცირკულაციური პროცესების სირთულე აპირობებს ნალექების სხვადასხვა რაოდენობას საქართველოს ტერიტორიაზე.

ნალექების წლიური რაოდენობა დასავლეთ საქართველოში 900 მმ-დან 3000—4000 მმ შორის მერყეობს. განსაკუთრებით ბევრი ნალექი მოდის აჭარაში ზღვის სანაპიროზე, სადაც მთელი წლის განმავლობაში გაბატონებულია სამხრეთ-დასავლეთის ზღვის ქარები. ზღვის სანაპირო ზოლში წლიური ნალექები 2500 — 2700 მმ უდრის, ხოლო ზღვისკენ მიქცეულ ფერდობებზე — 4000 მმ-ს. უხვი ნალექები მოდის აგრეთვე კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, აფხაზეთის ფარგლებში, სამეგრელოს და ნაქერალის ქედების სამხრეთ კალთებზე (საშუალოდ 3000 მმ წლიურად), რომლებიც პერპენდიკულარულად არიან მიმართული სამხრეთ-დასავლეთიდან მონაბერი ნოტიო ქარების მართ.



მდ. რიონის ხეობის ქვემოწელში, სადაც ქედები დაშორებულია ზღვის ნაპირიდან და გაბატონებულია ომოსავლეთის მშრალი ქარჯებულის ნალექების რაოდენობა ბათუმთან შედარებით შემცირებულია; ფოთში მოდის 1 700 მმ ნალექი წელიწადში.

ამრიგად, მოსული აღმოსფერული ნალექების რაოდენობა ძირითად დამკიდებულია ნოტიო ქარების მიმართულებასა და ქედების ფერდობების ექსპოზიციაზე. აჭარაში, მდ. აჭარისწყლის ხეობის შუაწელში, რომელიც დაცულია დასავლეთიდან მონაბერი ნოტიო ჰაერის მასების ზემოქმედებისაგან, აღმოსფერული ნალექები საგრძნობლად მცირდება. მცირე ნალექებით გამოიჩინება რაჭა-ლეჩესუმის და სვანეთის დაბალი აღგილები, რომლებსაც სამხრეთ-დასავლეთიდან ქედები ეფარება; ამ აღგილებში საშუალო წლიური ნალექების ჯამი 1 000 მმ არ აღემატება.

აღმოსავლეთ საქართველოში ნალექების წლიური რაოდენობა 400 — 1 600 მმ-ის ფარგლებში მერყეობს, მაგრამ ტერიტორიას უმეტეს ნაწილში 500 — 800 მმ უდრის. 400 მმ-ზე ნაკლები ნალექები მოდის საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ რაიონებში, შედარებით მცირე ნალექი მოდის აგრეთვე ახალქალაქის ზეგანზე და ახალციხის ქვაბულში (400 — 500 მმ), რომელიც დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან დაცულია მაღალი ქედებით.

აღგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად ნალექების რაოდენობა იზრდება; მასზე გავლენას ახდენს აგრეთვე ხეობის მიმართულება. მაგალითად, შიგნით კახეთში, რომელიც მდებარეობს მდ. ალაზნის ხეობაში, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან თავისუფლად იქრება ჰერის მასები და ხელსაყრელი პირობები იქმნება ნალექების წარმოშობისათვის. შიგნით კახეთის დაბალ ნაწილში 600—800 მმ ნალექი მოდის, გაშინ როდესაც იმავე სიმაღლეზე მდებარე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა აღგილებში, მაგალითად, შიდა ქართლში, ნალექების წლიური რაოდენობა 500 მმ არ აღემატება.

პრაქტიკული, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოების წარმოებისათვის საჭიროა ვიცოდეთ მოსული ნალექების წლიური განაწილება.

დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპირო ზოლის უმეტეს ნაწილში შემოდგომაზე და ზამთარში მნიშვნელოვნად მეტი ნალექი მოდის, ვიდრე დანარჩენ სეზონში. ყველაზე მშრალია გაზაფხულის თვეები. ტემპერატიის შიდა დაბალ ნაწილებში უმცირესი ნალექები მოდის ზაფხულში, მაღალ ნაწილებში განსაკუთრებით წვიმიანია ზაფხული, წლის დანარჩენ სეზონებში ნალექების რაოდენობა თითქმის ერთნაირია.

აღმოსავლეთ საქართველოში ნალექების წლიური მსეულობა უფრო ერთფეროვანია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. აღმოსავ-



სურ. 3. ატმოსფერული ნალექების წლიური გამება.

ლეთ საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ყველაზე შშრალია
ზამთარი და ზაფხულის მეორე ნახევარი. შედარებით უხვნალექანიზაცია
მაისი და ივნისი.

ნალექების დღელამურ მსვლელობაშიც არსებობს ერთგვარი ნაირ-
სახეობა. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზონაში ნალექები
უფრო ხშირად დილის საათებში მოდის, იშვიათად — დღის მეორე
ნახევარში. აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ხშირად წვიმს საღა-
მოს საათებში, იშვიათად — დილის საათებში.

დასავლეთ საქართველოს უხვნალექიან რაონებში შესაძლებელია
250—300 მმ ნალექი მოვიდეს დღე-ღამეში. აღმოსავლეთ საქართვე-
ლოში კი შეიძლება 150 მმ გადააჭარბოს.

ნალექიან დღეთა რიცხვი (ნალექიან დღედ ითვლება ისეთი დღე,
როდესაც დღე-ღამეში 0,1 მმ-ზე მეტი ნალექი მოდის) წელიწადში
საქართველოს ტერიტორიაზე მერყეობს 220-დან 80-მდე.

დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპირო ზოლში ნალექიან დღე-
თა რიცხვი საშუალოდ 170—150 შორის მერყეობს. ადგილის სიმაღ-
ლის ზრდასთან დაკავშირებით ასეთი დღეების რიცხვი იზრდება და
მესხეთის, სამეგრელოს, რაჭისა და სხვა ქედების ზღვისკენ მიქცეულ
ფერდობებზე წელიწადში საშუალოდ 200 აღმატება.

თვეების მიხედვით ნალექიან დღეთა რიცხვი დასავლეთ საქარ-
თველოში საქმაოდ თანაბრადაა განაწილებული (საშუალოდ 10—15
დღე თვეში). აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან
ნაწილში კი დასავლეთ საქართველოსთან შედარებით ასეთი დღეები
საგრძნობლად ნაკლებია და წელიწადში 80—130 დღეს შორის მერ-
ყეობს. იგი განსაკუთრებით მცირეა ქვემო ქართლში (საშუალოდ 80
წელიწადში), სიმაღლის მატებასთან დაკავშირებით ნალექიან დღეთა
რიცხვი აღმოსაფერეთ საქართველოშიც იზრდება და კავკასიონის სამ-
ხრეთ ფერდობის ზოგიერთ ადგილებში 200 დღეს უახლოედება. აქ
ნალექიან დღეთა რიცხვი თვეების მიხედვით არათანაბრად არის განა-
წილებული: იანვარში 4—8, ხოლო მაისში 10—20 დღე.

თოვლის საგურველი

თოვლი არის მდინარეთა საზრდოობის და ნიადაგში სინოტივის დაგ-
როვების მნიშვნელოვანი წყარო. იგი დიდ როლს ასრულებს ჰაერისა
და ნიადაგის თერმულ რეჟიმზე, ამით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს
ამა თუ იმ ადგილის ჰავაზე.

საქართველოს რთულ ოროგრაფიულ პირობებში თოვლის საბურ-
ველი მეტად ცვალებადია: ზოგან სულ არ ჩნდება, ზოგან მთელი
წელი ძევს.

დასავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან 300 მ, ხოლო აობს სავლეთ საქართველოში 500 მ სიმაღლემდე თოვლის საბურველი ზა-ლიან მეტყვევია; ზამთრის განმავლობაში ის ჩამდენჯერმე ჩნდება კუთხით ისევ ქრება. ხშირია ისეთი წლები, როცა თოვლი სულ არ მოდის, ანდა მოდის მეტად უმნიშვნელო რაოდენობით. ამავე დროს, განსაკუთრებით უხვთოვლიან ზამთარსაც ძევს ადგილი, ასე მაგალითად, 1910 — 1911 წლების ზამთარში სოხუმში თოვლის საბურვლის სიმაღლემ მიაღწია 170 სმ, მაშინ, როდესაც მისი საშუალო მრავალწლიური სიმაღლე 2 — 3 სმ უდრის.

დასავლეთ საქართველოში 300 მ, აღმოსავლეთ საქართველოში 500 მ სიმაღლიდან მყარდება მდგრადი თოვლის საბურველი (თოვლის საბურველს მდგრადი ეწოდება, თუ ის ძევს განუწყვეტლივ 30 დღეზე მეტ სანს). ამ სიმაღლებზე მდგრადი თოვლის საბურველი საშუალოდ 30—35 დღეს ძევს. სიმაღლეზე თანდათან იზრდება მისი ხანგრძლივობა და დასავლეთ საქართველოში საშუალოდ 1000 მეტრის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 1200 მ სიმაღლეზე, უფრო ხშირად მთელი ზამთრის განმავლობაში ნიადაგი იფარება თოვლით.

კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე ზღვის დონიდან საშუალოდ 2900 — 3400 მეტრ სიმაღლეზე იწყება მარადი თოვლისა და მყინვარების ზონა. აქ თითქმის მთელი წლის განმავლობაში ნიაღავი დაფარულია თოვლით.

თოვლიან დღეთა რიცხვი უმცირესია დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპირო დაბლობზე (5 — 20 დღე წელიწადში), აღმოსავლეთ საქართველოში კი ქვემო ქართლსა და გარე კახეთში (10 — 15 დღე).

სიმაღლის მატებასთან ერთად თოვლიან დღეთა რიცხვი უველგან იზრდება. უველაზე მეტი ასეთი დღეები არის კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, საღაც მყინვარული ზონის მახლობლად 150 დღეს სჭარბობს.

თოვლის საბურვლის სიმაღლე თანდათანობით იზრდება და ობერელის ბოლოსა და მარტის პირველ ნახევრში აღწევს მაქსიმუმს. ზამთრის უფრო უხვი ნალექებისა და ჰაერის მაღალი სინოტივის შედეგად დასავლეთ საქართველოში თოვლის საბურვლის სიმაღლე უფრო მეტია, ეიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. (ცხადია, ერთსა და იმავე სიმაღლეებზე).

საქართველოს დაბალ ნაწილში თოვლის საბურვლის საშუალო სიმაღლე 2—20 სმ ზორის მეტყველს, სიმაღლეზე მისი სისქე საგრძნობლად იზრდება და კავკასიონის მაღალმთან ნაწილში 150 სმ სჭარბობს. ცალკეულ შემთხვევებში თოვლის საბურვლის სიმაღლე ზღვის სანაპიროებზე 2 მ სჭარბობს, აღმოსავლეთ საქართველოს დაბალ ნაწილ-

ში კი არსად არ აღმატება ხოლმე 0,5 მ, კავკასიონის მაღალ ზონაში ცურნანი სიმაღლის თოვლი არ მოღის. მის დასავლეთ ნაწილში თუმცივე ლის სიმაღლე ზოგჯერ 3—4 მ-ია, აღმოსავლეთ ნაწილში კი 2—3 მ აღმოსავლები.

აორთქლებადობა და დანესტიანების ხარისხი

ატმოსფერული ნალექების რაოდენობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დანესტიანების ხარისხზე, მაგრამ მხოლოდ მოსული ნალექების რაოდენობა ვერ განსაზღვრავს მხარის დანესტიანებას. მაგალითად, თბილისა და ლენინგრადში წლის განმავლობაში თითქმის თანაბარი ნალექი მოღის, მიუხედავად ამისა, ლენინგრადის მიდამოები უფრო დანესტიანებულია, ვიდრე თბილისის. ეს იმიტომ, რომ თბილისში, სადაც ჰაერის ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში უფრო მაღალია, აორთქლებადობა მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ლენინგრადში.

მხარის დანესტიანების გასაგებად ატმოსფერული ნალექის რაოდენობისთან ერთად საჭიროა ვიცოდეთ აორთქლებადობა, ე. ი. თუ რა სიმაღლის წყლის ფენა შეიძლება აორთქლდეს ამა თუ იმ მხარის პირობებში წყლის ღია ზედაპირიდან ან საკმაოდ სკელი ნიადაგიდან.

ისეთ ადგილებში, სადაც შესაძლებელი აორთქლება (აორთქლებადობა) მეტია მოსული ნალექების რაოდენობაზე, ნიადაგში მცენარეებისათვის საჭირო წყლის რაოდენობა არ რჩება, ხოლო ისეთ მხარეში, სადაც ნალექი მნიშვნელოვნად მეტი მოღის, ვიდრე ორთქლდება, ნიადაგი ზედმეტად არის დანესტიანებული.

აორთქლებადობა თავის მხრივ დამოკიდებულია: 1) ჰაერის ტემპერატურაზე (რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით მეტია აორთქლებადობა), 2) შეფარდებით სინოტივეზე (იქ სადაც ჰაერი ნაკლებად არის გაფერებული ორთქლით, აორთქლებადობა მეტია), 3) ქარის სიჩქარეზე (ქარის სიჩქარის გადიდებით აორთქლებადობა იზრდება).

ზაფხულში აორთქლებადობა ყველგან მეტია, ვიდრე ზამთარში, მაშასადამე, ამ სეზონში მეტი ნალექია საჭირო ნიადაგის დანესტიანებისათვის.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, რომელიმე ადგილის დანესტიანების საუკეთესო მაჩვენებელია წლიური ნალექების შეფარდება აორთქლებადობასთან. მიღებულ სიდიდეს დანესტიანების კოეფიციენტი ეწოდება და აღნიშნავენ K ასოთ.

ამრიგად, დანესტიანების კოეფიციენტი

$$K = \frac{P}{E}$$

სადაც P არის ნალექების წლიური რაოდენობა მიღიმეტრობის
E — აორთქლებადობა მიღიმეტრობით.

აორთქლებადობის გასაზომი ხელსაწყო მხოლოდ თბილშემცირებული
შაობდა ხანგრძლივად, ამიტომ აორთქლებადობის სიდიდე საქართვე-
ლოს სხვადასხვა რაიონისათვის გამოანგარიშებულია პარის ტემპერა-
ტურის, შეფარდებითი სინოტივისა და ქარის სიჩქარის მიხედვით,
რისთვისაც გამოყენებულია სათანადო ფორმულა, რომელზედაც ექ-
არ შევჩერდებით.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე K ცველგან მეტია ერთ-
ზე, ე. ი. წლის განმავლობაში მეტი ნალექი მოდის, ვიდრე შეიძლება
აორთქლდეს. ექ არ არის ადგილი. რომელიც საკმაოდ არ იყოს დანეს-
ტიანებული. მეტად ჭარბად დანესტიანებულია შავი ზღვის სანაპირო
ზონა და კავკასიონის, მესხეთის, ლიხის ქედების ზღვისკენ მიქცეული
ფერდობები. ამ რაიონებში ნალექების რაოდენობა 3—5-ჯერ მეტია
აორთქლებაზე. ზომიერად ჭარბად დანესტიანებულია კოლხეთის ბა-
რის აღმოსავლეთი ნაწილი, რავა და შიდა აურა. ამ რაიონებში და-
ნესტიანების კოეფიციენტი მერყეობს 1,5—2,5 ფარგლებში.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი: შიდა და
ქვემო ქართლის ვაკე, ივრის ზეგანი და ახალციხის ქვაბული არასაკ-
მაოდ არის დანესტიანებული. ექ წელიწადში მოსული ნალექების რა-
ოდენობა ნაკლებია შესაძლებელ აორთქლებაზე, დანესტიანების
წლიური კოეფიციენტი შესამჩნევად ნაკლებია ერთზე. ზომიერად და-
ნესტიანებულია შიგნით კახეთის ბარი, ახალქალაქის ცენტრალური
ნაწილი და კავკასიონის ქვემო ფერდობები. ამ ადგილებში დანესტი-
ანების კოეფიციენტი ერთს უახლოვდება. მაღალმთიან აღვილებში
მოსული ნალექების დიდი ნაწილი ჩაღის მდინარეებში, ამიტომ ამ ად-
გილებისათვის მოსული ნალექების რაოდენობის შეფარდება შესაძ-
ლებელ აორთქლებასთან, გვიჩვენებს უფრო მაღალ დანესტიანებას,
ვიდრე სრნამდვილებია.

გ ა რ ი

ქარის მიმართულება, სიდიდე და სიჩქარე საქართველოს როული
ჩელიეფის გამო შესამჩნევად განსხვავებულია. ზამთარში ზღვა უფ-
რო თბილია, ვიდრე ხმელეთი, ზაფხულში კი პირიქით. ამის შედეგად
დასავლეთ საქართველოში ზამთარში გაბატონებულია აღმოსავლეთის
(ხმელეთის), ზაფხულში კი, პირიქით, დასავლეთის (ზღვის) ქარები.

აღმოსავლეთ საქართველოში უმთავრესად გაბატონებულია და-
სავლეთის ქარები, მეორე ადგილი უჭირავს აღმოსავლეთის მიმარ-
თულების ქარებს. ქარების მიმართულების სეზონური ცვლა ექ ისე
ძალიან არ არის გამოხატული, როგორც დასავლეთ საქართველოში..

დასავლეთ საქართველოში დასავლეთის ქარების სიხშირეს აძლიერებს ადგილობრივი ქარები, ე. წ. ბრიზები, ხოლო აღმოსავლეთში სას — ფინნები. გარდა აღნიშნული ქარებისა, საქართველოში საკმაოდ ხშირად წარმოიშობა ადგილობრივი მთა-ხეობის ქარები.

ქარის საშუალო წლიური სიჩქარე არც ისე დიდია, ტერიტორიის უმეტეს ნაწილში 2—8 მ/წმ შორის მეტყეობს. დასავლეთ საქართველოში უფრო ხშირად აღმოსავლეთის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში დასავლეთის მიმართულების ქარია ძლიერი. ქარის სიჩქარე დალეჭულ შემთხვევაში 35—40 მ/წმ აღწევს.

ისეთი დღეების რიცხვი, როდესაც უბერავს ძლიერი ქარი (ძლიერ ქარიანია ისეთი დღე, როდესაც ქარის სიჩქარე 15 მ/წმ მეტია) საქართველოს ზოგიერთ კუთხეში საკმაოდ ხშირია. ამ მხრივ გამოირჩევა ქუთაისი (63 დღე წელიწადში), ხაშური (52 დღე).

ახლა გავეცნოთ რას წარმოადგენს საქართველოში გავრცელებული ბრიზები, მთა-ხეობის ქარები და ფინნები.

ბრიზები ბ. ასე ეწოდება ზღვისპირა ქარს, რომელიც მიმართულებას იცვლის დღე-ღამის განმავლობაში. დღისით ქარი ზღვიდან უბერავს, ღამით კი ხმელეთიდან. ბრიზების წარმოშობის მიზეზია ზღვისა და ხმელეთის არათანაბარი გათბობა დღე-ღამის განმავლობაში. დღისით ხმელეთი უფრო თბება, ვიდრე ზღვის ზედაპირი, ღამით კი, პირიქით, ხმელეთი სწრაფად. ცივდება ზღვის ზედაპირთან შედარებით. ამიტომ დღისით ქარი ქრის ზღვიდან ხმელეთისაკენ, ღამით კი, პირიქით, ხმელეთიდან ზღვისაკენ. ხშირად, რაცა ზღვის სანაპირო ზოლში შემაწუხებელი სიცხეა, დაუბერავს თუ არა ზღვის გრილი და ნოტიო ბრიზი, ჰაერი გრილდება. ზღვის ბრიზები, მართალია, სინოტივეს აღიდებს, სამაგიეროდ პაპანაქება სიცხეს ანელებს, ღარიბია მტვრით და მღიდარია ზღვის მარილებით, რის გამოც სასიამოვნო და სასარგებლოა აღამიანისათვის. ამრიგად, ბრიზები დადებითად მოქმედებს კოლხეთის ჰავაზე. კოლხეთის დაბლობზე ბრიზებს ადგილი აქვს წლის ყველა სეზონში, განსაკუთრებით ხშირია წლის თბილ პერიოდში.

• მთა-ხეობის ქარები. ამ ქარების მიმართულება იცვლება დღისა და ღამის განმავლობაში. დღისით მთისაკენ უბერავს, ღამით კი, მზის ჩასვლის შემდეგ, ზევიდან ქვევით — ბარისაკენ. ამის მიზეზი ის არის, რომ მთისწინეთში მიმდებარე ჰაერი დღისით უფრო მეტად თბება, ვიდრე მის ზედა ნაწილებში, გამთბარი ჰაერი მიიწვევს მაღლა; ღამით კი, პირიქით, ფერდობები ცივდება, რაც მიმდებარე ჰაერსაც აცივებს. ცივი ჰაერი ეშვება დაბლა ბარისაკენ. მთა-ხეობის ქარი საქართველოში თითქმის ყველაგან იცის ზაფხულის თვეებში.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია თბილი და მშრალი ქარი —

ფიონი, რომელსაც ჩეენში ზოგან ცეცხლა ქარს ეძახიან. ფიონში ჩნდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ქედის ერთ მხარეზე წნევა და ბალია, მეორეზე — მაღალი. ასე მაგალითად, როცა აღმოსავლეული ჭარტველოში ატმოსფერული წნევა უფრო მაღალია, ვიდრე დასავლეთში, ჰაერი იწყებს მოძრაობას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ამ დროს ლინის ქედიდან ჰაერი დაღმა ემვება, იკუმშება, თბება და შრება. ფიონი ცუდად მოქმედებს ადამიანის შეგრძნებაზე, განსაკუთრებით, ზაფხულის თვეებში, დიდ ზიანს აყენებს მცენარეულობას ყვავილობის პერიოდში, მცენარეთა ფოთლები ყვითლდება და ხმება. ამავე დროს მას სარგებლობაც მოაქვს, აზომიერებს ჰაერის სინოტივეს, მაღლა სწევს ზამთრის ტემპერატურას. კარბად ნოტიონ ნიადაგს აშრობს, ნაყოფის დამწიფებას აჩქარებს და სხვ.

ფიონები ყველგან ქრის სხვადასხვა სისტემით. დასავლეთ საქართველოში აღმოსავლეთის ქარი. ჩვეულებრივ, ფიონურია. ფიონების სიხშირით გამოიჩინება მდ. რიონის ხეობა. არის შემთხვევები, როცა ფიონი ხუთ და მეტ დღესაც გრძელდება. ფიონი განსაკუთრებით დამახასიათებელია იმერეთისათვის (ქუთაისი, საქართველო, აჭამეთი და სხვ.), საღაც ნოემბრიდან აპრილის ჩათვლით საშუალოდ 75 დღეს ქრის.

ატმოსფეროს განსაკუთრებული მოვლენები

ატმოსფეროში მრავალგვარი მოვლენა ვითარდება, რომელთაც ადამიანის ყურადღება უხსოვარი დროიდან მიიქციეს; ზოგმა თავისი არაჩეულებრივი ლანგში (ცისარტყელა, შარავანდედი და სხვ.), ზოგმა მყაცრი (ელჭექი, სეტყვა და სხვ.) ბუნების გამო. ჩვენ აქ მხოლოდ იმ მოვლენებზე შევჩერდებით, რომლებიც სახალხო მეურნეობაზე აზდენს გავლენას. ასეთებია: ელჭექი, სეტყვა, ლიპყინული, ნისლი.

ელჭექი. სახალხო მეურნეობას დიდ ზიანს აყენებს ელჭექი. იგი ზოგჯერ აჩენს ხანძარს, აფერხებს ელექტროენერგიის ნორმალურ მიწოდებას მოსახლეობისა და წარმოებისათვის. მეხის დაცემა იწვევს დიდ ნგრევს. მეხისაგან შეიძლება დაინგრეს არა მარტო ქვიტყრის შენობები, არამედ რკინა-ბეტონის ნაგებობანიც. ელჭექი ყველაზე საშიშია ჰაერში მყოფი თვითმფრინავებისათვის.

ელჭექი შეიძლება იყოს შორეული და ახლობელი. ახლობელია ისეთი ელჭექი, როცა ელვასა და ქუხილს შორის დრო 10 წამზე ნაკლებია. იმ შემთხვევაში კი, როცა ეს დრო 10 წამს აღემატება, ელჭექი შორეულია. ასეთ შემთხვევაში მარტო ელვას ვხედავთ, ქუხილი კი არ ისმის.

ელჭექი წარმოიშობა თბილი ნოტიონ ჰაერის აღმავალი დინების

დროს გაჩენილ მძლავრ გროვა-წვიმის ღრუბლებში. მას ხშირად /
თან ახლავს კოკისპირული წვიმა და სეტყვა. საერთოდ ელჭექის მახსინათებელია წლის თბილი პერიოდისათვის. ის ზღვის სანაპი-
როებზე იცის ზამთარში.

დასავლეთ საქართველოში ელჭექი ყველა დროსაა მოსალოდნე-
ლი, რა თქმა უნდა, უფრო ხშირია წლის თბილ პერიოდში, განსა-
კუთრებით, ივლის-აგვისტოში; ამ თვეებში საშუალოდ 5—10 დღე
ელჭექიანია. ზამთარში ელჭექი ნაკლებად აღინიშნება, ზოგან რამ-
დენიმე წელში ერთხელ. ელჭექიან დღეთა საშუალო წლიური რა-
ოდენობა დასავლეთ საქართველოში 25—40 შორის შერყეობს.

აღმოსავლეთ საქართველოში ელჭექი მხოლოდ წლის თბილ პე-
რიოდში იცის, იწყება მარტში და მთავრდება ნოემბერში. ელჭექი
ყველაზე ხშირია მაის-ივლისში, საშუალოდ 6—11 დღე. აქ ელჭე-
ქიან დღეთა წლიური რაოდენობა საშუალოდ 30—50-ია. ყველაზე
მეტი ელჭექიანი დღეები აღინიშნულია საქართველოს სამხრეთ მთი-
ანეთში (ბაკურიანში 50, დამანისში 54 დღე).

ს ე ტ ყ ვ ა. სეტყვა სოფლის მეურნეობას დიდ ზიანს აყენებს.
ხშირად სეტყვა ანადგურებს ყანებს, ბალებს, ვენახებს და სხვ. თუ
სეტყვის მარცვლები დიდია, კლავს ფრინველებს და პატარა ცხოვე-
ლებს. სეტყვა აზიანებს არა მარტო ერთწლიან მცენარეებს, არამედ
დროგამოშვებით სავსებით ანადგურებს ზოგიერთ მრავალწლოვან
ნარგავებსაც, განსაკუთრებით ვაზს. ამიტომ სეტყვასთან ბრძოლას დი-
დი ხნის ისტორია აქვს. ამ მიმართულებით ჩვენში ამჟამად დიდი სა-
მუშაოები წარმოებას.

მთიანი ქვეყნები გამოირჩევა საერთოდ ხშირი სეტყვიანობით. სა-
ქართველოში სეტყვა, ყველგან იცის. დასავლეთ საქართველოში სე-
ტყვა მეტად იშვიათია, ყოველწლიურად არ მოღის, ამასთან არ გამო-
ირჩევა დიდი ინტენსივობით, უფრო მეტად აქ ხორხოშელა მოღის. სე-
ტყვა, ელჭექის მსგავსად, წლის ყველა დროსაა მოსალოდნელი. შედა-
რებით ხშირია სეტყვა ზემო იმერეთსა და რაჭა-ლეჩესუმში.

აღმოსავლეთ საქართველოში სეტყვა ყოველ წელს მოღის, თანაც
რამდენიმეგერ. იგი დიდ ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას, განსა-
კუთრებით ზიანდება კახეთის რაიონები. სეტყვისათვის დამახასიათე-
ბელია ის, რომ ჩვეულებრივად დედამიწის ზედაპირი ისეტყვება ზო-
ლებად. ხშირად სოფლის ერთი ნაწილი ისეტყვება, მეორე კი არა. სე-
ტყვა აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ წლის თბილ პერიოდში
იცის, მარტიდან ოქტომბრამდე. ნააღრევი სეტყვა აღინიშნება აპრილ-
ში, ნაგვიანევი — ნოემბერში. ყველაზე ხშირად სეტყვა მოღის მაის-
სა და ივნისში. სეტყვიან დღეთა წლიური რიცხვი ტერიტორიულად
1—9 შორის მერყეობს. ყველაზე მეტი ასეთი დღეები არის სამხრეთ

საქართველოში (4—9 წელიწადში). კახეთში წლიურად 2—3 ლიტრი/ სეტყვიანი. სეტყვით მიყენებული ზარალის მხრივ კახეთი არა მარტო / საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში გამოიჩინება გამოყენებული ლიტრი ინტენსიული. წლის ცივ პერიოდში, განსაკუთრებით მთიან მხარეებში ხშირად წარმოიშობა ლიპყინული. ლიპყინული არის ყინულის შრე, რომელიც ილექტება ყველა საკანზე ყინვის დროს, წვიმის ან თქორის გადაცივებული წვეთების შეყინვის შედეგად. მცირე სიმკვრივისას ლიპყინული რძისფერია, ხოლო დიდი სიმკვრივის დროს გამკვირვალე.

ზოგჯერ ხის ტოტებზე, ტელეგრაფისა და ელექტროგადაცემის ხაზებზე ისეთი დიდი სისქის ლიპყინული ჩნდება, რომ სიმძიმისაგან ხის ტოტები იმტკრევა, მავთულები წყდება. ეს იწვევს მიმოსვლის, სატელეფონო კავშირისა და ელექტროგადაცემს შეფერხებას.

ლიპყინული ჩვეულებრივ წარმოიშობა სუსტი ყინვების დროს ($-0,1$ -დან -5° -მდე), მაგრამ შეიძლება უფრო დაბალი ტემპერატურის დროსაც გაჩნდეს.

საქართველოში ლიპყინული უმთავრესად ჩნდება აღმოსავლეთი-დან და დასავლეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრის დროს. ლიპყინულის გაჩნაში დიდ როლს ასრულებს რელიეფის ფორმა და ქედების მიმართულება, კერძოდ, ლიპყინული უფრო ხშირია ნოტიონ ქარებისაკენ მიქცეულ ფერდობებზე, საწინააღმდეგო ფერდობებზე კი იშვიათია.

ლიპყინული დაბალ ნაწილებში ყოველ წელს არ ჩნდება, ხოლო ჯავახეთის ქედზე, ლიხის ქედის დასავლეთ ფერდობზე, გაგრის ქედსა და მამისონის ულელტეხილზე წელიწადში 3—6 დღეა.

ნისლი. საქართველოში ნისლი კველგან იცის. ტერიტორიულად ნისლიან დღეთა რიცხვი დიდად იცვლება. არის ადგილები, სადაც ნისლი მეტად იშვიათია. ზოგან კი ყოველი მეორე დღე ნისლიანია. ნისლის წარმოშობის ძირითადი პირობებია: ა) თბილი ჰაერის მასის მოძრაობა შედარებით ცივ, ქვემოთ მდებარე ზედაპირზე; ბ) მიწისპირა ჰაერის გადაცივება ღამის საათებში გაძლიერებული გამოსხივების შედეგად.

დაბალ ნაწილებში ნისლი საერთოდ ხშირად არ იცის. დასავლეთ საქართველოში ნისლი შედარებით მეტია გაზაფხულზე, თვეში 3—5 დღე. აღმოსავლეთ საქართველოში კი ზამთრის თვეებში — 5—8 დღე თვეში. ნისლი იშვიათია აგრეთვე ახალქალაქის ზეგანზე — მხოლოდ 15 დღე წელიწადში.

ნისლიან დღეთა სეზონური განაწილება იცვლება აღვილის სიმაღლის მიხედვით, 1600—2000 მ სიმაღლემდე (ზღვის სანაპიროების გამოკლებით). უფრო ხშირად ნისლი წლის ცივ პერიოდში იცის, ზედა ზონებში კი — თბილ პერიოდში.



აღვილის სიმაღლის მატებასთან ერთად საერთოდ ნისლიან დღეთ /
რიცხვიც მატულობს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ეძლევა რეკლამის ფორმას. არსებული მასალების მიხედვით, ყველაზე მეტი ნისლიანი დღეები არის ლიხის ქედზე, წელიწადში 254, ხოლო მცირე — ბორჯომისა და აბასთუმანში — 4—5 დღე.

თავი III

საქართველოს მთავარი გეოგრაფიული მხარეების კავის ჩახასიათება

როგორც ცალკეული კლიმატური ელემენტების დახასიათებიდან დავინახეთ, ჰაერის ტემპერატურა და სინოტივე, ატმოსფერული ნალექები, ქარის რეემი და სხვ. იცვლება როგორც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ისე აღვილის სიმაღლის გადიდებასთან დაკავშირებით, კავკასიონსა და სამხრეთ მთიანეთში. ჰაერის პირობების შეცვლა იწვევს მცენარეების, ნიადაგის და მდინარეთა ქსელის ცვლილებებს. ჰაერის პირობების, აღვილის სიმაღლის და რელიეფის ფორმის სხვადასხვაობა საქართველოს ტერიტორიაზე წარმოშობს სხვადასხვა, ერთმანეთისაგან მცველობის განსხვავებულ ბუნებრივ მხარეებსა და რაიონებს.

პროფ. ილ. გაეგაშვილი საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფს შემდეგ მთავარ ბუნებრივ მხარეებს: საქართველოს კავკასიონი, სამხრეთი მთიანეთი და მთათაშორისი ბარი. ქვევით ვიძლევით ამ მხარეებისა და მათში შემავალი რაიონების ჰაერის დახასიათებას.

როგორც ჰაერის ხასიათის, ისე სასოფლო-სამეურნეო გამოყოფს თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მთათაშორისი ბარი, ამასთან იქ მეტეოროლოგიური საღვურები მეტია, ამიტომ პირველ რიგში ამ ზონას დაეხასიათებთ.

საქართველოს მთათაშორისი ბარი

მთათაშორისი ბარი მდებარეობს კავკასიონსა და სამხრეთ მთიანეთს შორის ჩადაბლებულ ნაწილში. მისი სამხრეთი საზღვარი გასდევს სამხრეთ მთიანეთის ჩრდილოეთ კალთებს, ხოლო ჩრდილოეთი — კავკასიონის სამხრეთ კალთების გორაკ-ბორცვიან მთისწინეთს. იგი საშუალოდ 700—1000 მ სიმაღლემდე ვრცელდება. მისი უმეტესი ნაწილი ვაკეს წარმოადგენს, მაგრამ არის საქმაოდ მაღალი გორაკები

ჰავის, მცენარეულობისა და ნიადაგების ხასიათის მიხედვით შეთა-
შორისი ბარის დასავლეთი ნაწილი მნიშვნელოვნად განსხვავდება ო-
მოსავლეთი ნაწილისაგან; პირველი, რომელიც შავი ზღვის უშუალო
გავლენას განიცდის, ხასიათდება თბილი ხანმოკლე ზამთრითა და ხან-
გრძლივი ზაფხულით, მთელი წლის განმავლობაში მოდის მნიშვნელო-
ვანი ნალექი. მეორე, ლიხის ქედიდან ომოსავლეთით მდებარე ნაწი-
ლი კი ხასიათდება შედარებით ცივი ზამთრით, ცხელი ზაფხულითა
და მცირე ნალექებით.

ზღვიდან დაშორების, აღგილის სიმაღლის მატებისა და რელიეფის
ხასიათის მიხედვით, მთათაშორისი ბარის ზემოთ აღნიშნული ორი
ნაწილი თავის მხრივ იყოფა ერთმანეთისაგან შესამჩნევად განსხვავე-
ბულ ბუნებრივ რაიონებად.

კოლხეთის ბარი მოიცავს კოლხეთის დაბლობს, მიმდებარე
გორაკ-ბორცვიან და მთისწინეთის ზოლს ზღვის ღონიდან დაახლოე-
ბით 500 მ სიმაღლემდე. ეს რაიონი სამი მხრიდან შემოფარგლულია
მაღალი ქედებით, ღია მხოლოდ დასავლეთიდან. ასეთი მდებარეო-
ბა — აღგილის უმნიშვნელო სიმაღლე, თბილი შავი ზღვის სიხლოვე,
დასავლეთიდან ნოტიო ჰაერის მასების შემოჭრის სიხშირე წლის
ყველა სეზონში — განაპირობებს კოლხეთის ბარში ნოტიო სუბტრო-
პიკულ ჰავას.


ჰავისა და ნიადაგის პირობები ხელსაყრელია აქ სითბოს მოყვარუ-
ლი სუბტროპიკული მცენარეულობისათვის. რაიონის მნიშვნელოვანი
ნაწილი დაფარულია ჩაის პლანტაციებით; მანდარინის, ლიმონის,
ფორთოხლისა და ხეხილის ბალებით, მარცვლეული კულტურებიდან.
ფართოდაა გავრცელებული სიმინდი.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა რაიონის უმეტეს ნაწილ-
ში $14-15^{\circ}$ -ია, გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთის ზოლში უფრო და-
ბალია და $12-13^{\circ}$ შორის მერყეობს. უცივესი თვე ყველგან იანვა-
რია, საშუალო ტემპერატურა უდრის $+4, +6^{\circ}$. საბჭოთა კავშირში ყვე-
ლაზე უფრო თბილია გაგრა და აჭარის სამხრეთი ნაწილი, საღაც იან-
ვრის საშუალო ტემპერატურა 7° უახლოვდება.

უთბილესი თვე აგვისტოა, ამ თვეში ჰაერის საშუალო ტემპერატუ-
რა ტერიტორიის უმეტეს ნაწილში მერყეობს $22-23^{\circ}$ შორის. ზა-
ფხული რამდენადმე უფრო ცხელია აფხაზეთის ზღვისპირა ზოლსა და
კოლხეთის დაბლობის ომოსავლეთ ნაწილში. ამ აღგილებში აგვის-
ტოში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 24° აღწევს, ზოგან სჭარბობს
კიდევ — გაგრაში იგი $24,5^{\circ}$ -ია.

ზღვის სანაპიროზე ზამთარი საერთოდ თბილია, მაგრამ დაზღვეუ-
ლი არ არის საგრძნობი ყინვებისაგან, ჩრდილოეთის ცივი ჰაერის მა-
ვნის 30

სების შემოყრის დროს ჰაერის ტემპერატურა შეიძლება დაეცეს 70°C-
მოკლე დროით -8 , -12 -მდე, ზღვიდან დაშორებულ ოდგილების მიმდევა
ჩაკრიცხავთ ნაკლები ტემპერატურის გადაცვა.



სურ. 4. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების
წლიური მსვლელობა ბათუმში. ჰაერის ტემპერატურა:
1 — საშუალო თვეური, 2 — აბსოლუტური მაქსიმა-
ლური, 3 — აბსოლუტური მინიმალური; 4 — ჰაერის
შეფარდებითი სინოტივე; 5 — ნალექი.


მთელ საქართველოში 1910—1911 და 1949—1950 წლებში იყო-
განსაკუთრებით მკაცრი ზამთარი, როცა კოლხეთის ბათუმი ჰაერის აბ-
სოლუტური მინიმალური ტემპერატურა დაცა სოხუმში -12 , სამტ-
რედიაში -16 , საქარაში -20 , ბათუმში -9 -მდე.

როგორც საშუალო თვეური, ისე მინიმალური ტემპერატურის სი-
ღილეების ტერიტორიულ განაწილებაზე მინშვნელოვან გავლენას ახ-
ლენს რელიეფის ფორმა. ფერდობები უფრო თბილია, ვედრე ჩაღაბ-
ლებული აღგილები, სადაც ზამთარში წყნარი ამინდის დროს ცივი
ჰაერის ჩაგუბება ხდება. რელიეფის გავლენა კარგად ჩანს ზედა, შუა
ჰაერის ანასეულის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურებიდან,
და ქვედა ანასეულის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურებიდან,
რელიეფის გავლენის გამო ამ სადგურების აბსოლუტურ მინიმალურ
ტემპერატურათა შორის სხვაობა მეტად შესამჩნევია, ზედა ანასეულ-
ში ის უღრის -13 °, შუა ანასეულში -15 °, ხოლო ქვედა ანასეულ-
ში -18 °.

* 5—29 სურათების პირობითი ნიშნები იგივეა.

ყინვიან დღეთა რიცხვი (ყინვიან დღედ ითვლება ისეთი დღეზე, რომ ას პერიოდში მინიმალური ტემპერატურა 0° -ზე ნაკლებია) რაიონში ფარგლებში მერყეობს. ყველაზე ნაკლებია ის ზღვის სანაპირო ზოლში — საშუალოდ 12—30 დღე, ხმელეთის შიგნით და სიმაღლის მატებასთან ერთად საგრძნობლად მატულობს და ტერიტორიის მეტ ნაწილში საშუალოდ 50 დღეა ყინვიანი. ყინვიან დღეთა სიმცირით გამოირჩევა ფოთის მიღამოები, აქ მხოლოდ 12 დღეა ყინვიანი.

რაიონში ყინვები საშუალოდ იწყება ნოემბერში და მარტის შუა რიცხვებამდე, ზოგ ადგილებში აპრილიმდე გრძელდება. ქუთასში იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც მაისში (1915 წელი) ჰაერის მინიმალური ტემპერატურა 0° -ზე დაბლა დაეცა. სამაგიეროდ, ამ წლის იანვარი იყო განსაკუთრებით ტბილი, მინიმალური ტემპერატურა 0° -ზე მაღალი იყო. ყინვები დიდ ზიანს აენებს სითბოს მოყვარულ მცენარეულობას. განსაკუთრებით არასასურველი მოვლენაა ნააღრევი და ნაგვიანევი ყინვები. ზოგჯერ გაზაფხულობით ნაგვიანევი დილის ყინვები აყვავებულ მცენარეულობას აზიანებს იმდენად, რომ ნაყოფს ვეღარ იძლევა.



სურ. 5. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების
წლიური მსვლელობა სოხუმში.

ზაფხულში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა რაიონში აღწევს $38-42^{\circ}$, მაღალი ტემპერატურებით გამოირჩევა გაგრის მიღამოები. აქ 1961 წლის 18 აგვისტოს ორმომეტრმა უჩვენა 42° .

ხმელეთისა და ზღვის არათანაბარი გათბობა, ქედებისა და ხეობების მონაცვლეობა განაპირობებს კოლხეთის ბარში ქარების სხვადასხვა მიმართულებასა და სიჩქარეს. ზამთარში გაბატონებულია ხმელეთის ქარი; ზაფხულში, პირიქით, ზღვისა. მდ. რიონის ხეობაში წლის ციკ პერიოდში განსაკუთრებით ხშირია აღმოსავლეთის ფიონური ქარი.


რები. ძლიერი ფიონის დროს ხშირად ქარის სიჩქარე 40 მ/წმ სჭირდება; პარას ტემპერატურა უცბად მატულობს, ზოგჯერ 10—15°C-ით მცირდება. ხოლო სინოტივე 5—10%-მდე მცირდება.

ზაფხულის თვეებში ზღვის სანაპიროებზე დღის საათებში ქრის დასავლეთის ნოტიო და შედარებით გრილი ქარი, ღამის საათებში კი ტემპერატურის მშრალი ქარი.

მართალია, ფიონები ცუდად მოქმედებს აღამიანზე და დიდ ზიანს აყენებს მცენარეულობას, მაგრამ მას დადგებითი მხარეებიც აქვს. ზღვის ბრიზები თუ აზომიერებენ ზაფხულის პაპანაქება სიცხეს, ფიონები აშრობენ ზედმეტად ნოტიო ნიაღაგს და ამცირებენ პარას მაღალ სინოტივეს.

ქარის საშუალო სიჩქარე რაიონში მნიშვნელოვანია მხოლოდ მდ. რიონის ხეობაში (ფოთი, ქუთაისი), ძლიერი ქარებიც ამ ხეობაშია უფრო ხშირი, განსაკუთრებით წლის ცივ პერიოდში. აფხაზეთისა და აქარის ზღვის სანაპირო ზოლში ძლიერ ქარიან დღეთა რიცხვი უფრო იშვიათია.

კოლხეთის ბარი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში უცხი ნალექებით გამოირჩევა. წლიური ნალექების რაოდენობა დიდ ფარგლებში მერყეობს. ყველაზე მეტი ნალექი მოდის აქარის ზღვისპირა ნაწილში და განსაკუთრებით მთისწინეთში, აյ წლიური ნალექების რაოდენობა ირყევა 2500—3000 მმ შორის. რამდენადმე ნაკლები ნალექი მოდის გურიაში, დაახლოებით 2000 მმ წელიწადში. ჩრდილოეთით, სანაპიროზე ნალექების რაოდენობა მცირდება და აფხაზეთის ზღვისპირა ვაკეზე და მთისწინეთში საშუალოდ 1400—1700 მმ ნალექი მოდის.



სურ. 6. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების წლიური მსვლელობა სამტრედიაში.


კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში, მდ. რიონის გასწეული რივ, ფოთიდან აღმოსავლეთით ნალექების რაოდენობა ჯერ იზრდება (ფოთში 1700 მმ, ხოლო ჭალადიდში 1760 მმ ნალექი მოდის) კაშვერდებული თანდათანობით მცირდება და აღმოსავლეთ ნაწილში 1300—1400 მმ არ აღემატება. ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში, სამეგრელოს გორაკ-ბორცვიან და მთისწინეთის ზოლში ნალექების წლიური რაოდენობა მნიშვნელოვნად დიდდება და 1700—2000 მმ აღწევს.

კოლხეთის ბარში წლის განმავლობაში ტერიტორიის უმეტეს ნაწილში უდიდესი ნალექი მოდის შემოდგომისა და ზამთრის თვეებში. რაიონში შედარებით მშრალია გაზაფხული, ყველაზე მცირე ნალექი მოდის პრილსა და მაისში.

ნალექიან დღეთა რიცხვი აჭარასა და გურიაში უდრის საშუალოდ 170—180, დანარჩენ ტერიტორიაზე ამაზე ნაკლებია და 125—150 დღის ფარგლებში მერყეობს.

წლიური და თვიური ნალექების რყევა წლამდე კოლხეთის ბარში საემაოდ მნიშვნელოვანია. 1897 წელს ბათუმში მოვიდა 3943 მმ, ხოლო 1911 წელს 1300 მმ ნალექი. აქ თვის განმავლობაში მოსული ნალექებიც დიდ ფარგლებში მერყეობს, მაგალითად, ბათუმში 1916 წლის სექტემბერში 703 მმ, ხოლო 1909 წელს ამავე თვეში მხოლოდ 47 მმ ნალექი მოვიდა.

ამ რაიონში ერთ დღე-ღამეში მოსული ნალექებიც სარეკორდო მაჩვენებლებს იძლევა. აქ შეიძლება მოვიდეს ერთ დღე-ღამეში 300 მმ ნალექი. ფოთში 1931 წლის ივნისში ერთ დღე-ღამეში მოვიდა 268 მმ ნალექი, თითქმის იძდენივე, რამდენიც ერთი წლის განმავლობაში მოდის აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ელდარის დაბლობზე.



სურ. 7. ძირითადი შეტეოროლოგიური ელემენტების წლიური მსვლელობა ქუთაისში.

ნალექები თოვლის სახით შეიძლება მოვიდეს ნოემბრიდან აპრი-
ლამდე. იგი, ჩვეულებრივ, ჩქარა დნება, იშვიათ შემთხვევაში ჭრებით
რამდენიმე კვირას. განსაკუთრებით დიდთოვლიან ზამთარში თოვლის
საბურვლის სიმაღლე ერთ მეტრს აღემატება. შედარებით ხანგრძლივი
და მდგრადი თოვლის საბურველი ჩნდება მთისწინეთის ზოლში.

უცვი ატმოსფერული ნალექები, მდიდარი ცეცხარეული საფარი,
ზღვის ბრიზების სიხშირე, კოლხეთის დაბლობში მთელი წლის მან-
ძილზე მაღალ სინოტივეს აპირობებს. აյ ზამთარში ჰაერი გაფერებუ-
ლია ორთქლით 70—75%, ხოლო ზაფხულის თვეებში 80—85%-ით.
მაღალ სინოტივეს ხელს უწყობს აგრეთვე აյ არსებული ჭაობები,
რომელთაც ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ფართობები უჭირავთ. კოლ-
ხეთის ბარში.

წლის თბილ პერიოდში დიდი სინოტივისა და მაღალი ტემპერა-
ტურის გამო, მიუხედავად ზღვის ბრიზების გამაგრილებელი გავლე-
ნისა, ხშირად ისეთი დღეებია, როდესაც ჰაერი შეხუთულია, ადამია-
ნი ცუდად გრძნობს თავს, ოფლიანდება, გული უწუხს.

კოლხეთის ზღვისპირა ბარში მთელი წლის განმავლობაში იცის
ელექტრი. ხშირად მოდის ხორხოშელა, მაგრამ მას არავითარი ზიანი
არ მოაქვს.


ზღვის სუბტროპიკული ჰავა, გაუყინავი ზღვა, ზღვისპირა სუფთა
და მშრალი პლაჟი, თვალწარმტაცი ლამაზი, ბუნება, სხვადასხვა, სახის
სამკურნალო მინერალური წყალი კოლხეთის ბარის მნიშვნელოვან ნა-
წილს ხდის საკურორტო აღგილად. ამჟამად შავი ზღვის პირას, განლა-
გებულია შემდეგი ცნობილი კლიმატური კურორტები: ბათუმი, მწვა-
ნე კონცხი, ციხისძირი, ქობულეთი, ანკლია, სოხუმი, ახალი ათონი,
ბიჭვინთა, გაგრა და სხვა.

კოლხეთის ბარში მდებარეობს ცნობილი ბალნეოლოგიური კუ-
რორტები: მენჯი, ცაიში, ნაქალაქევი, ტყვარჩელი, ლუგელა და სა-
ხელგანთქმული საკაშირო მნიშვნელობის კურორტი წყალტუბო. მისი
თბილი, რაღიაქტიური წყლების განსაკუთრებული დიდი სამ-
კურნალო თვისებები, საბჭოთა კაშირში და მის ფარგლებს გარეთა-
ცა ცნობილი. წყალტუბოს მინერალური წყლების ტემპერატურა
უდრის 33—35°, ე. ი. უახლოვდება ადამიანის სხეულის ტემპერატუ-
რას, ისე, რომ აბაზანის მიღებისას საჭირო არ არის მისი არც გათბობა
და არც გაცივება. სამკურნალო აბაზანების მიღება წყალტუბოში შესა-
ლებელია მთელი წლის განმავლობაში; აბაზანების მიღებისათვის გან-
საკუთრებით ხელსაყრელი კლიმატური პირობებია გაზაფხულის მეო-
რე ნახევარსა და შემოღვომის თვეებში.

იმერეთის მაღლობი მდებარეობს კოლხეთის ბარის აღ-
მოსავლეთით, 500 მეტრიდან 1200—1500 მ სიმაღლეზე (ზღვის დო-

ნიდან). აქ თავს იყრის რაჭის, მესხეთისა და ლიხის ქედების კალთები. რაიონი მთაგორიანია, დასერილია ხეობებით. ზღვის გავლენის უზრუნველყოფა სუსტებულია, ხმელეთისა კი გაზრდილი. ამის გამო ჰავა უფრო მშრალია, ზამთარი შესამჩნევად უფრო ცივია, ვიდრე კოლხეთის დაბლობზე. იმერეთის მაღლობის დაბალი ნაწილი წარმოადგენს მევენასეობის, მეხილეობა-მებოსტნეობის რაიონს, საქმიოდ გავრცელებულია სიმინდი. ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარების გამო ქაც ბუნებრივი მცენარეული საფარი შეცვლილია კულტურულით, გვედება შერეული და ფოთლოვანი ტყეებიც. კარგად შენახული ტყეებია მაღალ იდგილებში, სადაც წიფელი სჭარბობს, ახალციხე-იმერეთის ქედზე ერევა ნაძვი და სოჭი.

ჰავრის საშუალო წლიური ტემპერატურა რაიონის დაბალ ნაწილში 12—13°-ია, ზედა ნაწილში 6—7°. სიმაღლის მომატებასთან ერთად ზამთარი მკაცრი ხდება, უცივესი თვის — იანვრის ტემპერატურა ზღვის დონიდან 600 მ სიმაღლემდე დადგებითა და მერყეობს 3-დან 0°-მდე, შემდეგ სიმაღლის გადიდებასთან ერთად, 0°-ზე ქვევით ეცემა და 1400 მ სიმაღლეზე —4° ხდება. უთბილესი თვეები ივლისი. ამ თვის საშუალო ტემპერატურა რაიონში მერყეობს 22—16° შორის. ქვემო იმერეთიან შედარებით ეს რაიონი ცივი ზამთრითა და გრილი ზაფხულით ხასიათდება. ზამთარში არც ისე იშვიათად ადგილი აქვს ჰავრის ტემპერატურის ხანმკლე ძლიერ დაცემას, აქ ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმები -16 , -20 °-ია, ყველაზე დაბალი ტემპერატურა აღნიშნული იყო კორბოულის მიდამოებში (-25); ეს დასახლე-



სურ. 8. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების წლიური მსვლელობა ჭიათურაში.

ბული პუნქტი მდებარეობს ზეგანზე, საღაც ზამთარში ნიადაგის გამოსხივების გამო.

ყინვიან დღეთა რიცხვი წელიწადში მერყეობს 30-დან ქვედა ნაწილებში, 90—100-მდე შუა და ზედა ნაწილებში. ყინვიანი პერიოდი ქვედა ნაწილებში იწყება ნოემბერში და გრძელდება აპრილმდე, შუა და ზედა ნაწილებში კი სექტემბერ-მაისამდე.

ზაფხული, მართალია, ცხელი არ იცის, მაგრამ საკმაოდ თბილი და ხანგრძლივია. ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე სავეგეტაციო პერიოდი, 10° -ზე მეტი საშუალო თვეური ტემპერატურით, 5—7 თვეს გრძელდება, ისე რომ აქ სითბური რესურსები ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში სავსებით საკმარისია მარცვლეულისათვის (ხორბალი, სიმინდი), ხეხილისათვის, ბოსტნეულისათვის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის.


ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა დაბალ ნაწილებში 40° -მდე აღის, ზედა ზონებში 32° არ აღემატება.

ზღვიდან დაშორების გამო ბრიზები მხოლოდ რაიონის დაბალ ნაწილებამდე აღწევს, და ისიც მხოლოდ საღამოს საათებში. ამიტომაა, რომ ჭიათურისა და ორჯონიერის მიღამოებში საღამოს საათებში გაბატონებულია დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ქარები. ტერიტორიის უმეტეს ნაწილში კარგად არის განვითარებული მთა-ხეობის ქარები. მათი მიმართულება იმეორებს ხეობების მიმართულებას, ზაფხულის თვეებში დღისით ხშირად აღმა ქრის ქარი, ღამით კი, პირიქით, ზევიდან ქვევით.

წლის ცივ პერიოდში მთელ ტერიტორიაზე ძირითადად გაბატონებულია დასავლეთის ქარი, თბილ პერიოდში აღმოსავლეთის ქარის სიხშირე საგრძნობლად იზრდება. აღმოსავლეთის ქარები, ჩევულებრივ, დაღმავალია და ფინურ ხასიათს ატარებს, დასავლეთის კი აღმავალია და ნოტიო. ამ ქარების დროს მთელ რაიონში უმეტეს შემთხვევაში ნალექები მოდის.

ქარის საშუალო სიჩქარე რაიონის დაბალ ნაწილებში 2—3 მ/წმ უღრის, მაღალ ადგილებში უფრთ ძლიერი ხდება და უდიდესია ლიხის ქედზე. აქ მისი წლიური საშუალო სიჩქარე 8—10 მ/წმ აღწევს. ხშირად ამ ქედზე ქარის სიჩქარე 40 მ/წმ სჭარბობს. ძლიერ ქარიანი დღეები მაღალ ადგილებში მნიშვნელოვანია, ლიხის ქედზე 100 დღეს. სჭარბობს, დაბალ ადგილებში კი მხოლოდ 12—15 დღეა წელიწადში.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონის ფარგლებში სიმაღლეთა შორის სხვაობა მნიშვნელოვანია, ნალექების წლიური რაოდენობა შედარებით უმნიშვნელოდ მერყეობს, ტერიტორიულად 900—1 300 მ ფარგლებში. განსაკუთრებით მცირე ნალექები მოდის მდ. ყვირილის ხეობაში ჭიათურა-სხვიტორის მონაკვეთზე. ეს იდგილი დასავლეთ



სურ. 9. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების წლიური მსჯლობა წიფაში.

საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე უფრო მშრალია. შედარებით მცირე ნალექები მოდის მესხეთის ქედის ჩრდილო კალთებზე. განსაკუთრებით უხევნალექიანია რაჭის ქედის ციცაბო სამხრეთი ფერდობი.

წლის განმავლობაში უდიდესი ნალექები მოდის შემოღვიმა-ზამ-თრის თვეებში, შედარებით მშრალია გაზაფხული და, განსაკუთრებით, ზაფხული. ნალექიან დღეთა რიცხვი რაიონში 130—150 შეაღენს წე-ლიწადში, უხევნალექიანი დღეები (როცა ნალექი დღე-ღამეში 30 მმ-ზე მეტია) არც ისე ხშირია, საშუალოდ მხოლოდ 2—5 დღეა წელიწადში.

ნალექები თოვლის სახით შეიძლება მოვიდეს რაიონის ქვედა ნა-წილებში ნებმბრიდან პარილამდე. აქ თოვლის საბურველი არ არის მდგრადი, იშვიათად ჩნდება მდგრადი თოვლის საბურველი. მისი სა-შუალო სიმაღლე 5—15 სმ-ია. სიმაღლის ზრდასთან ერთად თოვლიან დღეთა რიცხვი იზრდება, მატულობს თოვლის სიმაღლეც და მისი ხან-გრძლივობაც. მაღალ ადგილებში თოვლი შეიძლება მოვიდეს ოქტომ-ბრიდან მასისამდე, დღეთა რიცხვი თოვლის საბურვლით 50—100-ია წელიწადში. მისი საშუალო სიმაღლე აქ აღწევს 40—60 სმ. არის შე-თვევები განსაკუთრებით უხევთოვლიან ზამთარში, როცა თოვლის საბურველის სიმაღლე ერთ მეტრზე მეტია.

საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე 70—78% უდრის, წლის სეზონების მიხედვით სინოტივის მერყეობა უმნიშვნელოა. აღ-მოსავლეთის მშრალი ფიონების დროს შეფარდებითი სინოტივე განსაკუთრებით ეცემა ქვედა ნაწილებში 30%-ზე, ზოგჯერ 15%-ზე დაბლა.

წელიწადში საშუალოდ ცის თალის 55—60% დაფარულია ღრუ-ბლებით. ატმოსფერული ნალექების მსგავსად ღრუბლიანობა უდი-



დესია ზამთარში, უმცირესი კი გაზაფხულზე და ზაფხულში. ღრუბენის დღეთა რიცხვი 120—150 წელიწადში, ხოლო უმზეო დღეთა რიცხვი 60—70 შეაღენს.


ელჭექი რაიონში უმთავრესად თბილ პერიოდში იცის, იშვიათად ზამთრის თვეებში; რაიონის დაბალ ნაწილში წელიწადში 25—30 დღეა ელჭექიანი. ელჭექის მსგავსად, სეტყვა ტერიტორიის დიდ ნაწილზე მოდის თბილ პერიოდში. სეტყვა ამ რაიონისათვის არ არის დამახასიათებელი და, კოლხეთის მსგავსად უფრო ხშირად ხორხოშელის სახით მოდის.

შიდა ქართლის ბარი მოიცავს შიდა ქართლის ვაკეს და ვაკისკენ დაშვებული ქედების ქვემო ფერდობებსა და მთისწინეთს. ვაკის სიმაღლე საშუალოდ 600—800 მეტრია, ხოლო მთისწინეთისა და ქვემო ფერდობების სიმაღლე 800—1 200 მ აღწევს. შიდა ქართლის ბარი თითქმის ყველა მხრიდან ჩაკეტილია საქმაო სიმაღლის ქედებით. ყველაფერი ეს განაპირობებს ამ რაიონის ჰავისა და, საერთოდ, ბუნებრივი პირობების თავისებურებას.

რაიონის მხოლოდ დაბალი ნაწილია მჭიდროდ დასახლებული. აქ განვითარებულია ინტენსიური სოფლის მეურნეობა, რის გამოც ბუნებრივი მცენარეული საფარი შეცვლილია კულტურული მცენარეულობით, მხოლოდ ვაკის ირგვლივ მდებარე ქედებზეა შემოჩენილი ტყეები. რომლის ქვედა ნაწილებში სჭარბობს ქართული მუხა, ზედა ნაწილებში — წიფელი.

შიდა ქართლის ბარის უმეტეს ნაწილში საკმაოდ კონტინენტური, მშრალი, ზომიერად ცივზამთრიანი ჰავაა. კარგი მოსავლის მისაღებად აქ საჭიროა ინტენსიური მორწყვა. მშრალი, ცხელი ზაფხულის გამო ამ რაიონის ხილი მეტი შაქრიანობით გამოირჩევა. აქ განვითარებულია სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი: მემინდვრეობა, მეხილეობა, მევენახობა და სხვ. შიდა ქართლი წარმოადგენს მეხილეობის ძირითად რაიონს საჭართველოში, აქაური ხილი (ატამი, ვაშლი) საუკეთესო ხარისხისაა.

შიდა ქართლის ბარს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გარს არტყია შაღალი ქედები, ამიტომ აქ წლის ცივ პერიოდში თერმული ინვერსიები ვითარდება, რის გამოც ზამთარი აქ უფრო ცივია, ვიდრე საქართველოს სხვა იმავე სიმაღლეზე მდებარე აღგილებში. უცივესი თვის — იანვრის საშუალო ტემპერატურა ვაკის დაბალ ნაწილებში -2° უდრის, მის გარშემო მთისწინეთში -1 — $1,5^{\circ}$, მხოლოდ ზედა ნაწილებშია ტემპერატურა უფრო დაბალი და ეცემა -4° —მდე. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა შიდა ქართლის ვაკეზე საქმაოდ დაბალია და შეიძლება დაცეს -25 — -31° —მდე. ვაკის ძირთან შედარებით აქ ფერდობები მნიშვნელოვნად უფრო თბილია ხოლმე. ასე მაგალითად, 1950



სურ. 10. ძირითადი მეტეოროლოგიური კლემენტების
წლიური მსვლელობა გორში.

წლის იანვრის შუა რიცხვებში ცივი არქტიკული მასების შემოჭრის შემდეგ დიდი ყინვები დაიჭირა, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა იყო: გორში -28 , სკრაში -31° , ბევრად მაღლა მდებარე აღგილებში: დუშეთში -26 და ცხინვალში -28° აღინიშნა.

შიდა ქართლის ბარეში მტკვრის მარჯვენა მხარეზე ზამთარი უფრო თბილია, ვიდრე მარცხენა მხარეზე მდებარე ადგილებში. განსხვავება ვახუშტი ბაგრატიონისაც არ გამოჰქმდა. იგი კავთისხევის ხეობას ახასიათებს, როგორც „ზამთარ თბილს“, ხოლო გორს, როგორც „ზამთარ ცივს და ქარიანს“. ეს შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოებით: მტკვრის მარცხენა მხარეში კავკასიონის მარადი თოვლისა და მყინვარების ზონიდან დროგამოშვებით ეშვება გადაცივებული ცივი ჰაერი, რასაც თრიალეთის ჩრდილო ფერდობზე აღილი არა აქვს.


ყინვები შიდა ქართლის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე იწყება ოქტომბრის ბოლო რიცხვებიდან და მთავრდება აპრილში, მაგრამ ზოგიერთ წელს დილის ყინვები ამაზე გვიანაცა ხოლმე, რის გამოც აყვავებული მცენერები ზიანდება. ყინვიანი დღეების რიცხვი მერყობს წლიურად 90 — 100 -ის ფარგლებში.

რაიონის უმეტეს ნაწილში საშუალო დღედამური ტემპერატურა, ჩვეულებრივ, 10° აღემატება აპრილის შუა რიცხვებიდან ნოემბრის მეორე ნახევრამდე. ამრიგად, სავეგეტაციო პერიოდი 7—8 თვეს უდრის. უთბილესი თვე ყველგან აგვისტოა, რომლის საშუალო ტემპერატურა ზღვის დონიდან 600 — 700 მ სიმაღლეზე 22 — $22,5^{\circ}$ შორის მერყეობს, ზედა ნაწილებში 16 — 17° არ აღემატება. ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 30 — 36° აღწევს.



რაიონის უმეტეს ნაწილში წლის ყველა სეზონში გაბატონებულია დასავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის ქარი. ქარის სიჩქარე საკმარის მნიშვნელოვანია და საშუალო წლიური სიჩქარე 2—5 მ/წმ უდრის. დასავლეთის ქარი, ჩვეულებრივ, გრილი და ნოტიოა. იგი ზაფხულის თვეებშიც მნიშვნელოვნად დაბლა სწევს ჰაერის ტემპერატურას, მხოლოდ ზოგჯერ დასავლეთის ქარს ფიონური ხასიათიც აქვს. აღმოსავლეთის ქარი ზაფხულში ცხელია, ზამთარში ნოტიო და ცივი. აქ ძლიერი ქარები საკმაოდ ხშირია გაზაფხულზე, თვეში 5—10 დღე. აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე ხშირად ძლიერი ქარები უბერავს ხაშურის მიდამოებში. აქ წელიწადში 52 დღეა ძლიერ ქარიანი.

როგორც ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესების და მასთან დაკავშირებით ამინდის მსვლელობის განხილვის დროს დავინახეთ (თავი II), დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრა, ჩვეულებრივ, არ იძლევა ნალექების დიდ რაოდენობას შიდა ქართლში, ამიტომ იგი სიმშრალით ხასიათდება. წლიური ნალექების რაოდენობა ამავე სიმაღლეზე მდებარე სხვა აღგილებთან შედარებით ნაკლებია და მერყეობს 450—600 მმ-ის ფარგლებში. მხოლოდ რაიონის ზედა ნაწილებში კავკასიონისა და ლიხის ქედის ფერდობებზე 700—800 მმ აღწევს. სიმშრალით გამოირჩევა თრიალეთის ქედის ჩრდილოეთი ფერდობი, საღაც აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასების ფერდობის გასწვრივ ქრის და არ ვითარდება აღმავალი დრენა: აქ სამხრეთიდან შემოსული ჰაერის მასაც არ იძლევა უხვ ნალექს, ვინაიდან ფერდობებზე დაშვებისას თბება და შრება. შიდა ქართლში უხვი ნალექი მხოლოდ იშ-



სურ. 11. ძირითადი შეტეაროლოგიური ელემენტების წლიური მსვლელობა ცხინვალში.


შემთხვევებში მოდის, როცა რომელიმე მხრიდან ჰაერის გასაცემა
ძლიერი შემოჭრა ხორციელდება.

შიდა ქართლის ბაზში ნალექების წლიურ მსვლელობაში კარგად
გამოხატული ორი მაქსიმუმი და ორი მინიმუმი შეიმჩნევა. მთავარი
მაქსიმუმია მაისში, მეორადი — სექტემბერ-ოქტომბერში. ნალექე-
ბის სიმცირით გამოიჩინება იანვარი, მეორადი მინიმუმია აგვისტოს
თვეში.

წლის განმავლობაში ნალექიან დღეთა რიცხვი შიდა ქართლის
ვაკეზე წელიწადში მერყეობს 100—120 ფარგლებში: მთისწინეთის
ზოლში — 120—160 შორის, ხოლო ლიხის ქედსა და კავკასიონის
ფერდობებზე 200 დღეს აღწევს. ნალექიან დღეთა წლიური მსვლელო-
ბა კარგად შეესაბამება ნალექების წლიურ მსვლელობას, მაქსიმუმია
მაისში, მინიმუმი — იანვარში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს რაიონი ნალექებით შედარებით ღარი-
ბია, ზოგჯერ ერთ თვეში მოსული ნალექი სარეკორდო მაჩვენებელს
აღწევს. ასე მაგალითად, 1895 წლის ნოემბერში გორში მოვიდა
202 მმ ნალექი, ერთ დღე-ღამეში კი 71 მმ. რა თქმა უნდა, უფრო
ხშირად არის ისეთი გვალვიანი პერიოდი, როდესაც ერთსა და მეტი
თვეს ნალექი სულ არ მოდის. ასე იყო 1895 წ. იანვარში. ამ თვეში
ნალექი სულ არ მოსულა. უნალექო იყო თებერვლის მეორე და
დეკემბრის პირველი ნახევარიც.

შიდა ქართლის ვაკეზე საქმაოდ სველი ნიაღაგის პირობებში
მნიშვნელოვნად იმაზე მეტი შეიძლება ორთქლდეს, ვიდრე ატმო-
სფერული ნალექი მოდის, განსაკუთრებით წლის თბილ ნახევარში. ეს



სურ. 12. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების
წლიური მსვლელობა დუშეთში.

ხალექები თოვლის სახით რაიონის ქვემო ნაწილებში შეიძლება
შოვიდეს ნოემბრიდან აპრილამდე. მდგრადი თოვლის საბურველი
არც ისე ხშირად ჩნდება, აქ 40—50 თოვლიანი დღეა წელიწადში,
ზედა. ნაწილებში 100 დღესაც უახლოვდება. თოვლის საბურვლის
საშულაო სიმაღლე ქვედა ნაწილებში უდრის 5—10 სმ, ზედა ნაწი-
ლებში 20—30 სმ აღწევს.

შიდა ქართლის ბარში ღრუბლიანობა დიდი არ არის, წელიწად-
ში საშუალოდ ვაკეზე ცის თაღის 40—45% დაფარულია ღრუბლე-
ბით, ფერდობებზე კი 55—60%. ამასთან ღრუბლიანობა ყველგან
შეტია ზამთარში, ნაცლებია ზაფხულის თვეებში.

ნალექების სიმცირის მოუხედავად, შიდა ქართლის ბარში მთელი
წლის განმავლობაში ჰაერი საკმაოდაა გაჭერებული წყლის ორთ-
ქლით. საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე მერყეობს 70—
75% შორის, ზამთარში უდიდესია და 80—85% უახლოვდება,
ზაფხულში 10—15%-ით უფრო დაბალია, ვიდრე ზამთრის თვეებ-
ში. სინოტივის განსაკუთრებულ შემცირებას აღვილი აქვს მაშინ,
როდესაც ფიონური ან აღმოსავლეთის მშრალი ქარი უბრავს.

ამ რაიონში ხშირია ელჭექი და სეტყვა. ელჭექიან დღეთა რიცხვი
25—45-ია, ხოლო სეტყვიანი 1—2 დღეა წელიწადში. ზამთრის
თვეებში ელჭექი არ იცის; მარტში და ნოემბრშიც მეტად იშვიათია,
უფრო ხშირად აღილი აქვს აპრილიდან ოქტომბრამდე. შიდა
ქართლის სოფლებს ზოგჯერ ისე სეტყვავს, რომ სასოფლო-სამეუ-
რნეო კულტურები საგრძნობლად ზიანდება.

ქვემო ქართლის ბარი მდებარეობს მდ. მტკვრის ორივე
მხარეს — ზემო ავჭალიდან მდ. ხრამის შესართავამდე. სამხრეთი და,
ნაწილობრივ, სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი მოუყვება სომხეთისა
და აზერბაიჯანის სსრ საზღვარს. აღმოსავლეთით ესაზღვრება ივრის
ზეგანი, დასავლეთიდან შემოფარგლულია ჭავახეთის და თრიალეთის,
ხოლო სამხრეთიდან ლოქის ქედების ფერდობებით. ქვემო ქართლის
ბარში გამოიყოფა ორი მთავარი ნაწილი — თბილისის ქვაბული და
ქვემო ქართლის ვაკე. გარდა იმისა აქ გაერთიანებულია ზემოთ
აღნიშნული ქედების ქვემო ფერდობები და მთისწინეთი, რომელთა
სიმაღლე ზღვის დონიდან დახლოებით 1000—1400 მ აღწევს.
რაიონი ლიაა აღმოსავლეთიდან, საიდანაც თავისუფლად იჭრება
ჰაერის მასები. ამ მხარის ხშირი სტუმარია მდ. მტკვრის ხეობით
დასავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასებიც.

შიდა ქართლის ბარის მსგავსად, ეს რაიონიც ძირითადად
სამიწათმოქმედოა. ნიადაგისა და ჰავის პირობები ხელს უწყობს

აქ სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის: მევენახეობის, მებაზონის, დეობა-მებაზონის განვითარებას. საძოვრების სიმრავლე, პრინციპების თან თბილი უთოვლო ზამთარი ხელს უწყობს მესაქონლეობის განვითარებას.

ამ რაიონის ჰავაც შშრალი და კონტინენტურია. ნიადაგს ესაჭიროება ხელოვნური მორწყვა. ნალექებით შედარებით უზრუნველყოფილია გაზაფხული.

ქვემო ქართლის ბარის უმეტესი ნაწილი ველებს უკავია. აქ გავრცელებულია შშრალი ველებისათვის დამახასიათებელი მცენარეულობა. მთის ფერდობების მეტი ნაწილი დაფარულია ტყეებით, რომლის ქვედა ნაწილებში მუხა და რცხილა სჭირდობს, ზედა ნაწილებში — წიფელი.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა ვაკე აღგილებში 12—13° უდრის, ზედა ნაწილებში 7—8°-მდე ეცემა.


ქვემო ქართლის ბარში ხშირად ამინდის ანტიციკლონური ტიპია გაბატონებული, ამიტომ ზამთარი შშრალია, ღრუბლიანობა კი ზომიერი, კარგად არის გამოხატული თერმული ინვერსია, ეს ის შედარებით მაღლა მდებარე ზოვიერთი აღგილი უფრო თბილია, ვიდრე დაბლა მდებარე აღგილები, მაგალითად, თბილისში იანვრის საშუალო ტემპერატურა 0,5°-ია მაშინ, როდესაც 100 მ დაბლა მდებარე გარდაბანში მხოლოდ 0°.

რაიონში უცივესი თვეები იანვარია. ამ თვეში ჰაერის საშუალო ტემპერატურა დაბალ ნაწილებში მეტყეობს 0°-ის მახლობლად, ზედა ნაწილებში —3° შეადგენს. ყინვები იწყება ნოემბერში და მთავრდება აპრილში. რა თქმა უნდა, ცალკეულ წლებში ყინვიანი პერიოდი საგრძნობლად იცვლება. რაიონი დიდი ყინვებისაგან არ არის დაზღვეული. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა შეიძლება დაეცეს —20—25°-მდე, მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია და ადგილი აქვს 20—25 წლიწადში ერთხელ.

უთბილესი თვეებია ივლისი და აგვისტო. რაიონის დაბალ ნაწილში ამ თვეებში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 24°-ზე მეტია, უკიდურეს სამხრეთ ნაწილში 25° რამდენადმე აღემატება. ტყეებით დაფარულ მაღლა ადგილებში ზაფხული შედარებით გრილია, უთბილესი თვის ტემპერატურა ზედა ზონებში 17—16°-ია.

სავეგეტაციო პერიოდი, ჰაერის საშუალო ტემპერატურით (10°-ზე მეტი), დიდ ხანს გრძელდება და ტერიტორიის მეტ ნაწილში საშუალოდ 200 დღეს სჭირდობს.

ქვემო ქართლის ვაკის სამხრეთ ნაწილში, როგორც უკვე აღვნიშვნეთ, ზაფხული განსაკუთრებით ცხელია, მაქსიმალური ტემპერატურა არც ისე იშვიათად 40°-მდე აღის.



სურ. 13. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების
წლიური მსვლელობა თბილისში.


ქვემო ქართლის ბარში მთელი წლის განმავლობაში გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთის ქარი, წლის თბილ პერიოდში მთისა და ბარის ქარების განვითარების გამო, აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარების სიხშირე მატულობს. როგორც სიხშირით, ისე სიჩქარით გამოიჩინევა ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ქარი, სხვა მიმართულების ქარები შედარებით სუსტია. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე ტერიტორიის მეტ ნაწილში 2—3 მ/წმ უდრის, გარდაბნისა და სამგორის გაშლილ ველებზე ქარის სიჩქარე საგრძნობლად მატულობს, ზოგან საშუალო წლიური სიჩქარე უდრის 6—7 მ/წმ. ცალკეულ შემთხვევებში ჩრდილო-დასავლეთის ქარის სიჩქარე 40 მ/წმ სჭირდობს.

ზაფხულის თვეებში მკაფიოდაა გამოსახული ქარის მიმართულების დღელამური ცვლა, ღილისა და საღამოს საათებში მნიშვნელოვნად სჭარბობს ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის ქარები, შუაღლისას საწინააღმდევო მიმართულების, ე. ი. სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარები იწყებს ქროლვას.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში და, კერძოდ, ქვემო ქართლში უმნიშვნელო ნალექი მოდის, განსაკუთრებით ღარიბია ნალექებით მისი სამხრეთი ნაწილი, ვინაიდან აქ არც დასავლეთიდან და არც აღმოსავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრა მნიშვნელოვან ნალექებს არ იძლევა. რაიონის სამხრეთ ნაწილში ნალექების წლიური რაოდენობა ტერიტორიულად მერყეობს 350—450 მმ ფარგლებში. მთისწინეთის ზოლში, დაახლოებით 500—

600 მ სიმაღლემდე ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს
 500—600 მმ ფარგლებში, მხარის მაღლობ ადგილებში კი 700—
 800 მმ უდრის. ნალექების ტერიტორიული განაწილება როგორიცაა
 საერთოდ, ისე აქაც, გარდა სიმაღლისა დამკიდებულია რელიე-
 ფის ფორმაზე. არც ისე იშვიათად უფრო მაღლა მდებარე ადგილებში
 ნალექები ნაკლებია, ვიდრე დაბალ ადგილებში. მაგალითად,
 თბილისში უფრო მეტი ნალექი მოდის, ვიდრე გაზიანში, მიუ-
 ხედავდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი თბილისზე დაახლოებით 200 მ
 მაღლა მდებარეობს. ეს განპირობებულია იმით, რომ გაზიანი
 უფრო გაშლილ ადგილას მდებარეობს, თბილისი კი ვიწრო ხეობა-
 შია, სადაც ჰაერის მასების კონვერგენციისათვის ხელსაყრელი
 პირობებია შექმნილი.

ნალექების წლიური და, განსაკუთრებით, თვიური ჯამების
 მერყეობა წლიდან წლამდე როგორც საქართველოს სხვა რაიონებ-
 ში, აქაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. გარდაბანში 1936 წელს მო-
 ვიდა 655 მმ ნალექი, ე. ი. ნორმის 170%, ხოლო 1945 წელს მო-
 ვიდა 262 მმ, ნორმის 60%. ყველაზე უფრო მეტი ნალექი — 780 მმ
 თბილისში 1850 წელს მოვიდა, 1936 წელს — 752 მმ და 1920 წელს
 742 მმ. უმცირესი ნალექი მოვიდა 1851 წელს — 345 მმ და 1925
 წელს — 359 მმ. ნალექების ასეთი გადახრები საშუალო მრავალ-
 წლიურიდან იშვიათია. თვიური ნალექების მერყეობა ბევრად უფრო
 მნიშვნელოვანია, ვიდრე წლიური რაოდენობის მერყეობა. არც ისე
 იშვიათია ისეთი წლები, როდესაც, განსაკუთრებით, ზამთრისა და



სურ. 14. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების
 წლიური მსვლელობა გარდაბანში.

ზაფხულის რომელიმე თვის განმავლობაში, 1 — 5 მმ ნალექი მოდის. ერთ თვეში მოსული ნალექები ზოგჯერ დიდ ოდენობას აღწევს. ზე მაგალითად, თბილისში 1874 წლის სექტემბერში მოვიდა 200 მმ მარტინია ხოლო 1888 წლის მაისში 228 მმ ნალექი. ერთ დღე-ღამეში მოსულს ნალექმა შეიძლება 130 მმ გადაჭარბოს.

ნალექების წლიური მსვლელობა მთელ რაიონში ერთნაირია. მთავარ მინიმუმს ადგილი აქვს ყველაგან იანვარში და მერყეობს ტერიტორიულად 10 — 30 მმ ფარგლებში, მეორადი მინიმუმი აგვისტოშია (25 — 60 მმ), მთავარი მაქსიმუმი მაისშია (65 — 125 მმ), მეორად მაქსიმუმს ადგილი აქვს უმეტეს შემთხვევაში სექტემბერ-ოქტომბერში (35—80 მმ).

ნალექიან დღეთა ჩიცხვი სტეპურ ზონაში 80 — 85-ია, სიმაღლეზე ნალექების ზრდასთან ერთად იზრდება ნალექიან დღეთა ჩიცხვიც და ზედა ზონებში 120 უახლოვდება.

ნალექი თოვლის სახით შეიძლება მოვიდეს ნოემბრიდან აპრილამდე. თოვლიანი დღეები არც ისე ხშირია და ტერიტორიულად 10 — 15 დღეს შორის იცვლება. თოვლის საბურკვლის სიმაღლეც არ არის დიდი, განსაკუთრებით უხევთოვლიან ზამთარში მაქსიმალური სიმაღლე 30 — 35 სმ არ სცილდება. ქედების ფერდობებზე თოვლიან დღეთა რიცხვი და მისი სიმაღლე საგრძნობლად იზრდება.

ქვემო ქართლის ბარში ღრუბლიანობა და ჰაერის ორთქლით გაუღნითობა დიდი არ არის. საშუალოდ წელიწადში ცის თაღის 50% -ზე ნაკლებია დაფარული ღრუბლებით. შედარებით მეტია ღრუბლიანობა ზამთარში და გაზაფხულობით, მცირეა ზაფხულში. საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე რაიონში 65% უახლოვდება; ღრუბლიანობის მსგავსად, მაღალი სინოტივეა ზამთარში და გაზაფხულზე, უმცირესი — ზაფხულში. განსაკუთრებით დაბალია შეფარდებითი სინოტივე შუაღლის სათებში.

შიდა ქართლის ვაკის მსგავსად, აქც საქმიოდ სკელი ნიაღავის პირობებში, მნიშვნელოვნად იმაზე მეტი ორთქლდება, ვიღრე ატმოსფერული ნალექები მოდის, ამის გამო რაიონი ხელოვნური მორწყვის გარეშე კარგ მოსავალს არ მოგვცემს.

ელსექი ქვემო ქართლში საქმიოდ ხშირი მოვლენაა, დაბალ ადგილებში შედარებით უფრო იშვიათია — 30 — 35 დღე, ფერდობებზე უფრო ხშირია — 45 — 50 დღე წელიწადში. მხარის ამ ნაწილში ელსექის სიხშირეზე მიუთითებდა ჭერ კიდევ განუშტი ბაგრატიონი, რომელიც აღნიშნავდა, აქ ხშირი ელსექინობის გამო მეაბრეშუმეობა ვერ ვითარდება. შემჩნეულია, რომ ელსექის დროს აბრეშუმის ჭია იღებება. ელსექი და სერტკა აქ მხოლოდ წლის თბილ პერიოდში იცის, ყველაზე ხშირია მაისში და ივნისში არც ისე იშვიათად ეს მხა-

შიგნით კახეთის ბარი მდებარეობს, ერთი მხრივ, კახე-
თის კავკასიონსა და, მეორე მხრივ, ცივ-გომბორის ქედსა და ივრის ზე-
განს შორის. ივი სამი მხრიდან ჩაეყტილია ქედებით, მხოლოდ სამხ-
რეთ-აღმოსავლეთით თანდათან გადადის აგრიჩაის ვაკეში. ბარის ძირი
უკავია ალაზნის ვაკეს, რომელიც მაღლდება და გადადის მთისწინეთის
ზოლში. გვის სიმაღლე 200—470 მეტრს შორის მერყეობს, მთისწინე-
თისა კი 700—800 მ შორის. შიგნით კახეთი ისეთ სამკუთხედს წაა-
გას, რომელსც ფუძე დაბლობისაკენ აქვს გაშლილი. ასეთი მოყვანი-
ლობის გამოა, რომ მისი ჰავა მნიშვნელოვნად განსხვავდება აღმოსავ-
ლეთ საქართველოს სხვა იმავე სიმაღლეზე მდებარე აღგილების ჰავი-
საგან. შიგნით კახეთის უმეტეს ნაწილში ზამთარი და შემოდგომა
უფრო თბილია, ჰავების სინოტივე — მაღალი, ნალექების რაოდენო-
ბა — მეტი, ქარი უფრო სუსტი, ვიდრე ეს შიდა და ქვემო ჭარბობია.

შიგნით კახეთში მდ. ალაზნის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა
მხარის ვაკეზე გატრელებულია ჯაგეკლიანი ველები, მაგრამ ამასთა-
ნავე აქა-იქ შემორჩენილია ტყის მცირე კორომები (უფრო გალმა მხა-
რებში). მარჯვენა მხარის ვაკეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გამო-
ხატულია ველის ბალახეულობა. ამჯამად ბუნებრივი ლანდშაფტი
თითქმის შეცვლილია კულტურული მცენარეებით.

შიგნით კახეთი ხასიათდება ზომიერად ნოტიო ჰაფ-
ხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით. აქაური ჰავა და ნიადაგები
ზელს უწყობს სოფლის. მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებას;
მთავარი ამ რაიონისათვის მევენახეობაა, კარგად არის განვითარებული
მემინდვრეობა და მეხილეობა, მებოსტნეობა-მებალჩეობა. ლაგოდეხის
რაიონი სხვა რაიონებთან შედარებით უფრო ნალექიანია, მისი ჰავა და
ნიადაგები ხელსაყრელია თამბაქოს მოსაყვანად.

შიგნით კახეთში საშუალო წლიური ტემპერატურა საქმაოდ მაღა-
ლია და ტერიტორიულად 11 — 13° ფარგლებში იცვლება. უცივესი
თვე აქცი იანვარია, მაგრამ, შიდა ქართლისაგან განსხვავებით, აქ ეს
თვე უფრო თბილია, რაც იმ გარემოებითაა განპირობებული, რომ მდ.
ალაზნის ვაკე დახრილია სამხრეთ-აღმოსავლეთით და ცივი ჰავები ვერ
ჩერდება, ის მიედინება ქვევით აგრიჩაის დაბლობისაკენ. იანვრის
საშუალო ტემპერატურა 0°-დან 1°-მდე მერყეობს, მაგრამ არ არის გა-
მორიცხული ისეთი წლებიც, როცა ზამთრის თვეებში საშუალო ტემ-
პერატურა 0°-ზე დაბლა ეშვება. ყინვა შესაძლებელია საშუალოდ ნო-
ემბრის მეორე დეკადიდან, უკანასკნელ ყინვებს ადგილი აქვს საშუა-

ლოდ მარტის მესამე დეკადაში. ყინვიან დღეთა საშუალო რიცხვი მდგრადი იყობს 55-დან 84-მდე წელიწადში.


აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ფერდობებზე არ ჰქონდება, მა -20° ქვევით, ვაკეზე კი შეიძლება დაცუს $-23, -24^{\circ}$ -მდე, მაგრამ ისიც ძალიან იშვიათად.

ჰაერის უკიდურესი აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა შიგნით კახეთში განპირობებულია ომოსავლეთიდან კონტინენტური ცივი პოლარული და არქტიკული ჰაერის მასების შემოჭრით.

უთბილესი თვეებია ივლისი და აგვისტო; აგვისტოს საშუალო ტემპერატურა ქვემო ნაწილებში უდრის 24° , ზემოთ -21° . ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი საქმაოდ მაღალია და $35 - 40^{\circ}$ აღწევს.

მხარის უმეტეს ნაწილში საშუალო დღელამური ტემპერატურა, ჩვეულებრივ, აღმატება 10° პრილის პირველი დეკადიდან და 10° -ზე დაბლა ეშვება ნოემბრის პირველ დეკადაში. ამრიგად, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა უდრის 7 — 8 თვეს. ამასთან შემჩნეულია, რომ შემოდგომა შიგნით კახეთში შესამჩნევად თბილია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის მაღალი ხარისხისათვის; შემოდგომის თვეების მაღალი ტემპერატურა განსაკუთრებით ზრდის ყურძნის შაქრიანობას.

შიგნით კახეთში ქარი უმთავრესად ხეობების გასწრივ ქრის, წლის თბილ პერიოდში აღმოსავლეთის ქარის სიბრტყე მატულობს. ლავოდების მიდამოებში კი მთელი წლის განმავლობაში გაბატონებულია ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი. მთელ ტერიტორიაზე ზაფხულის თვეებში კარგადაა განვითარებული მთა-ხეობის ქარები. ქარი აქ საერთოდ



სურ. 15. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების წლიური მსვლელობა თელავში.

არ არის ძლიერი. მისი საშუალო სიჩქარე ტერიტორიის მეტ ნაწილზე არ აღემატება 1,5 — 2,5 მ/წმ. ქარი უფრო ძლიერია მარტში. ძლიერიანი დღეების რიცხვი აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხით ისევა არ გამოიყენება ან მარტის მიზანისას შედარებით მცირეა, წელიწადში 10 — 15 დღეს უდრის.

რაიონის უმეტეს ნაწილში საქართველოს რაოდენობის ნალექები მოდის. უფრო უმეტეს ნალექიანია რაიონის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი — პანკისის ხეობა. აქ ნალექების წლიური ჯამი 1200 მმ უახლოვდება. მდალაზნის მარჯვენა მხარეზე, ახმეტიდან გურჯაანამდე, საშუალო წლიური ნალექები მერყეობს 700—800 მმ ფარგლებში, ხოლო გურჯაანიდან სამხრეთით 600—700 მმ მორის. მდ. ალაზნის მარცხენა მხარეში მეტი ატმოსფერული ნალექი მოდის, ვიდრე მარჯვენაში. აქ ნალექების წლიური რაოდენობა 900 — 1000 მმ აღწევს.

ნალექების საშუალო თვეური რაოდენობა მთელ რაიონში უდიდესია მაისში — 100 — 170 მმ, მეორე უფრო სუსტი მაქსიმუმი სექტემბერ-ოქტომბერშია. უმცირესი ნალექები მთელ ტერიტორიაზე მოდის იანვარში — 15 — 40 მმ, მეორად მინიმუმს აღვილი აქვს აგვის-ტოში.


ცალკე წლებში ნალექების როგორც წლიური, ისე თვეური სიდიდე უემდლება მნიშვნელოვნად მეტი ან ნაკლები იყოს საშუალო მრავალ-წლიურზე. ზოგიერთ თვეში შეიძლება ნალექები სულ არ მოვიდეს ან მოვიდეს მეტად მცირე რაოდენობით. მცირე ნალექიანობა უფრო მოსალოდნელია ზაფხულის მეორე ნახევარში, გაზაფხული და ზაფხულის დასაწყისი უფრო ხშირად უზრუნველყოფილია ნალექებით.

ნალექების დღელამური მაქსიმუმი მნიშვნელოვანია, ტერიტორიის დიდ ნაწილში მერყეობს 80 — 148 მმ შორის. ყველაზე დიდი დღელამური ნალექი აქ აღნიშნულია ლაგოდეხის მეტეოროლოგიური სადგურის, მიერ 1937 წ. მაისში — 148 მმ.

ნალექიან დღეთა რიცხვი აქ 90 — 130-ია. მათი წლიური განაწილება კარგად შეესაბამება ნალექების წლიურ მსელელობას. უფრო წვიმიან თვეებში, მაისსა და ივნისში, ნალექიანი დღეებიც მეტია, იანვარში კი მცირე.

შიგნით კახეთის მთელ რიგ აღგილებში ნალექი ზამთრის თვეებში-აც უმთავრესად წვიმის სახით მოდის, მაგრამ თოვლი შეიძლება მოვიდეს ნოემბრიდან აპრილამდე. მდგრადი თოვლის საბურველი ყოველ-წლიურად არ მყარდება. თოვლიან დღეთა რიცხვი საშუალოდ 14 — 27-ია. თოვლის საბურვლის საშუალო სიმაღლე 5 — 20 სმ აღწევს.

შიგნით კახეთში ღრუბლიანობა ზომიერია, ტერიტორიის დიდ ნაწილში საშუალოდ წელიწადში ცის თაღის 60 — 65% ღრუბლებითაა დაფარული. ყველაზე მეტი ღრუბლიანობა მდ. ალაზნის მარცხენა მხარეზე და პანკისის ხეობაში იცის. მდ. ალაზნის მარჯვენა მხარე შე-



სურ. 16. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების
წლიური მსვლელობა შირაკში.

დარებით ნაკლები ღრუბლიანობით ხსიათდება. ღრუბლიანობის მინიმუმი მთელ ტერიტორიაზე აგვისტოშია, მაქსიმუმი თებერვალში. საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე რაიონის უმეტეს ნაწილში 70—75% უდრის, თვეების მიხედვით პარაზიტულაზე მეტად გაუღენ-თილია წყლის ორთქლით ნოემბერში, ყველაზე მშრალია აგვისტო.

ელექტრის დღეთა საშუალო წლიური რიცხვი 32—44 მთრის მეტ-ყობს. ელექტრი, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა აღგილების მსგავ-სად მხოლოდ წლის თბილ პერიოდში ვითარდება, უფრო ხშირია მა-რისა და ივნისში (7—10 დღე). აქ ნაადრევი ელექტრი აღნიშნულია თე-ბერვალში, ხოლო ნაგვიანევი ნოემბერში. ელექტრან ერთად ხშირად იცის სეტყვა, რომელიც დიდ ზიანს აენებს სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით კი მევენახობას. დასეტყვის მხრივ კახეთი აღმოსავ-ლეთ საქართველოს სხვა რაიონებიდან განიჩევა არა იმდენად სეტყ-ვის მეტი სიხშირით, რამდენადაც თვით სეტყვის მარცვლის სიდიდით და მისგან მიყენებული ზარალით. თბილისის ობსერვატორიის ბიუ-ლეტენებში არის მთელი რიგი ცნობები კახეთის ამა თუ იმ ადგილის ძლიერი დასეტყვის შედეგად ვენახისა და ხეხილის ბალების, ბოსტნე-ბისა და ყანების განაღვეურების შესახებ. დაკვირვებლები ხშირად აღნიშნავენ, რომ სეტყვის მარცვლები კვერცხისოდენა იყოთ. კახეთში მოსული სეტყვის ერთი შემთხვევა აღწერილი აქვს დ. ბაგრატიონის, კერძოდ, 1898 წელს. თელავში მოსულა სეტყვა, სეტყვის ზოგიერთი

მარცვლის წონა 300 გრამი და მეტი ყოფილა, მოუკლავს 24 ცხვრი, ჩაუმტვრევია ფანჯრის მინები, საერთოდ დიდი ზარალი მიუჟენებოდა მოსახლეობისათვის.

შიგნით კახეთის ყველა ადგილი ერთნაირად არ ისეტყვება. ყველაზე უფრო იშვაიათია სეტყვა პანკისის ხეობაში. სოფ. ახმეტიდან სოფ. ზეგაანამდე საშუალოდ სეტყვა მოდის 2 — 3-ჯერ წელიწადში. ზეგაანიდან ქ. გურჯაანამდე მისი სიხშირე მცირდება და საშუალოდ ერთჯერაა წელიწადში. კარდანახ-სიღნალის მონაკვეთზე სეტყვიანობა ისევ მატულობს და თითქმის იძლენივეა, რაც ახმეტა-ზეგაანის მონაკვეთზე. მდ. ალაზნის მარცხენა მხარეზე სეტყვიან დღეთა საშუალო წლიური განმეორება ორ დღემდე აღწევს.

სეტყვა ყველაზე ხშირად მაისსა და ივნისშია მოსალოდნელი, რა თქმა უნდა, გამორიცხული არის ისეთი წლები, როცა სულ არ მოდის სეტყვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სეტყვა ყველგან იცის, მაგრამ სხვადასხვა ღროს, დასეტყვილი ადგილი ჩვეულებრივად ვიწრო ზოლს წარმოადგენს და დიდ ფართობზე არ ვრცელდება. სეტყვა მოსალოდნელია დღე-ღამის ყველა საათში, მაგრამ უფრო ხშირია ნაშუადღევს.

ივნის ზეგანი და ცივ-გომბორის ქედი მდებარეობს შიგნით კახეთისა და ქვემო ქართლის ბარს შორის. მთათაშორისი ბარის სხვა რაიონებისაგან გამოირჩევა თავისებური რელიეფური პირობებით. ივრის ზეგნის ზედაპირი ძირითადად უსწორმასწოროა. აქ არის ვაკეების, ჩადაბლებებისა და პატარ-პატარა სერების მონაცელეობა, ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად ვაკე რელიეფით ხასიათდება (შირაქის და ელდარის ვაკე), ჩრდილო-დასავლეთით მისი სიმაღლე თანდათანობით მატულობს და საგურამოსა და ცივ-გომბორის კალთებს ებჯინება. ივრის ზეგნის საშუალო სიმაღლე 700—1000 მ-ია, ზეგნის ზედაპირი დაფარულია ველისა და ნახევარულაბნოს მცენარეულობით. ივრის ზეგანი მშრალი კონტინენტური ჰავით ხასიათდება, ზამთარი შედარებით ცივია, ზაფხული განასაკუთრებით ცხელი, ნალექები უმნიშვნელო რაოდენობით მოღის. ეს მხარე სასმელი წყლის სიმცირესაც განიცდის, ამიტომ, მიუხედავად ნაყოფიერი მიწებისა, მოსახლეობა ცოტაა, წყლით უზრუნველყოფის შემდეგ ამ რაიონში სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი შეიძლება განვითარდეს. ამ მიზნით ამჟამად აქ დიდი საირიგაციო სამუშაოები ტარდება.


ცივ-გომბორის ქედი, მდ. ალაზნისა და ივრის წყალგამყოფს წარმოადგენს. იგი აზიდულია 1600 — 2000 მ სიმაღლემდე, მისი კალთები დაფარულია ტყით, თხემი კი უტყევოა.

ჰავის ხასიათის მიხედვით ივრის ზეგანი და ცივ-გომბორის ქედი მკვეთრად გასწვევდებიან, ამიტომ მათ ჰავას ცალ-ცალკე დავახსიათებთ.

ივრის ზეგანზე საშუალო წლიური ტემპერატურა საქმაოდ დიდი ფარგლებში მერყეობს ($10—13^{\circ}$), ზოგ ადგილის 13° სჭარბობს კიდევარცხლა აქ ზამთრის ინვერსიები იმდენად ხშირია და ძლიერი, რომ შედარებით დაბალ ადგილებში წლიური ტემპერატურა უფრო დაბალია, ვიდრე მაღალ ადგილებში. შირაქში წლიური საშუალო ტემპერატურა 10° ტოლია, მაშინ, როდესაც 250 მ მაღლა მდებარე საგარეჯოში $10,9^{\circ}$ -ია.

უცივესი თვე ყველგან იანვარია. ამ თვის საშუალო ტემპერატურა ტერიტორიულად მერყეობს $0-4^{\circ}$ — -5° -მდე. ინვერსიების სიხშირე და სიძლიერე განსაკუთრებით მკაფიო კვალს ტოვებს ამ თვის ტემპერატურის ტერიტორიულ განაწილებაზე. ამ შემთხვევაშიც შირაქისა და საგარეჯოს მაგალითი გამოგვადგება, პირველ პუნქტში იანვრის საშუალო ტემპერატურა $-3,8^{\circ}$ -ის ტოლია, მეორეში მხოლოდ $-0,4^{\circ}$ -ია. უფრო მეტიც, შირაქშე 600 მ-ზე მაღლა მდებარე გომბორიში (ცივ-გომბორის სამხრეთ-დასავლეთი ფერდობი) იანვრის საშუალო ტემპერატურა $-2,8^{\circ}$ -ია. ე. ი. 1° -ით მაღალია, ვიდრე შირაქში. ივრის ზეგანზე აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა შეიძლება დაცულის -20 , -25° -მდე. აქ ყველაზე ცივი შირაქის ველია. არის შემთხვევები, როდესაც აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა -32° -მდე ეცემა. ასეთი დაბალი ტემპერატურა კავკასიონის მაღალმთიან ზონაშიც კი მეტად იშვიათია.

ყინვა რაიონში, ჩვეულებრივ, იწყება ნოემბერში და მთავრდება აპრილის დასწყისში, განსაკუთრებით ცივ ადგილებში კი იწყება ოქტომბრის მეორე დეკადაში და მთავრდება აპრილის ბოლოს. უყინ-



სურ. 17. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების წლიური მსვლელობა ლაგოდეხში.

ვო პერიოდის ხანგრძლივობა საშუალოდ 170 — 235 დღეს შეადგენს. ეს რაიონი გამოირჩევა ზაფხულის (ივლისისა და აგვისტოს) ცვლილებულ ტემპერატურითაც. საშუალო ტემპერატურა ტერიტორიულად იცვლება 25 — 23° შორის. მაქსიმალურმა ტემპერატურამ შეიძლება მიაღწიოს 38 — 40°.

10°-ზე მაღალი ტემპერატურა ტერიტორიის მეტ ნაწილში 7—8 თვეს გრძელდება. ისე რომ აქ სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული კულტურებისათვის ხელსაყრელია.

ივრის ზეგანზე, ქვემო ქართლის მსგავსად, წლის განმავლობაში გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის ქარები, თბილ პერიოდში აღნიშნულ მიმართულებათა შემცირების ხარჯზე რამდენადმე მატულობს სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების ქარების სიხშირე. კარგად არის გამოხატული ქარის დღელამური-ცვლა, დღისით და საღამოს საათებში მნიშვნელოვნად სჭაობობს ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის, შუადღის საათებში — სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების ქარები. ამ რაიონში არც ისე ძლიერი ქარები იცის, მასი წლიური საშუალო სიჩქარე დახლოებით 1 — 2 მ/წმ შორის იცვლება. სხვა მიმართულების ქარებთან შედარებით დასავლეთის ქარია უფრო ძლიერი.

ძლიერ ქარიან დღეთა რიცხვი 10 — 40-ია წელიწადში. ძლიერი ქარებით გაზაფხულის თვეები გამოირჩევა და ხშირად შემაღლებულ აღგილებებზე იცის, ჩადაბლებული აღგილები თითქმის უქარია.

ივრის ზეგანზე ნალექების წლიური რაოდენობა 350 — 500 მმ შორის მცირეობს, ნალექები სიმაღლის მიხედვით იზრდება და მომიჯნავე ქედების მთასწინეთში 650 — 700 მმ აღწევს. ნალექების მინიმუმი ყველაზე ინგვარშია, მეორადი მინიმუმი კი აგვისტოში; ყველაზე ნალექიანია მასისი, ამ თვეში მოდის 70—100 მმ ნალექი. მხარის მთელ ტერიტორიაზე საკმაოდ ხშირად იცის გვალვა. ასეთ შემთხვევებში ნალექები ოვეობით ან მოდის, ან მოდის მეტად უმნიშვნელო რაოდენობით. უფრო ხშირად ნალექების სიმცირე იგრძნობა ზამთარში და ზაფხულის ორ უკანასკნელ თვეს (ივლისი, აგვისტო), ამასთან არის ხოლმე ისეთი წლებიც, როდესაც ამ თვეებში ნალექები საკმაოდ უცვი მოდის. ნალექების დღელამური მაქსიმუმი არის 100 მმ. ივრის ზეგანზე ნალექები თოვლის სახით იშეითავად მოდის. თოვლი შეიძლება მოვიდეს ნოემბრის მეორე დეკადიდან მარტის შუა რიცხვებამდე. მდგრადი თოვლის საბურველი იშვიათად ჩნდება (რამდენიმე წელიწადში ერთხელ), თოვლის საბურველის სიმაღლე 4 სმ იშეითავად აღმატება. მცირეთოვლიანი და შედარებით თბილი ზამთარი შესაძლებელს ხდის ამ რაიონის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყენებულ იქნეს ზამთრის საძოვრებად.

იურის ზეგანზე ლრუბლიანობა დიდი არ არის, წლის განმავლობაში შეიძლება და მცირდებოდეს მათ მარტინის საშუალოდ ცის თაღის ნახევარზე ნაკლებია დაფარული დაფარულებულის პით, შედარებით მეტი ლრუბლიანობაა ზამთარში და გაზიფხულზე (50—60%), უმცირესია ზაფხულში (30—40%). შეფარდებითი სინო-ტივე ტერიტორიულად იცვლება 70—75%-ის ფარგლებში და ლრუბლიანობის მსგავსად მაღალი სინოტივით წლის ციფრი ჰერიონი ხსიათდება. ჰერი შედარებით მშრალია ზაფხულის თვეებში, განსაკუთრებით დაბალია შეფარდებითი სინოტივე შუალის საათებში.

წლის თბილ ჰერიონდში ამ რაობში საქმაოდ ხშირია ელქექი და სეტყვა. სეტყვა აქ წელიწადში 1—2-ჯერ მოდის, უფრო ხშირია მაისში.

ცივ-გომბორის ქედზე, როგორც საერთოდ მთებში, მკაფიოდაა გამოხატული ვერტიკალური ზონალურობა. ჰერის საშუალო წლიური ტემპერატურა ქვედა ზონებში $11-10^{\circ}$, ხოლო თხემებზე $5-4^{\circ}$ -ის ტოლია. იანვრის საშუალო ტემპერატურა სიმაღლეზე ეცემა $-0,5^{\circ}$ -დან -6° -მდე. ზომთარი განსაკუთრებით თბილია შიგნით კახეთისკენ მიქცეული ფერდობის მთისწინეთში, ვინაიდან აქ ზამთარში, როგორც უკვე აღვნიშვნეთ, ციფი ჰერი ეშვება ალაზნის ვაკისაკენ. არც ისე იშვიათდ ციფი ჰერის მასების შემოქრა. მკვეთრად სცემს ჰერის ტემპერატურას. აქ აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა $-20^{\circ}, -25^{\circ}$ -მდე ეცემა. ყინვიანი ჰერიონი საქმაოდ გრძელი იცის, ყინვა საშუალოდ იწყება ქვედა ნაწილებში ნოემბერში და მთავრდება აპრილში, ზედა ნაწილებში კი ეს ჰერიონი მოქცეულია ოქტომბრის დასაწყისსა და მაისის შუა რიცხვებს შორის.

ზაფხული ცივ-გომბორის ქედზე შედარებით გრილია. ივლისისა და აგვისტოს თვეების საშუალო ტემპერატურა $20-15^{\circ}$ ფარგლებში იცვლება. შემაწუხებელი სიცხეები იშვიათია, მაქსიმალური ტემპერატურა $25-30^{\circ}$ არ აღმატება. ქვედა ნაწილებში ზაფხული საქმაოდ თბილი და გრძელია, 5—6 თვის გამავლობაში საშუალო ტემპერატურა 10°-ზე მაღალია, თხემურ ნაწილებში კი ზაფხული მოკლეა და გრილი.

ცივ-გომბორის ქედზე ქარის რეემი რამდენადმე გართულებულია ფერდობების სხვადასხვა ექსპოზიციის გამო. შიგნით კახეთისკენ მიმართულ ფერდობზე ძირითადად ქრის სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ქარი, ხოლო ივრის ზეგნისაკენ მიქცეულ ფერდობზე დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ქარი. თხემურ ნაწილში მთელი წლის განმავლობაში გაბატონებულია დასავლეთის ქარი. განსაკუთრებით ქარგად არის გამოხატული მთა-ხეობის ქარები, რომელთა მიმართულება ემთხვევა ფერდობებზე არსებულ მრავალ მდინარეთა ხეობებისა და მშრალი ხევების მიმართულებას, ქარი საერთოდ ძლიერი

არ იცის. ძლიერი ქარები უფრო ხშირია სამხრეთ-დასავლეთ ფაზა
დობზე.



ცივ-გომბორის ქედზე, მიუხედავად დიდი სიმაღლისა, ნალექები კი
არის უხვი, სიმაღლეზე ნალექები მატულობს, მაგრამ შედარებით უმ-
ნიშვნელოდ. მთისწინეთში მოდის 700 — 800 მმ ნალექები, თხემურ
ნაწილებში კი 900 მმ ოდნავ აღმატება. ნალექების სიუხ-
ვით გამოიჩინა გაზაფხულის თვეები. ყველაზე მეტი ნალექი მოდის
მასში, საშუალოდ 130 — 150 მმ, ყველაზე მცირე იანვარში 30—35
მმ, მეორადი მაქსიმუმი ოქტომბერშია, მინიმუმი კი აგვისტოში. მრი-
გად, აქაც, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა აღგილების მსგავსად, ნა-
ლექების წლიურ მსვლელობაში კარგად გამოხატული ირი მაქსიმუმი
და ორი მინიმუმი შეიძჩნევა.

ნალექები მყარი სახით საკმაოდ ხშირად მოჭის, თოვლიან დღეთა
რიცხვი სიმაღლის მიხედვით შესამჩნევად იზრდება, იზრდება აგრეთ-
ვე თოვლის საბურვლის სიმაღლე; თოვლიან დღეთა რიცხვი ქვედა ნა-
წილებში 35 — 40-ია, ზედა ნაწილებში თოვლი 4 — 5 თვეს ძეგს.
ტერიტორიის უმეტეს ნაწილში თოვლის საბურვლის მაქსიმალური სი-
მაღლე 40 — 60 სმ-ია.

საშუალოდ წელიწადში ცის თაღის 55—60%-ია დაფარული
ღრუბლებით. რაობნის ზემო ნაწილში მოლტუბლულობა ზამთარში
უფრო ნაკლებია, ვიდრე ზაფხულში. ქვედა ნაწილებში, პირიქით ზამ-
თრის თვეები უფრო ღრუბლიანია, ზაფხული კი მცირე ღრუბლიანო-
ბით გამოიჩინა. ელჭექი საკმაოდ ხშირია, მათი რიცხვი 35 — 40-ია
წელიწადში. ზოგჯერ ელჭექის თანამგზავრია სეტყვა. როგორც ცნ-
ბილია, სეტყვა მაღალ ადგილებში უფრო ხშირად იცის. აქ ზღვის დო-
ნიდან დაახლოებით 1000 მ ზევით წელიწადში საშუალოდ 4 — 5 დღეა
სეტყვიანია.

საქართველოს კავკასიონი

საქართველოს კავკასიონი გაწილილია ჩრდილო-დასავლეთიდან
სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. საქართველოში ძირითადად მისი სამხ-
რეთი ფერდობი შემოდის, აღმოსავლეთ ნაწილში საქართველოს ტე-
რიტორია ნაწილობრივ ჩრდილოეთ ფერდობზეც ვრცელდება. კავკასი-
ონი საშუალოდ იწყება 700—1000 მ სიმაღლიდან და აზიდულია
4000 — 5000 მ სიმაღლემდე. თხემური ნაწილის მნიშვნელოვანი ტე-
რიტორია მყინვარებითაა დაფარული.

კავკასიონის გეოგრაფიული მდებარეობა, მის კალთებზე ღრმა ხე-
ობებისა და მაღალი ქედების მონაცემებია, ამასთან შავი ზღვის სიახ-
ლოვე განაპირობებს ამ მხარის ბუნებრივი პირობების საერთოდ და,
კერძოდ, ჰავის მრავალფეროვნებას. კავკასიონის ფერდობების დიდი



ნაწილი დაფარულია ტყეებით, რომელთა შემადგენლობა იცვლება როგორც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ისე სიმაღლისდა მიხედვით ვით. კავკასიონის სამხრეთი ფერდობის დასავლეთ ნაწილში გავრცელებულია უღრანი ტყეები, ძლიერაა განვითარებული მარადმწვანე ქვეტყე, ამასთან ფართოდ არის წარმოდგენილი სინოტივის მოყვარული წიწვიანი მცენარეები (ნაძვი, სოჭი), მაშინ როდესაც აღმოსავლეთ ნაწილში ასეთები მეტად იშვიათია. დასავლეთ ნაწილში ტყეები ვრცელდება საშუალოდ 2000—2100 მ, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში 2200—2500 მ სიმაღლემდე, შემდეგ ალპური საძოვრებია: დასავლეთ ნაწილში საშუალოდ 3000 მ, აღმოსავლეთში — 3600 მ სიმაღლეზე; მაღლა კი მყაცრი ჰავა და მარადი თოვლისა და მყინვარების სამეფოა.


ჰავის ხასიათის მიხედვით საქართველოს კავკასიონის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილი თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთიმეორი-საგან. პირველი მნიშვნელოვნად უფრო ნესტიანია, ვიდრე მეორე.

• დასავლეთი კავკასიონი ვრცელდება მამისონის უღელტესილამდე. მისი მთელი ტერიტორია განიცდის შავი ზღვისა და დასავლეთიდან მონაცერი ნოტიო ქარების გავლენას. მათი გავლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვნაა ჰაერის ტემპერატურაზე, ატმოსფერული ნალექების ხასიათსა და ქარის რეჟიმზე.

შავი ზღვა განსაკუთრებულ გავლენას აჩდენს კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე აფხაზეთისა და სამეგრელოს ფარგლებში. აქ მთისწინეთში იანვრის საშუალო ტემპერატურა +2—3°-ის ტოლია, მხოლოდ 800 მ სიმაღლეზე ეცემა 0°-ზე დაბლა. აღმოსავლეთით ზღვის გავლენა უფრო შესუსტებულია, სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში 600 მ სიმაღლეზე იანვრის საშუალო ტემპერატურა —1° ტოლია:

ზღვის გავლენა არა მარტო დაბალ ზონაში, არამედ მაღალ აღგილებშიც შეიძინევა, გაგრის ქედზე 1600 მ სიმაღლეზე იანვრის საშუალო ტემპერატურა —3°-ია, მაშინ როდესაც იმავე სიმაღლეზე რაჭაში შოვის მონაცემებით, ამ თვის ტემპერატურა 3°-ით უფრო დაბალია. ზამთარში ჰაერის ტემპერატურის ტერიტორიული განაწილება არა მარტო ზღვიდან დაშორებასა და აღგილის სიმაღლეზეა დამოკიდებული, არამედ გარკვეული როლი რელიეფის ფორმასაც ეკუთვნის. მაგალითად, სვანეთში, რომელიც ჩაეტილია ყველა მხრიდან, ხშირია ტემპერატურის ინვერსიები, იანვრის საშუალო ტემპერატურა 1400 მ სიმაღლეზე —6, —8°-ია, განსაკუთრებით მყაცრი ზამთარი იცის შაორის ქვაბულში, აქ ზღვის დონიდან 1126 მ სიმაღლეზე მდებარე ხერგაში (სინათლე) იანვრის საშუალო ტემპერატურა —6,4°-ის ტოლია. ასეთი დაბალი ტემპერატურა ამ სიმაღლეზე საქართველოში არსალ არ არის.

ზღვის დონიდან 1600—1700 მ მაღლა თერმული რეჟიმი ძირითა-




სურ. 18. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების
წლიური მსეულობა ევრაში.

დად სიმაღლეზეა დამოკიდებული, ყოველი 100 მ სიმაღლეზე ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ $0,4 - 0,5^{\circ}$ -ით ეცემა და 3000 მ სიმაღლეზე იანვრის საშუალო ტემპერატურა $-11, -12^{\circ}$ -ია, ზევით უფრო დაბალია და დაახლოებით 4100 — 4200 მ სიმაღლიდან ყველა თვის საშუალო ტემპერატურა 0° -ზე დაბალია.

უთბილესი თვეები ყველგან ივლისი და აგვისტოა. ზაფხულის თვეებში ტემპერატურის სიტიდეზე გარკვეულ გავლენას ახდენს რელიფების ფორმა. ზღვის დონიდან საშუალოდ 800 მ სიმაღლეზე ზაფხულის ორი თვის — ივლისისა და აგვისტოს — ტემპერატურა $20 - 22^{\circ}$ უდრის, 1600 მ-ზე $20 - 16^{\circ}$, ხოლ 3000 მ-ზე 8° -მდე ეცემა. დასავლეთი კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე განსაკუთრებით ცხელი ზაფხული იცის ჩაქა-ლეჩხუმში, უთბილესი თვის საშუალო ტემპერატურა 23° უახლოვდება, რაც დადგებითად მოქმედებს აქ განვითარებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე. ზაფხულის მაღალი თერმული რეგიონი განაპირობებს ყურძნისა და, საერთოდ, ხილის კარგ მოსავალს და მაღალ შაქრიანობას. ამ ჩაიონში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 1600 მ სიმაღლემდე $12 - 5^{\circ}$ შორის იცვლება და დაახლოებით 2500 მ ზევით უარყოფითი ხდება.

უველაზე დაბალი ჰაერის ტემპერატურა აღნიშნული იყო შაორის ევგამულში, აქ, ხერგაში 1950 წლის იანვარში ტემპერატურა -40° -მდე დაუცა. ასეთი დაბალი ტემპერატურა არ ყოფილა მაღალმთიან სადგურზე (მამისონი). ყველაზე დაბალი აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა აფხაზეთში $-15, -20^{\circ}$. ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა $-25, -30^{\circ}$ -ია.




სურ. 19. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების
წლიური მსელელობა მესტიაში.

ყინვისანი პერიოდი რაიონის ქვედა ზონებში საშუალოდ ნოემბერში იწყება და მთავრდება აპრილში, ზედა ზონებში (ზღვის დონიდან 1400 — 1600 მ სიმაღლეზე) იწყება სექტემბერში და მაისამდე გრძელდება. ყინვიან დღეთა რიცხვი შესაბამისად ქვედა ზონებში 20—60-ია, მაღალ აღგილებში 100 — 160. მაქსიმალური ტემპერატურა ყველა ივლისსა და აგვისტოშია და 1600 მ სიმაღლემდე 38 — 30°-ია, 3000 მ სიმაღლეზე — 15°.

დასავლეთ კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ქვედა ნაწილებში წლის განმავლობაში გამატონებულა სამხრეთ-აღმოსავლეთის, ზედა ნაწილებში კი დასავლეთის ქარი. რა თქმა უნდა, ხეობის მიმართულება ხშირ შემთხვევაში ორლევეს ქარის საერთო მიმართულებას და ხეობის მიმართულებას იმეორებს. აქ, განსაკუთრებით ზაფხულში, კარგად არის გმოხატული მთა-ხეობის ქარები, მათი მიმართულება, როგორც უკვე არა ერთხელ იყო აღნიშნული, ხეობებისა და ფერდობების მიმართულებას ემთხვევა. რაიონისათვის დამახასიათებელია ფიონები; როგორც წესი, აქ ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარები ფიონურია.


ჩაკეტილ აღგილებში ქარის სიჩქარე დიდი არ არის — საშუალოდ 1 — 2 მ/წმ. უღელტეხილებზე და გაშლილ აღგილებში სიჩქარე მატულობს და წლიურად 5 — 7 მ/წმ შეადგენს. რა თქმა უნდა ამ აღგილებში ძლიერ ქარიანი დღეებიც მეტია. განსაკუთრებით ძლიერი ქარი იცის ზამთარში. მაღალ აღგილებში ხშირია ქარბუქიც, რომელიც



სურ. 20. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების
წლიური მსვლელობა ამბროლურში.

ზოგჯერ რამდენიმე ღლეს მძვინვარებს. ზღვის სიახლოვე და დასავლეთის ნოტიო ქარების სიხშირე განაპირობებს მნიშვნელოვანი ნალექების მოსვლას. განსაკუთრებით ღიდი რაოდენობის ნალექები მოდის ბზიფის, კოდორისა და სამეგრელოს ქედების სამხრეთ ფერდობებზე, წლიური ნალექების რაოდენობა ქვედა ნაწილებში 1600 — 1700 მმ უდრის, ზედა ნაწილებში 2800 მმ აღემატება და ზოგან 3000 მმ სჭარბობს. მნიშვნელოვანი ნალექები მოდის აკრეთვე რაჭის ქედის სამხრეთ ფერდობზე (საშუალოდ 2400 მმ წელიწადში). ზღვის სიახლოვის მიუხედავად აქაც მოიძებნება ისეთი ადგილები, სადაც შედარებით უმნიშვნელო ნალექები მოდის. ასეთებია ნოტიო ქარებისაგან დაცული სვანეთისა და რაჭის დაბალი ნაწილები. აქ წლიური ნალექების რაოდენობა 900 — 1000 მმ შეადგენს. კავკასიონის თხემურ ნაწილებში წლიური ნალექები ყველაგან 2000 მმ სჭარბობს, განსაკუთრებით უხვი ნალექები მოდის კავკასიონის დასავლეთ ნაწილში, კერძოდ მდ. კოდორის სათავეებში. რაიონის დასავლეთ ნაწილში უხვი ნალექები მოდის შემოდგომა-ზამთრის თვეებში, შედარებით მცირე ნალექებია გაზაფხულზე და ზაფხულში. აღმოსავლეთ ნაწილში მცირე ნალექებით გამოიჩევა ზამთარი, უხვი ნალექები მოდის ზაფხულში.

ზღვის დონიდან 1600 მ სიმაღლემდე ნალექები თოვლის სახით შეიძლება მოვიდეს საშუალოდ ნომბრიდან არილამდე, ქვედა ნაწილებში ეს პერიოდი უფრო მოკლეა, ზედა ნაწილებში კი გრძელი, 900 — 1000 მ სიმაღლემდე ცალკე შემთხვევებში პირველი თოვლი მოდის ოქტომბერში, ზედა ნაწილებში — სექტემბერში. მდგრადი



სურ. 21. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების
წლიური მსვლელობა შოვში.

თოვლის საბურვლის ხანგრძლივობა შუა და ზედა ნაწილებში 3—4 თვეს შეადგენს; ტერიტორიის მეტ ნაწილზე თოვლი საკმაოდ მაღალი იცის, კველაზე მაღალი თოვლის საბურველი ჩნდება აფხაზეთში, სადაც ის ზოგან 3—4 მ აღწევს. სვანეთსა და რაჭა-ლუჩჩუმში უფრო ნაკლები სიმაღლის თოვლი იცის, მაგრამ აქაც არც ისე იშვიათად არის ისეთი უხვთოვლიანი ზამთარი, როდესაც თოვლის სიმაღლე 1 მ აღემატება, მაგალითად, ლეჩჩუმში, ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, ისეთი ზამთარი ყოფილა, რომ თოვლს სახლები დაუფარავს.

1600 მ ზევით თოვლიან დღეთა რიცხვი თანდათანობით მატულობს და, საშუალოდ, 2500 მ ზევით თოვლი მოდის ზაფხულის თვეებშიც. სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდება თოვლის საბურვლის სიმაღლეც. 1945—1946 წლებში უხვთოვლიანი ზამთარი იყო, 1947 მ სიმღალეზე მდებარე ყორულდაში თოვლის საბურვლის სიმაღლემ თებერვლის მესამე დეკადაში 272 სმ მიაღწია. ზოგ აღგილებში თოვლის საბურვლის სიმაღლე 3—4 მ უახლოვდება.

რაიონში საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე 70—80%-ია, ამ ელემენტის წლიური მსვლელობის მიხედვითაც მკაფიოდ შეიმჩნევა დასავლეთ კავკასიონის დასავლეთ და ომინისავლეთ ნაწილების ჰავათა სხვადასხვაობა. მის დასავლეთ რაიონებში კარგად არის გამოხატული შეფარდებითი სინოტივის წლიური მსვლელობის ზღვიური ტიპი, ე. ი. მაღალი სინოტივე ზაფხულის თვეებშია, მინიმუმი კი ზამტიპი, ე. ი. მაღალი სინოტივე ზაფხულის თვეებშია, მინიმუმი კი ზამტიპი,

თარში. აღმოსავლეთ ნაწილებში პირიქითაა. აქ ჰაერის ტყელის ორთქ—
ლით უფრო გაედენთილია ზამთარში, ვიდრე ზაფხულში. ცალკეული
სამოსის უფრო გაედენთილია ზაფხულში, ვიდრე ზამთარში.

ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მ ზევით თითქმის უველავან შე-
ფარდებით სინოტივე მეტია ზაფხულში, ვიდრე ზამთარში. ამ სიმაღ-
ლემდე წელიწადში საშუალოდ ცის თაღის 55 — 65%-ია დაფარული
ღრუბლებით. ღრუბლიანობის მაქსიმუმია ზამთარში და გაზაფხულის
დასაწყისში, ხოლო მინიმუმი — ზაფხულში. შესაბამისად მოწმენ-
დილი დღეები უფრო მეტია ზაფხულისა და შემოდგომის თვეებში.
მოლრუბლულ დღეთა რიცხვი 130 — 140-ია წელიწადში.

მაღალ აღვილებში ღრუბლიანობა უფრო მეტია ზაფხულში, რო-
დესაც კარგადაა განვითარებული ჰაერის აღმავალი დინება, შედარე-
ბით მცირელრუბლიანია ზამთარი, ამ ელემენტის ტერიტორიული განა-
წილებაც განსხვავებულია რაიონის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწი-
ლებში. პირველი უფრო მეტია ღრუბლიანობით გამოიჩინა, ვიდრე
მეორე.

დასავლეთ კავკასიონზე წლის ყველა დროს საკმაოდ ხშირად იცის
ნისლი. ნისლიან დღეთა რიცხვი სიმაღლის ზრდასთან ერთად მატუ-
ლობს, მაგალითად, მამისონის უღელტეხილზე წელიწადში 218 დღე
ნისლიანია.

მთელ ტერიტორიაზე საკმაოდ ხშირი მოვლენაა ელჭექი, ცალკეულ
შემთხვევებში ელჭექი ზამთრის თვეებშიც იცის. ელჭექი ყველაზე ხში-
რია ზაფხულში, ტერიტორიის უმეტეს ნაწილში მათი რიცხვი თვეში
6—8 შორის მერყეობს. ელჭექთან ერთად ზოგჯერ სეტყვაც მოდის,
მაგრამ მას აქ ისეთი ზიანი არ მოაქვს, როგორც აღმოსავლეთ საქართ-
ველოში, ვინაიდან სეტყვა აქ ძლიერი არ იცის, ამასთან უფრო ხშირდ
მთებში მოდის.

აღმოსავლეთი კავკასიონი ვრცელდება მამისონის
უღელტეხილის აღმოსავლეთით. საქართველოს ფარგლებში მოქცეუ-
ლია კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფერდობების ნაწილიც. იგი
დასერილია რიგი მერიდიანული მიმართულების ქედებით, რომლებიც
აბრკოლებენ შემოქრილი ნოტიო ჰაერის გავრცელებას აღმოსავლე-
თისაკენ, ამიტომ ეს ფერდობი დასავლეთი კავკასიონის სამხრეთ ფერ-
დობთან შედარებით ნაკლებ ნალექიანია. კავკასიონის ჩრდილოეთ
ფერდობზე თავისუფლად ვრცელდება ჩრდილოეთიდან წამოსული
ცივი ჰაერის მასები, მაშინ ჩრდილოეთ სამხრეთი ფერდობი დაცულია
მათგან. ამიტომ სამხრეთ ფერდობთან შედარებით ზამთარი აქ უფრო
ცივია და მშრალი. ამრიგად, კავკასიონი სამხრეთ და ჩრდილოეთ ფერ-
დობებს შორის არა მატო წყალგამყოფი, არამედ კლიმატიკამყოფიცაა.

სამხრეთ ფერდობის ქვედა ნაწილებში, დაახლოებით 900 — 1100
მ სიმაღლემდე, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა საკმაოდ მა-


ლალია და 10 — 8° შორის მერყეობს. აქ ზამთარი ზომიერად თბილია. უცივესი თვეის — იანვრის საშუალო ტემპერატურა -3° -ზე ქვემოთ არ იწევს. რა თქმა უნდა, ცალკე შემთხვევებში ცივი ჰაერის მასში შემოჭრის დროს ტემპერატურა -20 , -26° -მდე ეცემა, მაგრამ ასეთი შემთხვევები ხშირი არ არის, ყინვას დღეთა რიცხვი საშუალოდ 120-ია წელიწადში. ყინვა ნოემბერში იწყება, უკანასკნელი ყინვა აპრილის ბოლოსაა. ზაფხული ამ ზონაში საქმაოდ თბილი და ხანგრძლივია, უთბილესი თვეების — ივლისისა და აგვისტოს — საშუალო ტემპერატურა 20° ოდნავ აღემატება. ჰაერის საშუალო ტემპერატურა 10° -ზე მეტია 5 — 6 თვეს, ისე რომ სავაგიტაციო პერიოდის ხანგრძლივობა მნიშვნელოვანია. მართალია, ზაფხული ცხელი არ იცის, მაგრამ ზოგჯერ აღილი აქვს ხანმოკლე სიცხეებს, ასეთ შემთხვევებში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 35° აღწევს.

ზომიერად ცივი ზამთარი, ხანგრძლივი თბილი ზაფხული და ნაყოფიერი ნიადაგები ხელს უწყობს ამ ზონაში სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებას, კერძოდ: მემინდვრეობას, მებალეობას, მებალჩეობას, ზოგან მევენახეობას.

ამ ზონის ზევით, სამხრეთ ფერდობზე, დაახლოებით 2200 მ, ხოლო ჩრდილოეთ ფერდობზე 2000 მ სიმაღლემდე საშუალო წლიური ტემპერატურა $8 - 0^{\circ}$ შორის მერყეობს. აქ ზამთარი ცივი იცის, იანვრის საშუალო ტემპერატურა -3° -ზე დაბალია და $-4 - 8^{\circ}$ შორის მერყეობს. ზამთრის სიმეცრე სიმაღლისდა მიხედვით მატულობს, ამასთან ჩრდილოეთ ფერდობზე ზამთრის თვეების ტემპერატურა $2 - 3^{\circ}$ -ით დაბალია სამხრეთ ფერდობთან შედარებით. ზამთრის ტემპერატურების ტერიტორიულ განაწილებაში რელიეფის ფორმას აქაც მისთვის დამახასიათებელი შესწორება შეაქვს, ჩაკეტილი აღგილები უფრო ცივია, ვიდრე ფერდობზე მდებარე აღგილები. მაგალითად, ფასანაური და თიანეთი თითქმის ერთნაირ სიმაღლეზე მდებარეობს, მაგრამ განსხვავებული რელიეფის პირობები აქვთ. თიანეთი უფრო ჩაკეტილია, ამიტომ ზამთრის სამივე თვეში ტემპერატურა $1 - 2^{\circ}$ -ით უფრო დაბალია, ვიდრე ფასანაურში.

ამ ზონაში ცივი ჰაერის მასების შემოჭრის დროს არც ისე იშვიათად აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ეცემა $-25, -32^{\circ}$ -მდე. ყინვა საშუალოდ ქვედა ნაწილებში იწყება ოქტომბერში და მთავრდება სამხრეთ ფერდობზე არილში, ჩრდილოეთ ფერდობზე — მაისში, ზედა ნაწილებში ყინვა იწყება სექტემბერში და მთავრდება ივნისში.

ზაფხული ამ ზონაში ყველვან ზომიერად თბილია, ზონის ქვედა ნაწილებში საქმაოდ ხანგრძლივია, ზედა ნაწილებში კი მოკლე, უთბილესი თვეების ტემპერატურა მერყეობს $17 - 10^{\circ}$ შორის. 2400 მ სიმაღლეზე მხოლოდ ორი თვის ტემპერატურა უახლოვდება 10° -ს.



სურ. 22. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების
წლიური მსვლელობა ფასანატურში.

ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში, განსაკუთრებით ცხელ დღეებში ჰაერის ტემპერატურა შუადღის საათებში 25—30°-მდე აღის.

ზღვის დონიდან 2400 — 2600 მ ზევით საშუალო წლიური ტემპერატურა 0°-ზე დაბალია, ზამთარი ცივი და ხანგრძლივია, ზაფხული მოქლე და გრილი, იელის-აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 10°-ზე ბევრად ნაკლებია. 3656 მ სიმაღლეზე მდებარე ყაზბეგის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით, მხოლოდ ოთხი თვის საშუალო ტემპერატურა არის დადგებითი, ამასთან უთბილესი თვის ავგისტოს ტემპერატურა 4°-ია, უცივესი თვის კი — 14,2°. აბსოლუტური მინიმუმი — 42°-ია, ხოლო მაქსიმუმი 15° უახლოვდება.

აღმოსავლეთ კავკასიონზე დიდი ფართობი უკავია ალპურ საძოვრებსა და სათიბებს, რომელთა ბაზაზე წარმატებით ვითარდება სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი — მესაქონლეობა.

როგორც საერთოდ მთან მხარეში, ქარი ძირითადად ხეობების გასწრივ ქრის. სამხრეთ ფერდობზე გაბატონებულია ჩრდილოეთის, ხოლო ჩრდილოეთ ფერდობზე — სამხრეთის ქარები. ზაფხულის პერიოდში მთა-ხეობის ქარების განვითარებასთან დაკავშირებით ჩრდილოეთ ფერდობზე მატულობს ჩრდილოეთის, ხოლო სამხრეთ ფერდობზე სამხრეთის მიმართულების ქარები. მთავარი ქედის ზედა ზონაში კი მთელი წლის განმავლობაში დასავლეთის ქარია გაბატონებულია.


ქარის სიჩქარე რაიონის უმეტეს ნაწილში ზომიერია, საშუალოდ წელიწადში 1 — 2 მ/წმ უდრის, უფრო ძლიერია ზამთრის დასასრულ-

სა და გაზაფხულის დასაწყისში, სუსტია შემოღვომის თვეებში. ხეობებში ძლიერი ქარი მეტად იშვიათია.

გაღალმთიან ნაწილში ქარის სიჩქარე იზრდება, მატულობს ქალმომთიან ერ ქარიანი და ქარბუქიანი დღეების რიცხვი. ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით წელიწადში 100 დღე ქარბუქიანია. აქ, მაგალითად, 1941 წელს 119 დღე ქროდა ძლიერი ქარი. ასეთი დღეები უფრო მეტია წლის ციკ პერიოდში. ქარის მაქსიმალური სიჩქარე ხშირად 40 მ/წმ სჭაბობს.

აღმოსვლეთ კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 1900 — 2000 მ სიმაღლემდე ნალექების წლიური რაოდენობა ძირითადად ადგილის სიმაღლის მიხედვით 700 მმ-დან 1400 მმ შორის მერყეობს. სხვა ხეობებთან შედარებით ნალექებით ღარიბია მდ. დიდი ლიახვის ხეობა, განსაკუთრებით მცირე ნალექები მოღის ხეობის იმ ნაწილში, სადაც იგი მიედინება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ როკა-ერმანის რაიონში, რომელიც ყველა მხრიდან ჩაკეტილია მაღალი ქედებით. აქ ნალექების წლიური რაოდენობა 950 — 1000 მმ-ია, მაშინ როდესაც ამ სიმაღლეზე, მაგალითად, არავის ხეობაში, მოღის 1400 — 1600 მმ ნალექი. მდ. ლიახვის ხეობის აღმოსავლეთით ნალექები საგრძნობლად მატულობს, განსაკუთრებით უხვი ნალექები მოღის კახეთის კავკასიონზე, ამ ფერდობის ქვედა ნაწილებში — 1200 — 1300 მმ, ზედა ნაწილებში კი 1600 მმ ნალექი მოღის. ზღვის დონიდან 1900 — 2000 მ სიმაღლის ზევით ნალექები ყველგან მატულობს, დაახლოებით 2500 — 2600 მ სიმაღლემდე მოღის საშუალოდ 1600—1800 მმ ნალექი, უფრო მაღლა ნალექები შესამჩნევად მცირდება. ნალექების წლიურ მსვლელობაში რაიონის ქვედა ნაწილებში ორი მინიმუმი და ორი მაქსიმუმია შემჩნეული. მთავარი მაქსიმუმია მაის-ივნისში (120 — 200 მმ), მეორადი სექტემბერ-ოქტომბერში (60 — 100 მმ), მთავარი მინიმუმი — იანვარში (20 — 50 მმ), მეორადი — აგვისტოში (40 — 60 მმ). ზედა ნაწილებში მაქსიმუმია ივნისში (170 — 230 მმ), მინიმუმი იანვარში (56—60 მმ). ნალექიან დღეთა რიცხვი მთელ ფერდობზე წელიწადში 150 — 180-ია.

კავკასიონის სამხრეთ ფერდობთან შედარებით ნაკლები ნალექები მოღის ჩრდილოეთ ფერდობზე. განსაკუთრებით შშრალია მთათუშეთი, რომელიც ყველი მხრიდან ჩაკეტილია მაღალი ქედებით. აქ ზღვის დონიდან 2000 მ სიმაღლეზე მხოლოდ 700 — 800 მმ ნალექი მოღის. მცირე ნალექები მოღის აგრეთვე მდ. ასა და აჩგუნის ზემოწელში. შედარებით მცირე ნალექები მოღის მდ. თერგის ხეობაში. ჩრდილოეთ ფერდობის მნიშვნელოვან ნაწილში, ზღვის დონიდან 1900 მ სიმაღლემდე 600—900 მმ ნალექი მოღის. ნალექის წლიურ მსვლელობაში ერთი მაქსიმუმია მაისში — 100 — 120 მმ და ერთი მინიმუმი იანვა-



სურ. 23. ძირითადი შეტეოროლოგიური ელემენტების
წლიური მსვლელობა მაღალმთიან ყაზბეგში.

ში 15 — 25 მმ. ნალექიან დღეთა რიცხვი 110 — 140 უღრის. ამ ფერდობზეც სიმაღლეზე ნალექები იზრდება, მაგრამ სუსტად.

დაახლოებით 1100 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან ნალექები შეიძლება მოვიდეს თოვლის სახით ნოემბრიდან აპრილმდე, სიმაღლის მატებასთან ერთად ეს პერიოდი იზრდება და 2500 მ სიმაღლეზე მხოლოდ ზაფხულის თვეებში არ მოდის თოვლი, უფრო მაღლა ნალექი შეიძლება მოვიდეს მყარი სახით მთელი წლის განმავლობაში. იმის გამო, რომ ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ზღვის დონიდან საკმაო სიმაღლეზე მდებარეობს, მთელ რაიონში მდგრადი თოვლის საბურველი მყარდება, რომლის ხანგრძლივობა და სიმაღლე ადგილის სიმაღლესთან ერთად მატულობს, 1000—1500 მ ზონაში თოვლის საბურველი ჩნდება საშუალოდ დეკემბერში და მარტის ბოლომდე ძეგს, 2000—2500 მ სიმაღლეზე მდგრადი თოვლის საბურველი არის ნოემბრიდან აპრილის ბოლომდე. 2500 — 3500 მ სიმაღლეზე მდგრადი თოვლის საბურვლის ხანგრძლივობა 6—10 თვეს უდრის, უფრო მაღლა ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში თოვლის საბურველი მთელი წლის განმავლობაშია, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნალექი ზაფხულშიც თოვლის სახით მოდის.

თოვლის საბურვლის მაქსიმალური სიმაღლე მაღალ ზონებში ზოგან 2 — 3 მეტრს აღწევს. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ კავკასიონზე ხშირია თოვლის ზვავები. ზოგჯერ აღრე გაზაფხულზე სამხრეთიდან თბილი ჰაერის მასების გავრცელების დროს ხანძოელებათბობა იწვევს თოვლის ზვავების გაჩენას.

ზღვის დონიდან 2300 მ სიმაღლემდე სამხრეთ ფერდობზე საშუა-



ლო წლიური შეფარდებითი სინოტივე იცვლება 70 — 75%, ხოლო ჩრდილოეთ ფერდობზე — 65 — 70% შორის. განსაკუთრებით შავია წლის სინოტივეა 2300 — 2700 მ სიმაღლის ზონაში. აქ მთელი წლის განმავლობაში საქმაოდ გაჯერებულია ჰაერი; მაგალითად, ჯვრის ულელტეხილზე საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე 80%-ია. შემდეგ ზონაში, როგორც უკვე ოლვიშნერ, ნალექების რაოდენობა მცირდება, მცირდება ჰაერის გაედღენილობაც წყლის ორთქლით. სამხრეთი ფერდობის დაბალ ნაწილებში შეფარდებითი სინოტივე ზაფხულში ნაკლებია, ვიდრე ზამთარში. საშუალო სიმაღლის ზონებში ზამთრისა და ზაფხულის თვეებში სინოტივე თანაბრდება, ხოლო 2300 მ ზევით ზაფხულში უფრო მეტადაა გაჯერებული ჰაერი, ვიდრე ზამთარში. შეფარდებითი სინოტივის წლიური მსვლელობა ასეთივეა ჩრდილოეთ ფერდობზეც.

ქვედა და საშუალო სიმაღლის ზონები მცირე ღრუბლიანობით გამოიჩინებან, აქ ცის თაღის 55 — 60%-ია ღრუბლებით დაფარული წლის განმავლობაში. მაღალმთიან რაიონებში ღრუბლიანობა უფრო მცირდება და 55% არ აღემატება. სამხრეთი ფერდობის ქვედა ნაწილებში ზამთარში ღრუბლიანობა მეტია, ვიდრე ზაფხულში. მაღალმთიან ნაწილში და ჩრდილოეთ ფერდობზე, პირიქით, ღრუბლიანობა ზაფხულში მეტია, ვიდრე ზამთარში. ღრუბლიან დღეთა რიცხვი საერთო ღრუბლიანობის მიხედვით 90 — 150 შორის მერყეობს. ხშირია ნისლაბანობა. ზოგიერთ ადგილს წელიწადში 140 დღეა ნისლიანი. ნისლი ყველზე უფრო ხშირია რაიონის დაბალ ნაწილებში წლის ცივ პერიოდში, მაღალმთიანში კი ზაფხულის თვეებში.

საქმაოდ ხშირია ელჭექი და სეტყვა, მათ ადგილი აქვთ მხოლოდ თბილ პერიოდში; ელჭექი, დეკემბრისა და იანვრის გარდა, კველა თვეშია აღნიშნულია. სეტყვის მოსვლის პერიოდი უფრო მოკლეა, იწყება აპრილში და ოქტომბრის ბოლომდეა მოსალოდნელი. ელჭექიცა და სეტყვაც ხშირია მაისსა და ივნისში. ელჭექიან დღეთა რიცხვი საქმაოდ ხშირია და 20 — 25 შორის მერყეობს. არც სეტყვა იშვიათი სტუმარი, ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში წლის მანძილზე ორგერ მოდის; რაიონის ქვედა ნაწილი უფრო იშვიათად ისეტყვება, ვიდრე მაღალმთიანი ნაწილი. რაიონში ყველაზე ხშირად გუდაურის მიღამოები ისეტყვება. აქ წელიწადში საშუალოდ 5 დღეა სეტყვიანი.

საქართველოს სამხრეთი მთიანეთი

საქართველოს სამხრეთ მთიანეთს ჩეენი რესპუბლიკის სამხრეთი ნაწილი უჭირავს. ის გადაჭიმულია შავი ზღვიდან ქვემო ქართლის ბარაბდე. მისი ჩრდილოეთი საზღვარი მიუყვება საქართველოს მთათაშორის ბარის სამხრეთით შემომფარგვლელ ქედებს — საშუალოდ



700 — 1000 მ სიმაღლიდან. მისი ტერიტორიის მეტი ნაწილი საკმარის ქვემოთ მაღალი ქედებით შემოფარგლულ გაშლილ ზეგნებსა და ქვაბულების წარმოადგენს. ჩალივის ახეთი ფორმა განაპირობებს ჰავის მეტ კონტინენტურობას. აქ ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ზამთარი უფრო ცივია, ნალექის წლიური რაოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე რე იმავე სიმაღლეზე მდებარე ადგილებში კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე. გამონაკლის შეადგენს მისი დასავლეთი ზღვისაკენ მიქცეული ნაწილი, რომელიც შავი ზღვისა და დასავლეთიდან მონაბერი ნოტიო ქარების უშუალო გავლენას განიცდის, რის გამოც მდიდარია ატმოსფერული ნალექებით და სინოტივის მოყვარული მცენარეულობით. აღმოსავლეთით არსიანისა და მესხეთის ქედები აბრკოლებენ დასავლეთის ნოტიო ქარების თავისუფალ გადმოსვლას, ამიტომ სამცხე-თრიალეთის ტერიტორიაზე შედარებით ნაკლები ნალექები მოისის, განსაკუთრებით მშრალია სამცხის სამხრეთი ნაწილი, შესაბამისად იცვლება მცენარეული საფარი.

სამხრეთ მთიანეთის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილები ჯავახეთის მთიანეთს უჭირავს. ის ყოველი მშრალი მაღალი ქედებითაა შემოფარგლული, ამიტომ კონტინენტური ჰავითა და დიდი სიმშრალით ხასიათდება. იგი თითქმის უტყეოა. ტყეები მხოლოდ აქა-იქ გვცვლება ცალკე კორომების სახით.

ამრიგად, ჰავის ხასიათითა და საერთოდ ბუნებრივი პირობების მიხედვით საქართველოს სამხრეთი მთიანეთი იყოფა სამ ნაწილად: მთიანი აჭარა-გურია, სამცხე-თრიალეთი და ჯავახეთის მთიანეთი.

მთიანი აჭარა-გურიას უჭირავს საქართველოს სამხრეთ მთიანეთის დასავლეთი ნაწილი, მისი ტერიტორია მოიცავს: ჩაქვისა და ქობულეთის ქედებს, მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობს და მდ. აჭარისწყლის ხეობას, რომელსაც დასავლეთიდან ეფარება ჩაქვის ქედი, რის გამოც შედარებით მშრალი ჰავით ხასიათდება.

აჭარა-გურიის ქედების ზღვისკენ მიქცეული ფერდობები განიცდის ჰავი ზღვისა და აქ გაბატონებული სამხრეთ-დასავლეთის ნოტიო ქარების უშუალო გავლენას. ამის შედეგად აქ ჭარბად ნოტიო ჰავაა, ზამთარი თბილია სხვა იმავე სიმაღლის ადგილებთან შედარებით. ქვედა ნაწილებში გავრცელებულია სინოტივისა და სითბოს მოყვარული მცენარეულობა, სიმაღლეზე ჰავა თანდათან ცივი ხდება, სათანადოდ იცვლება ბუნებრივი პირობებიც, ფერდობები დაფარულია უღრანი, გაუვალი ტყეებით, ქვეტყე მარადმწვანე მცენარეებით არის წარმოდგენილი, დაახლოებით 1000 მ სიმაღლიდან ფოთლოვანებში წიწვიანები ერევა, ხოლო 2 200 მ სიმაღლიდან იწყება ალპური ზონა.


ჩალივის ქვედა ნაწილებში ზამთარი ზომიერად თბილია. იანვრის საშუალო ტემპერატურა 1200—1300 მ სიმაღლემდე 0°-ზე მაღალია.

ამ ზონიდან სიმაღლის შემდგომ მატებასთან ერთად ტემპერატურა იცემა, ზამთარი თანდათან ცივი ხდება. 1500—1600 მ სიმაღლეზე ტემპერატურა იანვრის ტემპერატურა -3° -ია, 2000—2100 მ სიმაღლეზე -4 , -5° -მდე, ხოლო თებერვალის ნაწილებში -8 , -10° -მდე იცემა. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა მეტად იშვიათად, მაგრამ ქვედა ნაწილებში -10 , -15° , ზედა ნაწილებში -25 , -30° -მდე იცემა. ყინვიანი ჰერიონი ქვედა ნაწილებში მოიდინება ნაწილებში მოკლეა, 40 დღეზე მეტი არსად არ არის. ზედა ნაწილებში ყინვები დიდხანს გრძელდება. მაგალითად, ბახმაროს მიდამოებში საშუალოდ ყინვიანი პერიოდი სექტემბერში იწყება და მასში მთავრდება, მაღალ ადგილებში ცალკეულ წლებში მხოლოდ ივლისი და აგვისტოა ყინვებისაგან თვისუფალი. მძლავრი ცივი ჰაერის მასების შემოჭრის დროს, როგორიც 1950 წელს იყო, ყინვა მთელ რაიონს მოიცავს ხოლმე.

ზაფხული რაიონის მნიშვნელოვან ნაწილში თბილია და ხანგრძლივი, გახსაკუთრებით მდ. აჭარისწყლის ხეობაში: 1500—1600 მ სიმაღლემდე ივლისისა და აგვისტოს ტემპერატურა ქვედა ნაწილებში 22 — 20° , ზედა ნაწილებში 18 — 15° უდრის. ამ ზონის ზევით ზაფხული უკვე გრილია, 2100 მ სიმაღლეზე მხოლოდ 1—3 თვის ტემპერატურა არის 10° -ზე მაღალი. აქ ფერდობები დაფარულია უმთავრესად წიწვიანი ტყით. უფრო მაღლა ივლის-აგვისტოს ტემპერატურა 10° -ზე დაბალია, ისე, რომ აქ ხემცენარები აღარ იზრდება, იწყება ალპური ზონა.

ტყისა და ალპური ზონის საზღვარზე მდებარეობს ცნობილი კლიმატური კურორტი ბახმარო, რომლის ჰავის სამცურნალო თვისებებს მთისა და ზღვის ჰავის შეზავება განსაზღვრავს.

მთიან აჭარა-გურიაში, მართალია, ზაფხული ცხელი არ იცის, მაგრამ



სურ. 24. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების წლიური მსვლელობა ხულოში.

ცალკეულ დღეებში ზოგჯერ ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა მაღალია ხოლმე, ქვედა ნაწილებში $38-39^{\circ}$, ბახმაროშიც კი 20° მდგრადია ადის. ასეთ ტემპერატურას ადგილი აქვს უმთავრესად სამხრეთ-დასავლეთი სავლეთიდან ტროპიკული ჰაერის მასების შემოჭრის დროს.

ზღვისკენ მიქცეული ფერდობების მნიშვნელოვან ნაწილში მთელი წლის განმავლობაში გაბატონებულია სამხრეთ-დასავლეთის ქარები. სხვა მიმართულების ქარების სიხშირე შედარებით უმნიშვნელოა, ზამთარში რამდენადმე მატულობს ხმელეთის ქარების სიხშირე, ქარების სეზონური ცვლა განსაკუთრებით კარგადაა გამოხატული მდ. აჭარის-წყლის ხეობაში. აქ ზამთარში, აშკარად აღმოსავლეთის — ხმელეთის ქარია გაბატონებული, ზაფხულის თვეებში დასავლეთის — ზღვიური ქარის სიხშირე სკაპბობას. ჩვეულებრივ, აღმოსავლეთის ქარები ფიონურ ხასიათს ატარებს. შეფარდებითი სინოტივე ძლიერი ფიონის დროს ზოგჯერ $15-20\%$ -მდე ეცემა.

ამ რაიონში ძლიერი ქარი არ იცის, მისი საშუალო წლიური სიჩქარეა $1-2$ მ/წმ. ზღვისკენ მიქცეულ ფერდობებზე უფრო ძლიერია დასავლეთის ქარი, მდ. აჭარის-წყლის ხეობაში კი აღმოსავლეთისა. ძლიერი ქარიანი დღეების რიცხვი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზამთრის თვეებში. ქარბუქი მეტად იშვიათია რაიონის ქვედა ნაწილებში, ზედა ნაწილებში კი ხშირი, საშუალოდ წელიწადში 100 დღეა ქარბუქიანი.

ზღვიური ბრიზების არსებობა აშკარად შეიმჩნევა რაიონის ქვედა ნაწილებში. ზღვიდან დაშორებით და ადგილის სიმაღლის გაზრდასთან ერთად ბრიზების მოქმედება სუსტდება, მაგრამ საკმაოდ მაღლა ვრცელდება. შემჩნეულია, რომ ბრიზები კურორტ ბახმაროს მიდამოებამდეც კი აღწევს. ის ისედაც საამზ მთის ჰავას კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდის და აძლევს მნიშვნელოვან სამკურნალო თვისებებს.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყველაზე მეტი ნალექი აჭარაში ჩატვირთა და ქობულეთის ქედების ზღვისაკენ მიმართულ ფერდობებზე მოდის. ქვედა ნაწილებში საშუალო წლიური ნალექები $2600-2800$ მმ შეადგენს. იგი სიმაღლის ზრდასთან ერთად საგრძნობლიდ მატულობს და 1200 მ სიმაღლეზე მდებარე მეტეოროლოგიურ საღვურ „ცისკარას“ მონაცემებით ნალექების წლიური რაოდენობა 4000 მმ უახლოვდება. ქედი, რომელზედაც ეს სადგურია მოწყობილი, „მტირალის“ სახელწოდებითაა ცნობილი: შემჩნეულია, რომ აქ ცა თითქმის ყოველთვის ღრუბლებითა დაფარული, ხშირად წვიმს, ამიტომ სახელიც შესაფერისი დაარქვეს.

გურიაში შესამჩნევად ნაკლები ნალექი მოდის, ვიდრე აჭარის სანაპიროზე და ზღვისკენ მიქცეულ ფერდობებზე. გურიის ქვედა ნაწილებში წელიწადში დაახლოებით 2000 მმ ნალექი მოდის. აქ სიმაღლის-

10


და მიხედვით ნალექები კი არ მატულობს, როგორც აჭარაში, მდგრადი ქით, მცირდება და 2000 მ სიმაღლეზე წლიურად 1600 მმ ნალექი მიმდევად დის. ეს შეიძლება იმ გარემოებით აიხსნას, რომ, ჯერ ერთი, გურიის მთიანი ნაწილი ზღვას უფრო დაშორებულია, ამასთან ნოტიო ჭარები უშუალოდ ფერდობისაკენ არ არის მიმართული.

მთიან აჭარა-გურიაში ყველაზე ნაკლები ნალექი მოდის მდ. აჭარისწყლის ხეობაში, რომელსაც დასავლეთიდან ჩაქვის ქედი ეფარება. ამ ხეობის ქვედა ნაწილში ნალექის წლიური რაოდენობა 2000 მმ-ია, ხეობის გაყოლებით, სიმაღლის თანდათანობითი გადიდების მიუხედავად, ნალექის რაოდენობა მცირდება დაახლოებით 800—900 მ სიმაღლემდე და შემდეგ ისევ რამდენადმე იზრდება.

ნალექების მაქსიმუმი მოდის შემოღომით, ხოლო მინიმუმი გაზაფხულზე. ამ მხრივაც გამონაკლისს შეაღებს მდ. აჭარისწყლის ხეობის შუაშელი, სადაც ნალექები საერთოდ ნაკლებია, განსაკუთრებით მშრალია ზაფხული.

აჭარა-გურიის მთიან ქვედა ნაწილებში ნალექები თოვლის სახით მოდის ნოემბრიდან, ზედა ნაწილებში — სექტემბრიდან. მდგრადი თოვლის საბურველი 1 400 მ სიმაღლემდე 1—3 თვეს, ხოლო 2 000 მ სიმაღლეზე 6—7 თვეს ძევს. თხემურ ნაწილებში თოვლი შეიძლება ზაფხულის თვეებშიაც მოვიდეს. აქ მდგრადი თოვლის საბურვლის ხანგრძლივობა 8—11 თვეს უდრის. მთელ რაიონში ყველგან ლიდი სიმაღლის თოვლის საბურველი მყარდება, რომელიც მაქსიმალურ სიმაღლეს თებერვალში აღწევს. არც ისე იშვიათად მოდის 2—3 მეტრის სიმაღლის თოვლი.

რაიონის მნიშვნელოვან ნაწილში ჰაერი მთელი წლის განმავლობაში



სურ. 25. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების წლიური მსვლელობა ბაზმაროში.

საქმაოდ გაუღენთილია წყლის ორთქლით. საშუალო წლიური შეფარდებით სინოტივე 75—80%-ია, ამასთან ზაფხულის თვეებთან რეგბით ზამთრის თვეებში ოდნავ მაღალია, ისე, რომ მისი წლიური მერყეობა უმნიშვნელოა. მდ. აჭარისწყლის ხეობა, სხვა კლიმატური მაჩვენებლების მსგავსად, ნაკლები სინოტივით გამოიჩინება. აქ შეფარდებით სინოტივის წლიური საშუალო სიდიდე 72% არ აღემატება, სინოტივის შემცირება გამოწვეულია არა მარტო ზღვის გავლენის შესუსტებით, არამედ აღმოსავლეთის ფიონური ქარების სიხშირით წლის ყველა სეზონში. ქარის გავლენა სინოტივის წლიურ მსვლელობაზეც შეიმჩნევა. აქ შეფარდებითი სინოტივის მინიმუმია გაზაფხულის თვეებში. ზაფხულში, დასავლეთის ქარის სიხშირის შედეგად ჰაერის ტემპერატურის მატების მიუხედავად, შეფარდებითი სინოტივე შესამჩნევად იზრდება.

ღრუბლიანობა მთელ რაიონში საქმაოდ დიდია, საშუალოდ წელიწადში ცის თაღის 60—70%, ზოგ ადგილებში 75% დაფარულია ღრუბლებით. ღრუბლიანი ღლები ყველან მეტია ზამთარში (საშუალოდ 10—12 დღე თვეში), ტერიტორიულად ღრუბლიან ღლეთა რიცხვი 100—130 შორის იცელება. მოწმენდილი ღლები უფრო მეტია ზაფხულისა და შემოდგომის თვეებში, ყველაზე ნაკლები — ზამთრისა და სასარულსა და გაზაფხულის დასწყისში; საშუალოდ წელიწადში ცა 80—100 დღეს მთლიანად მოწმენდილია ან მცირე ღრუბლიანია. ნისლი ყველა სეზონში წარმოიშობა. ქვედა ნაწილებში უფრო ხშირია ზამთარში, ზედა ნაწილებში — ზაფხულში. ნისლიანი ღლები საშუალოდ 50—100-ია წელიწადში.

მთიან აჭარა-გურიაში ელჭექი შესაძლებელია წლის ყველა სეზონში. უფრო ხშირია წლის თბილ პერიოდში (თვეში 5—6 დღე). აქ წელიწადში საშუალოდ 30—40 დღე ელჭექიანია. არც სეტყვა (ხორხო შელა) აქ იშვიათი მოვლენა. ელჭექისაგან განსხვავებით, სეტყვა მხოლოდ ზაფხულში იცის, ამასთან უფრო ხშირია მაღალმთიან ნაწილში. სეტყვა საშუალოდ წელიწადში 1—2-ჯერ მოდის. ძლიერი სეტყვა მეტიდ იშვიათია.

სამცცენიანი მდებარეობს მთიანი აჭარა-გურიის აღმოსავლეთით. სამცცენი მოიცავს ახალციხის ქვაბულის ცენტრალურ ნაწილს, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 1000—1200 მ უდრის, და მის გარშემო მდებარე ქედების ფერდობებს. მას დასავლეთიდან ეკვრის არსიანის, ჩრდილოეთიდან მესხეთის, აღმოსავლეთიდან თრიალეთის, ხოლო სამხრეთიდან ერუშეთის ქედები, იმის გამო, რომ ქვაბული ყოველი მხრიდან ჩაეტილია ზემოთ დასხელებული ქედებით, ჰაერის მასების შემოჭრის ეფექტი შესუსტებულია, ამიტომ უმნიშვნელო ნალექები მოდის და ხასიათდება მშრალი კონტინენტური ჰავით.

მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მესხეთის ქედის სამხრეთ და აზისის ნის ქედის აღმოსავლეთ ფერდობებზე, რომლებიც უშუალოდ ჭაბუკული ლეთ საქართველოს ეკვრიან, დასავლეთიდან მონაბერი ნოტიო უშესებულებები მასები ძირითადად ინარჩუნებენ თვის თვისებებს, ამის შედეგად აქ პავა უფრო ნოტიოა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს იმავე სიმაღლეზე მდებარე სხვა ადგილებში.


სამცხის ჩრდილო-აღმოსავლეთით განედურად გაწოლილია თრიალეთის ქედი, რის გამოც აქ არც დასავლეთიდან, არც აღმოსავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასები არ იძლევა მნიშვნელოვან ნალექებს. მხოლოდ ბორჯომ-ბაკურიანის რაიონში მოდის შედარებით მნიშვნელოვანი ნალექი.

ახალციხის ქვაბულში ზამთარში ძლიერდება თერმული ინვერსიები, გროვდება ცივი ჰაერის მასა, რის გამოც აქ ზამთარი განსაკუთრებით ცივია. ქვაბულის ძირში, ზღვის დონიდან 980 მ სიმაღლეზე მდებარე ახალციხეში იანვრის საშუალო ტემპერატურა -5° -ია, მაშინ როდესაც 1700 მ სიმაღლეზე — ბაკურიანში -5° , 6° .

რაიონში უცივესი თვე ყველგან იანვარია, ზღვის დონიდან 2500 მ სიმაღლემდე ამ თვის საშუალო ტემპერატურა -3° , -9° -ის ფარგლებში ციველება, შედარებით თბილი ზამთარი იცის ბორჯომის ხეობაში, განსაკუთრებით ცივი კი ახალციხის ქვაბულში. რაიონის ქვედა ნაწილებში ზამთრის საშუალო ტემპერატურა უარყოფითია, ზედა ნაწილებში კი ხუთი თვევა ასეთი.

ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ცალკეულ დღეებში -30° , -38° -მდე ეცემა, რაც ძირითადად გარედან ცივი ჰაერის მასების შემოჭრის შემდეგ, ანტიციკლონის დამყარების დროს გაძლიერებული გამოსხივების შედეგია. ყინვები საშუალო იწყება სექტემბერ-ოქტომბერში და აპრილ-მაისამდე გრძელდება. ყინვიანი პერიოდის ხანგრძლივობა, როგორც საერთოდ მთიან აღგილებში, აქაც სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება და 2500 მ ზევით ყინვა ზაფხულის თვეებშიც შეიძლება იყოს. 2500 მეტრის მაღლა იანვრისა და თებერვლის საშუალო ტემპერატურა -10° , -14° ტოლია. აქ აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ზამთარში -38° , ხოლო ზაფხულში -5° -მდე შეიძლება დაცეს.

სამცხე-თრიალეთის მაღალი მდებარეობის მიუხედავად, დაბალ ნაწილებში ზაფხული საკმაოდ ცხელია, ზღვის დონიდან 1400—1500 მ სიმაღლემდე უთბილესი თვის — აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 21° — 18° უდრის, 4° — 5° თვის განმავლობაში 10° —ზე მაღალი ტემპერატურა არის. საკმაოდ ცხელ დღეებში აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა 30° — 36° აღწევს. სიმაღლის მატებასთან ერთად ზაფხული თანდათან გრძლივ ხდება, და 2800 მ სიმაღლეზე ივლის-აგვისტოს ტემპერატურა 10° —ზე დაბალია.



სურ. 26. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების
წლიური მსვლელობა ახალციხეში.

ქარის სიჩქარე საერთოდ მეტად ზომიერია. ქვაბულში და ჩაკეტილ ხეობებში სუსტი ქარი ქრის. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 1—2 მ/წე იშვიათად აღემატება, მცირეა ისეთი დღეები, როდესაც ქარის სიჩქარე 15 მ/წე-ზე მეტია. მაგალითად, ახალციხესა და აბასთუ-მანში ასეთია მხოლოდ სამი დღე წელიწადში, ბორჯომში უფრო იშვია-თია და მხოლოდ რამდენიმე წელიწადში ერთხელაა. ახალციხის ქვა-ბულის ძირში ზამთარში გაბატონებულია დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის, ზაფხულში კი ჩრდილო-აღმოსავლეთისა და აღმოსავ-ლეთის მიმართულების ქარი.

მაღალ ზეგნებზე გაშლილ აღგილებში, ქარის მიმართულება ემთხვე-ვა საქართველოში გაბატონებულ დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიმართულების, მაგალითად, ბაკურიანში წლის განმავლობაში აღმოსავ-ლეთის და ზასავლეთის ქარებია გაბატონებული, სხვა მიმართულების ქარების სიცარიე იშვიათია.

როგორც საერთოდ, ამ რაიონშიც ხეობებში ქარი მათი გაყოლე-ბით ქრის. წლის თბილ პერიოდში კარგადაა განვითარებული მთა-ხეობის ქარი. ზამთარში ზოგჯერ ფინებიც ქრის.

ქარბუჭიან დღეთა რიცხვი დაბალ ნაწილებში მეტად იშვიათია, სა-შუალოდ ერთი დღე წელიწადში, შუა ნაწილებში მხოლოდ ხუთი, მაღალ ნაწილებში კი მეტად ხშირია.


სამცხე-თრიალეთის მნიშვნელოვან ნაწილში მცირე ნალექები მო-დის. ნალექებით ღარიბია ახალციხის ქვაბული და მის სამხრეთით მდე-ბარე ქედების ფერდობები. აქ 500—700 მმ ნალექი მოდის წელიწადში. შედარებით უხვი ატმოსფერული ნალექებია ბორჯომ-ბაკურიანის.

რაიონში მის მაღალ ნაწილებში ნალექი წელიწადში საშუალოდ 1000—1200 მმ აღწევს. თრიალეთის ქედის დიდი ნაწილი, სადაც არც დასჭირდება ლეთიდან არც აღმოსავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასები დიდ ეფექტს ვერ აღწევენ იმიტომ, რომ ფერდობის გასწვრივ ქრის და აღმავალი დინება არ ვითარდება, მიუხედავად დიდი სიმაღლისა, სიმშრალით გამოიჩინა. აქ წელიწადში საშუალოდ მხოლოდ 600-800 მმ ნალექი მოდის.

მთელ რაიონში უხვი ნალექები იცის გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის დასაწყისში. ნალექების მაქსიმუმია მაისსა და ივნისში, მინიმუმი კი ზამთარში, ყველაზე მშრალია იანვარი. ნალექიან დღეთა რიცხვი 120—175-ია წელიწადში, აქედან უხვნალექიანი (როცა დღელამური ნალექი 30 მმ-ზე მეტია) ცოტაა, საშუალოდ, მხოლოდ 2—5 დღეა წელიწადში. ნალექების დღელამური მაქსიმუმი დაბალ ნაწილებში 60 მმ, მაღალ ნაწილებში 100 მმ აღწევს.

ადგილის სიმაღლე და ზამთრის დაბალი ტემპერატურა განაპირობებს ნალექების მოსვლას წლის ციკ პერიოდში უმთავრესად თოვლის სახით. თოვლი რაიონის დაბალ ნაწილებში შეიძლება მოვიდეს ნოემბრიდან აპრილამდე. თოვლის მდგრადი საბურველი მყარდება საშუალოდ დეკემბრიდან და ჩერდება მარტის ბოლომდე. ხშირად არის ისეთი წლები, როდესაც თოვლის საბურველი მხოლოდ რმდენიმე დღეს ჩერდება. მგალითად, 1946 წლის იანვარში ახალციხეში თოვლი მხოლოდ ოთხ დღეს იღეს. თოვლის სიმაღლემ მხოლოდ თებერვლის პირველ ნახევარში 3 სმ მიაღწია.

რაიონის მაღალ ნაწილებში, პირველი თოვლი მოდის საშუალოდ



სურ. 27. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების წლიური მსვლელობა ბორჯომში.

ოქტომბერში, უკანასკნელი — მაისში. ნოემბრის ბოლოს უკვე თებელის საბურველი ჩნდება. ამ ზონაში მდებარეობს ცნობილი კუტურული ბაკურიანი, სადაც მზიანი დღეების სიხშირე, საქმაოდ მაღალი მუნიციპალიტეტის საბურველი და რელიეფის ფორმა (დაქანებული და მოვაებული პლატფორმების მონაცემები) ხელს უწყობს სათხილამურო სპორტული ღონისძიებების ჩატარებას. რა თქმა უნდა, აქაც არის ისეთი წლები, როდესაც თოვლის საბურველი არ არის მდგრადი, არის ისეთიც, როდესაც თოვლის საბურვლის სიმაღლე 150 მმ აღწევს და დიდხანს ძევს.


ღრუბლიანობა რაიონის მნიშვნელოვან ნაწილში ზომიერია. საშუალოდ წელიწადში ცის თაღის 50—60% ღრუბლებითაა დაფარული. ახალციხის ქვაბულში მოწერნდილ დღეთა რიცხვი წლის ყველა სეზონში სჭარბობს ღრუბლიან დღეთა რიცხვს. საშუალოდ წელიწადში 60—70 დღე უმჩეოა. მაღალ აღგილებში, პირიქით, ღრუბლიანი დღეების რიცხვი მატულობს და ტერიტორიულად 100—120 დღეს შორის მერყეობს.

ღრუბლიანი და ნისლიანი დღეები დაბალ ნაწილებში მეტია ზამთარში, ზაფხულში კი ნაკლები, ზედა ნაწილებში თითქმის თანაბარია.

შეფარდებითი სინოტივე შედარებით მცირეა. აქ მისი საშუალო წლიური სიდიდე 60—70% შორის მერყეობს. ფერდობებზე და მაღალ აღგილებში პარი წყლის ორთქლით უფრო მეტადაა გაუღენთოლი, ამიტომ შეფარდებითი სინოტივე საშუალოდ ყველგან 70% აღმატება, თუმცა 80% ვერსად აღწევს. რა თქმა უნდა, ცალკე ღღლებში შეფარდებითი სინოტივე შეიძლება 100% გახდეს. წლის განმავლობაში საშუალო თვიური შეფარდებითი სინოტივე დიდად არ იცვლება.

ელჭექი და სეტყვა საქმაოდ ხშირი მოვლენაა. ორივე მხოლოდ თბილ პერიოდში იცის. ელჭექიან დღეთა რიცხვი 30—55-ია წელიწადში, სეტყვიანი კი — 3—9. დასეტყვის სიხშირის მხრივ საქართველოში რეკორდი ბაკურიანს ეკუთვნის. აქ საშუალოდ წელიწადში 9-ჯერ მოდის სეტყვა. ყოფილა ისეთი წლები, როდესაც 20-ზე მეტჯერ მოსულა სეტყვა. ასე მაგალითად, 1923 წელს სეტყვა 23-ჯერ მოვიდა, აქედან 19-ჯერ მაისსა და ივნისში, საერთოდ მთელ რაიონში ეს თვეები გამოიჩინა უხვი ნალექებით, ელჭექითა და სეტყვის სიხშირით.

რაიონი განსაკუთრებით მდიდარია კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტებით და სააგარაკო აღგილებით. მათ შორის აღსანიშნავია აბასთუმანი, ბორჯომი, ბაკურიანი, წალვერი, ცემი, ლიბანი, ციხისჯვარი და სხვ. საკავშირო მნიშვნელობის ბალნეოლოგიურ-კლიმატური კურორტი ბორჯომი საქვეყნოდაა განთქმული სასმელი მინერალური წყლით. მას უმთავრესად კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდ იყენებენ. ბორჯომი ცნობილია აგრეთვე როგორც სააგარაკო აღგილი, მას ახასია-



სურ. 28. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების
წლიური მსვლელობა ახალქალაში.

თებს მთის ზომიერად ნოტიო ჰავა, ზომიერად ცივი ზამთარი, ხანგრძლივი ზაფხული და ნაძვის ტყით დაფარული ლამაზი მიღიალები.

კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტია აბასთუ მანი, რომელიც მდებარეობს მესხეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 1200—1500 მ სიმაღლეზე, წიწვიანი ტყით დაფარულ ოცხესულამაზეს სეობაში. მთის ჰავა, მზის სხივების სიუხვე, განსაკუთრებით ზამთარში, ამინდის უმნიშვნელო მერყეობა დღიდან-დღემდე, ზაფხულის თვეებში საამო სითბო, ნელი ქარი, წიწვიანი ტყე და ლამაზი ლანდშაფტი დადებითად მოქმედებს ფილტვებით დაავადებულ ავადყისათვეზე. იგი ცნობილია აგრეთვე თავისი სამკურნალო წყლით.

მაღალმთიანი კლიმატური კურორტი ბაკუ ჩიანი მდებარეობს ზღვის დონიდან 1700 მ სიმაღლეზე საქმაოდ გაშლილ ადგილის, რომელიც თითქმის მთლიანად ფიჭვის ტყით არის დაფარული. კურორტის ტერიტორიას გარშემო აკრავს სუბალპური და ალპური მცენარეულობით მდიდარი ქედები.

არაჩვეულებრივად ლამაზი ლანდშაფტი მდიდარი სუბალპური და ალპური მცენარეულობით, მზის სხივების სიუხვე, მაღალმთის სუფთა ჰაერი განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის დასასვენებლად და სამკურნალოდ.

ბუნების სილამაზე და მზის სხივების სიუხვე, რომელსაც ზამთრის მზიან დღეებში აძლიერებს საქმაოდ მაღალი და მდგრადი თოვლის

შაბურველი და მისგან ანარეკლი სხივები, ზამთარშიაც იზიდავს მრავალ დამსვენებელს და სპორტის მოყვარულს.

ჯ ა ვ ა ხ თ ი ს მ თ ი ა ხ ე თ ი განსაკუთრებული როცხლი რელიეფით გამოიჩინევა. მასში გაერთიანებულია ახალქალაქის მაღალი პლატო, რომელიც 1700—2000 მ სიმაღლეზე მდებარეობს, წალკის პლატო და სამასრის, ჯავახეთისა და არალდირის ქედები, რომელთა სიმაღლე, 2000—3000 მ აღწევს.

კლიმატური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ახალქალაქის პლატო. რომლის მოყვანილობა ხელს უწყობს ზმორის პერიოდში ჰაერის მასების შეჩერებას, რაც ცივი ამინდის სიხშირეს იწვევს. თბილ პერიოდში კი, პირიქით, ვრცელი უტყეო პლატო განსაკუთრებით ხურდება და დგება ცხელი ამინდი. ამის შედეგად კავკასიონის ამავე სიმაღლის ფერდობებთან შედარებით აქ ზამთარი უფრო ცივია და ზაფხული კი შედარებით ცხელი.

პლატოზე იანვრის საშუალო ტემპერატურა მერყეობს -7 — 10° -მდე, წელიწადში 4—5 თვეს არის უარყოფითი ტემპერატურა. გარშემო მდებარე ქედების თხემურ ნაწილებში კი იანვრისა და ოქმერვლის საშუალო ტემპერატურა -11 , -14° ფარგლებში მერყეობს.

აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა რაიონში -30 , -35° -მდე ეცემა, ამასთან პლატოს ძირზე უფრო დაბალია, ვიდრე ფერდობებზე. ყინვიანი პერიოდის ხანგრძლივობა 5—6 თვეზე მეტია. არც ისეთი წლებია გამორიცხული, როცა წაყინვებს მთელი წლის განმავლობაში ექნება აღვალი.

გაზაფხული გრილი და შედარებით ხანგრძლივი იცის. ზაფხული დაბალ ნაწილებში — საკმაოდ თბილი. აქ უთბილესი თვის ავგისტოს საშუალო ტემპერატურა 17 — 15° უდრის, ზღვის დონიდან 2000 მ სიმაღლემდე ზაფხულის სითბო საქმარისია ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში. აღნიშნული სიმაღლის ზევით ივლის-აგვისტოს ტემპერატურა 10 — 12° დაბალია, აქედან იწყება აღჭური ზონა.

ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა ცალკე დღეებში ქვედა ნაწილებში ხშირად 32 — 28° -ია.


შედარებით თბილი ზამთარი იცის ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე. იანვრის ტემპერატურა $-2,0$ — $5,5^{\circ}$ შორის მერყეობს. უფრო ცივია წალკის პლატო. აქ 1400 მ სიმაღლეზე მდებარე დაბა წალკაში იანვრის საშუალო ტემპერატურა $-5,3^{\circ}$ უდრის. აქ უთბილესი თვის ტემპერატურა 19 — 15° შორის მერყეობს, 4—5 თვეს წელიწადში ტემპერატურა 10 — 12° მაღალია. ცხელ დღეებში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა ზოგჯერ 20 — 35° -მდე აღის.

ჯავახეთის მთიანეთში წლის ცივ პერიოდში გაბატონებულია სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთის ქარები, ზაფხულში კი ჩრდილო-

დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის. რაიონის უმეტეს ნაწილში ქარის საშუალო წლიური სიჩქარე ზომიერია. საშუალოდ 10—20 წლიური განვითარებული წლიური ქარის სიჩქარე მეტია 15 მ/წ. აქ ზამთარში იცის ქარ-ბუქი. პლატოებზე ქარბუქიანია წლიური 10 დღე, ხოლო უღელტე-ხილშე 30 და მეტი. ზოგჯერ ქარბუქი იმდენად ძლიერია, რომ მისი გავლენით დასახლებულ პუნქტებს შორის კავშირი წყდება.

ახალქალაქის პლატო მაღალ ზეგანს წარმოადგენს. იგი თითქმის ყოველი მხრიდან შემოფარგლულია მაღალი ქედებით, ამიტომ საქარ-თველოს ტერიტორიაზე გარედან შემოჭრილი ჰაერის მასების გავლენა ამ რაიონში შესუსტებულია. დასავლეთიდან და მით უფრო აღმოსავ-ლეთიდან ჩვეულებრივად ჰაერის მასების შემოჭრა არ იძლევა მნიშვნე-ლოვან ნალექებს. მხოლოდ სამხრეთიდან შემოსული ჰაერის მასების დროს მოდის მნიშვნელოვანი ნალექები. ამიტომ განსაკუთრებით ღა-რიბია ნალექებით ახალქალაქის პლატოს ცენტრალური ნაწილი, სადაც ნალექების წლიური რაოდენობა 400 მმ უდრის, სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება, მაგრამ ძალიან უმნიშვნელოდ. აქ ნალექების რაო-დენობა შესამჩნევად ნაკლებია, ვიდრე საქართველოს სხვა იმავე სიმაღ-ლეზე მდებარე აღგილებში. იგი განსაკუთრებით მშრალი კონტინენ-ტური ჰავით გამოიჩინევა, ამის გამო ტყეებით მეტად ღარიბია.

გავახეთის მთიანეთში განსხვავებული ჰავითა და ბუნებრივი პირო-შებით გამოირჩევა გავახეთის ქედის აღმოსავლეთი ფერდობი და წალ-კის პლატო, რომელიც გახსნილია ქვემო ქართლის ბარისაკენ. იგი აღ-მოსავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასების გავლენას განიცდის, რის გამო ნალექები აქ მნიშვნელოვანად მეტია, 700—900 მმ წლიური და



სურ. 29. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების წლიური მსვლელობა ბაკურიანში.

ზომიერად ნოტიო ჰავით ხასიათდება, მთის კალთები ტყეებით გარსებრივად შემოსილი.

რაიონის მთელ ტერიტორიაზე უმცირესი ნალექები მოდის ზამთარ-ში — მინიმუმია იანვარში — 15—25 მმ; უდიდესი კი ზაფხულში — მაქსიმუმია მაისსა და ივნისში — 80—125 მმ.

წელიწადში საშუალოდ 100—150 ნალექიანი დღეა. ზაფხულის თვეებში იცის ხანძოელე თავსხმა წვიმები. ასეთ დღეებში საგრძნობი რაოდენობის ნალექები მოდის, მაგალითად, 1891 წლის ივლისში ახალქალაქში ერთ დღე-ღამეში 58 მმ ნალექი მოვიდა.

ნალექი თოვლის სახით შეიძლება მოვიდეს ჯერ კიდევ ოქტომბერ-ში, ზოგან — ნოემბერში და შეწყდეს აპრილ-მაისში. მდგრადი თოვ-ლის საბურველი ჩნდება საშუალოდ დეკემბერში და მარტის ბოლომდე გრძელდება. თოვლის საბურვლის სიმაღლე დიდი არ იცის, საშუა-ლოდ 15—20 სმ, მხოლოდ რაიონის ზედა ნაწილებში აღწევს 40—50 სმ.

შეფარდებითი სინოტივე ჯავახეთის მთიანეთში ზომიერია, მისი საშუალო წლიური სიდიდე 70—75% ფარგლებში მერყეობს, უდიდე-სია ზამთრის თვეებში — 75—80%, უმცირესი ზაფხულის თვეებში — 67—72%, განსაკუთრებით მცირეა ხოლმე შეფარდებითი სინოტივე 13 საათზე, ზაფხულში, საშუალოდ, 45—50% შეადგენს. ახალქალაქის პლატოზე ზოგჯერ შეფარდებითი სინოტივე 20%-ზე დაბლა ეცემა. ასეთი შემთხვევა იშვიათია, ამასთან არ არის ხანძრძლივი და ადგილი აქვს უფრო ხშირად აღმოსავლეთის ფიონური ქარების დროს.

ეს რაიონი შედარებით მცირე ღრუბლიანობით გამოირჩევა, წლის განმავლობაში, საშუალოდ, ცის თაღის 55—60% ღრუბლებითა და-ფარული. განსაკუთრებით მცირე ღრუბლიანობით გამოირჩევა ზაფხუ-ლის თვეები. ამ პერიოდში ცის თაღის მხოლოდ 40—50%-ია ღრუბ-ლებით დაფარული. ზაფხულში სკარბობს მძლავრი გროვა ღრუბლები, რომელთანაც დაკავშირებულია ხშირად ელჭექი და სეტყვა. წელიწად-ში, საშუალოდ, 30—45 დღეა ელჭექიანი, სეტყვიანი კი 3—6 დღე. ზოგჯერ სეტყვის მარცვლები იმდენად მსხვილია, რომ მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სოფლის მეურნეობას. ჯავახეთის მთიანეთში შედა-რებით ხშირი მოვლენაა ნისლიც. რაიონის უმეტეს ნაწილში წელიწად-ში 35—50 დღეა ნისლიანი.

პეტი გიკები

დედამიწის ზედაპირზე, როგორც ცნობილია, სხვადასხვაგვარი (ტი-
ვის) ჰავაა, რაც აპირობებს, ძირითადად, მცენარეთა ბუნებრივი საფა-
რისა და, საერთოდ, ლანდშაფტის ნაირსახეობას. ჰავის თავისებურება-
ზე (ტიპებზე) ბევრად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის ამა-
თუ იმ დარგის (კულტურის) განვითარების შესაძლებლობა, ნიაღავის
ღმეუშავება და განოყიერება, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ღონის-
ძიებების გატარება, საცხოვრებელი შენობების კონსტრუქცია და სხვ.

ამეამად თითქმის საკმაოდ დეტალურად არის შესწავლილი მთელი
დედამიწის ჰავა, გამოყოფილი ერთგვარი ტიპის ჰავის რაიონები, შე-
დგენილია მსოფლიოს კლიმატური რუკა.


ჩვენს მიერ შედგენილ საქართველოს ჰავის ტიპების რუკაზე მი-
თითებულია დედამიწაზე არსებული ჰავის ტიპებიდან რა და რა ტიპის
ჰავას აქვთ ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე და მათი სახელწო-
დებანი, ნაჩვენებია მათი გავრცელების საზოგრები და ძირითადი კლი-
მატური მაჩვენებლები.

საქართველო მდებარეობს ტროპიკულ და შუა განედებს შორის
მდებარე სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე, ჩრდილოე-
თის განედის $41^{\circ} 07'$ და $43^{\circ} 35'$ შორის. ამიტომ დღის სანგრძლი-
ვობა წლის ყველა სეზონში დიდია და მზიდან მიღებული სხივური
ენერგია მნიშვნელოვანი. ზამთარი დაბალ ადგილებში ყველგან ზომიე-
რად თბილია, ზაფხული — ცხელი.

ამრიგად, მზის რადიაციის სითბური რეჟიმის მიხედვით საქართვე-
ლოს ტერიტორიაზე სუბტროპიკული ჰავაა, ხოლო ატმოსფერული
პროცესების ხასიათისა და მასთან დაკავშირებული ამინდის პირობების
მიხედვით, როგორც ზევით დავინახეთ, მისი ტერიტორია იყოფა ორ
კკვეთრად განსხვავებულ კლიმატურ ოლქად.

დასავლეთი საქართველო, რომელიც კერძოის შავ ზღვას აღმოსავ-
ლეთით და ხმელეთიდან შემოფარგლულია მაღალი ქედებით, ხასიათ-
დება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავის მკაფიოდ გამოსახული თვი-
სებებით. იგი გამოიჩინა შედარებით თბილი ზამთრით, ტემპერატურის
ზომიერი ამტლიტურით, უცვი ნალექებით და მაღალი სინოტივით. ამის
გამო ტერიტორიის დიდ ნაწილზე გავრცელებულია ნოტიო სუბტრო-
პიკული ჰავის მოყვარული მცენარეულობა.

აღმოსავლეთი საქართველო, რომელიც მდებარეობს ლიხის ქედის
აღმოსავლეთით, ხასიათდება, ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰა-



სერ. 30. საქონი ტოპოგრ.

ვით. აქ ზამთარი უფრო ცივია და ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა
უფრო დიდია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში.

ეკონომიკური

ჰაერის თავისებური პირობებით გამოიჩინება საქართველოს ტემპერატურის მთანეთის ცენტრალური სტეპური ნაწილი. აქ ჰაერი უფრო კონტინენტურია, ზაფხული უფრო ცხელი და ზამთარი უფრო ცივი, ატმოსფერული ნალექების რაოდენობა ნაკლები, ვიდრე იმავე სიმაღლეზე მდებარე საქართველოს სხვა რაიონებში.

ტერიტორიის დასერილობა სხვადასხვა მიმართულების ქვედებით და ადგილის სიმაღლეთა დიდი სხვადასხვაობა განაპირობებს შეტეოროლოგიური ელემენტების რიცხობრივი სიდიდეების დიდ სხვაობას. ამიტომ, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია, ძირითადად, ადგილის სიმაღლის მიხედვით იყოფა ჰაერის რამდენიმე ტიპად.

ქვევით ვიძლევით მათ მოკლე დახასიათებას და გავრცელების რაონებს (სურ. 30).

1. ჭარბად ნოტიო ჰაერი, თბილი ზამთრით და ცხელი ზაფხულით.

კოლხეთის დაბლობი, ზღვის დონიდან 200—300 მ სიმაღლემდე. ჰაერის ტემპერატურა: იანვრის 4—7°, ივლისის 22—24°. ნალექი: წლიური 3000—1400 მმ, უდიდესი სექტემბერში, დეკემბერში, უმცირესი — მაისში.

დანესტიანების კოეფიციენტი: 3—5.

2. ნოტიო ჰაერი, თბილი ზამთრითა და არცხელი ზაფხულით.

დასავლეთ კავკასიონის და მესხეთის ქედის ზღვისკენ მიქცეული მთისწინეთი, ზღვის დონიდან 600—700 მ სიმაღლემდე.

ჰაერის ტემპერატურა: იანვრის 3—0°, ივლისის 22—20°.

ნალექი: წლიური 2000—3000 მმ, უდიდესი — აგვისტოში, სექტემბერში, უმცირესი — აპრილში, მაისში.

დანესტიანების კოეფიციენტი: 3—4.

3. ზომიერად ნოტიო ჰაერი, ზომიერად თბილი ზამთრითა და ცხელი, შედარებით მშრალი ზაფხულით.

ზემო იმერეთი, რაჭა-ლეჩესუმი და შიდა აჭარის დაბალი ნაწილი, ზღვის დონიდან 600—700 მ სიმაღლემდე.

ჰაერის ტემპერატურა: იანვრის 3.—1,5°, ივლისის 22—23°.

ნალექი: წლიური 900—1200 მმ, უდიდესი — ნოემბერში, უმცირესი — აგვისტოში.

დანესტიანების კოეფიციენტი: 1,5—2,5.

4. ნოტიო ჰაერი, ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით.

კოლხეთის ბარის შემომფარგვლელი ქედების ფერდობები, ზღვის
დონიდან 1900—2000 მ სიმაღლემდე.

ჰაერის ტემპერატურა: იანვრის $-1,-8^{\circ}$, ივლისის $20-15^{\circ}$.

ნალექი: წლიური 1200—2400 მმ, უდიდესი — ნოემბერში, უმ-
ცირესი — იანვარში.

დანესტიანების კოეფიციენტი: 2—3.

5. მშრალი სუბტროპიკული სტეპური ჰავა, ზომიერად ცივი ზამთ-
რით და ცხელი ზაფხულით.

შიდა ქართლის ვაკე, ქვემო ქართლის ვაკე და იერის ზეგანი, ზღვის
დონიდან 600—700 მ სიმაღლემდე.

ჰაერის ტემპერატურა: იანვრის $0,5,-2,0^{\circ}$, ივლისის $22-25^{\circ}$.

ნალექი: წლიური 350—600 მმ, უდიდესი — მაისში, ივნისში,
უმცირესი — იანვარში, აგვისტოში,

დანესტიანების კოეფიციენტი: 1-ზე ნაკლები.

6. საქმაოდ ნოტიო ჰავა, ზომიერად თბილი ზამთრითა და ცხელი
ზაფხულით.

შიგნით კახეთი, ზღვის დონიდან 500—600 მ სიმაღლემდე.

ჰაერის ტემპერატურა: იანვრის $1-0^{\circ}$, ივლისის $22-24^{\circ}$.

ნალექი: წლიური 700—1000 მმ, უდიდესი — მაისში, ივნისში,
უმცირესი — იანვარში, აგვისტოში.

დანესტიანების კოეფიციენტი: 1—1,5.

7. ზომიერად ნოტიო ჰავა, ზომიერად ცივი ზამთრითა და ხან-
გრძლივი ზაფხულით.

აღმოსავლეთ კავკასიონისა და სამხრეთ მთიანეთის ფერდობები,
ზღვის დონიდან 2000—2200 მ სიმაღლემდე.

ჰაერის ტემპერატურა: იანვრის $-1,-8^{\circ}$, ივლისის $20-13^{\circ}$.

ნალექი: 700—1400 მმ, უდიდესი — მაისში, ივნისში, უმცი-
რესი — იანვარში, აგვისტოში.

დანესტიანების კოეფიციენტი: 1,5—2,0.

8. მშრალი მთიანეთის სტეპური ჰავა, ცივი მცირეთოვლიანი ზამთ-
რითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით.

ახლციხის ქვაბული და მის გარშემო მდებარე ქედების კალთები,
ზღვის დონიდან 1300—1400 მ სიმაღლემდე.

ჰაერის ტემპერატურა: იანვრის $-4,-6^{\circ}$, ივლისის $17-20^{\circ}$.

ნალექი: — წლიური 450—600 მმ, უდიდესი, ივლისში, ნოემ-
ბერში, უმცირესი — იანვარში, ოქტომბერში.



დანესტიანების კოეფიციენტი: 1-ზე ნაკლები.

9. მაღალი ზეგნის მშრალი სტეპური ჰავა, ცივი, მცირეთოვლით ზამთრითა და ხანგრძლივი ზაფხულით.

ახალქალაქის ზეგანი და ირგვლივ მდებარე ქედების ფერდობები ზღვის დონიდან 1900—2000 მ სიმაღლემდე.

ჰაერის ტემპერატურა: იანვრის $-7, -10^{\circ}$, ივლისის $17 - 14^{\circ}$.

ნალექი: წლიური 400—600 მმ, უდიდესი ივნისში, უმცირესი იანვარში.

დანესტიანების კოეფიციენტი: 1 და 1-ზე ნაკლები.

10. საკმაოდ ნოტიო ჰავა, ზომიერად ხანგრძლივი ზამთრით და გრილი ზაფხულით.

კავახეთის მთიანეთი, ზღვის დონიდან 1900—2000 მ სიმაღლემდე.

ჰაერის ტემპერატურა: იანვრის -10° -ზე ნაკლები, ივლისის $14 - 5^{\circ}$.

ნალექი: წლიური 600—900 მმ, უდიდესი — ივნისში, უმცირესი — იანვარში.

დანესტიანების კოეფიციენტი: 1—1,5.

11. ნოტიო ჰავა, ცივი, ხანგრძლივი ზამთრითა და გრილი ზაფხულით. კავკასიონი და სამხრეთ მთიანეთის დასავლეთი ნაწილი, ზღვის დონიდან 2800—3000 მ სიმაღლემდე.

ჰაერის ტემპერატურა: იანვრის $-8, -14^{\circ}$, ივლისის $13 - 5^{\circ}$.

ნალექი: წლიური 1600—2600 მმ, უდიდესი — მაისში, ივნისში, უმცირესი — იანვარში.

დანესტიანების კოეფიციენტი: 3—4.

12. მაღალმთის ნოტიო ჰავა, მარადი თოვლითა და მყინვარებით, 3000—3600 მ მაღლა. განმარტებას არ მოითხოვს.

సారికి 30

పరిషత్తులు	3
టాజి I. సాహిత్యశాసన క్రానికలు వివరాల మొత్తం దిగుబాటిలో ఉపాధికారి పేర్లు	4
మొత్తం రాఫిలు	5
అభిమంసముద్రంలో ప్రారంభించిన ప్రాంతాలలో నిర్వహించిన ప్రాంతాలలో	6
ప్రాంతాలలో నిర్వహించిన ప్రాంతాలలో	8
టాజి II. ప్రాంతాలలో కలిపిన ప్రాంతాలలో వివరాల మొత్తం దిగుబాటిలో ఉపాధికారి పేర్లు	10
క్రానికలు ప్రారంభించిన ప్రాంతాలలో	—
క్రానికలు సినిమాలలో	15
ప్రాంతాలలో నిర్వహించిన ప్రాంతాలలో	17
బాల్యాల్యేళి	18
టోపిలు సాధువులు	21
అంతర్జాలాలాలంబా లూ డాన్స్ స్టీలాన్స్ క్రానికలు	23
జీఏస్	24
అభిమంసముద్రంలో ప్రారంభించిన ప్రాంతాలలో	26
టాజి III. సాహిత్యశాసన మతావారి గ్రంథాభిష్కాల మొత్తం దిగుబాటిలో ఉపాధికారి పేర్లు	29
క్రానికలు మతావారి ప్రాంతాలలో	—
సాహిత్యశాసన మతావారి ప్రాంతాలలో	56
సాహిత్యశాసన మతావారి ప్రాంతాలలో	67
టాజి IV. క్రానికలు ప్రారంభించిన ప్రాంతాలలో	81

რედაქტორი დ. სალუკვაძე
მხატვრული რედაქტორი ს. ბოტკოვალი
რექტორაქტორი ა. დოგრაშვილი
კორექტორი მ. ამაშუკელი
გამომშვები ლ. ბადრიძე

სელმოწერილია დასაბეჭდად 28/V — 71 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/16$.
ნაბეჭდი თბაზი 5,5. სააღრიცხო-საგამომცემლო თაბაზი 5,0.
ტირაჟი 2000 ურ 00301 შეკვეთა № 548.
ფაზი 16 კაბ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, კამის ქ., 18.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Камо № 18.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახლმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფრეწველობის სტამბა № 1, თბილისი,
ორჯონიქიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфпрома Госкомитета Совета
Министров Груз. ССР по печати. Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

ЗС 809

н 73/1356



| МИТРОФАН ОТИЕВИЧ КОРДЗАХИА |
ШОТА ИОСИФОВИЧ ДЖАВАХИШВИЛИ

Климат Грузии
(на грузинском языке)

K 277.42 \$1
3 951363200
951363200

